

მანანა სალუშვაძე

საქართველოს თოვლის ზვავების
კ ა დ ა ს ტ რ ი



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

საქართველოს თოვლის ზვავების
კატასტრი

**CADASTRE OF AVALANCHES OF
GEORGIA**

**КАДАСТР СНЕЖНЫХ ЛАВИН
ГРУЗИИ**

თ ბ ი ჯ ი ს ი

2018

მანანა სალუქვაძე

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
გეოგრაფიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

Manana Saluqvadze

Academic Dr.Sci. in Geography

Манана Салуквадзе

Академический доктор
Географических наук

ISBN 978-9974-8-0843-2

მთავარი რედაქტორი

ნოდარ ბეგალიშვილი

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ჰიდროლოგიის განყოფილების გამგე,
ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი

Editor in Chief N.Begalishvili

Главный редактор Бегалишвили Н. А.

რედ. კოლეგია: თ. ცინცაძე, ლ.ინწკირველი, მ.ტატიშვილი,
გ.გუნია, გ.მელაძე, გ.გრიგოლია

Editorial Board: T.Tsintsadze, L.Intskirveli, M. Tatishvili,
G.Gunia, G. Meladze, G. Grigolia.

Редакционная коллегия:

Цинцадзе Т.Т., Инцкирвели Л.И., Татишвили М.А.,
Гуния Т.С., Меладзе Г.Г., Григолия Г.Л.

რეცენზენტები : გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ელიზბარ ელიზბარაშვილი,**
ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი **ავთანდილ ამირანაშვილი,**
ფიზ.-მათ. მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი **ვიქტორ ჩიხლაძე**

Reviewer:

Dr.Sci in Geography **E.Elizbarashvili,**
Dr.Sci in in fiz.-mat **A.Amiranashvili,**
Akademic Dr.Sci in fiz.-mat **V. Chixldze**

Рецензенты:

Доктор географических наук, профессор **Е.Елизбарашвили,**
Доктор физ.-мат. наук **А.Амиранашвили,**
Академический доктор физ.-мат наук **В. Чихладзе**

კორექტორი: ნ. ზოტიკიშვილი

Korrektor: N. Zotikishvili

Корректор: Н. Зотикишвили

©	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი Institute of Hydrometeorology of the Georgian Technikal University Институт гидрометеорологии технического Университета Грузии	2018
---	--	------

უკ551. 578.46

საქართველოს ტერიტორიის 56% ზვავსაშიში ფერდობებისგან შედგება. წლების განმავლობაში ზვავების ჩამოსვლა ნგრევას და მსხვერპლს იწვევს. მრავალწლიანი საველე კვლევების და ლიტერატურული წყაროების ანალიზით, ასევე თეორიული მეთოდების გამოყენებით შევადგინეთ „საქართველოს თოვლის ზვავების კადასტრი“, სადაც 135 მდინარის ხეობაში განლაგებული 338 დასახლებული პუნქტისათვის საშიში 1108 ზვავის მორფომეტრიული და დინამიკური მახასიათებელია წარმოდგენილი.

კადასტრში არსებული მონაცემები გასათვალისწინებელია მთიანი რაიონების ათვისების, ინფრასტრუქტურის მოწყობის და ტურისტული მარშრუტების შედგენისას.

UDK 551.578.46

56% of Georgia territory consists of snow avalanche hazard slopes. Over the years the avalanches cause destruction and sacrifice. Based on multiyear field research, analyzing literature, as well as using theoretical methods „Cadastré of snow avalanches of Georgia“ was elaborated. Document presents morphometric and dynamic characteristic of the 1108 avalanches for the 338 settlements located in the 135 river valley.

The data in the cadaster should be taken into account in the process of development of mountainous regions infrastructure and planning touristic routes.

УДК 551.578.46

56% территории Грузии покрыты лавиноопасными склонами. Сход лавин на протяжении многих лет вызывает разрушение и гибель людей. На основе анализа материалов многолетних полевых исследований и литературных источников составлен „Кадастр снежных лавин Грузии“, где представлены морфометрические и динамические показатели 1108 лавин, угрожающих 338 населенным пунктам расположенных в 135 ущельях рек.

Данные представленные в Кадастре желателно учесть при освоении горных районов, устройства инфраструктуры и составления туристических маршрутов.

№	შ ი ნ ა რ ს ი	გვ.
1	წინასიტყვაობა	7
2	ნაშრომში გამოყენებული სპეციალური ტერმინების განმარტებები, შემოკლებები	10
3	საქართველოს ზვავსაშიში რაიონები	11
4	დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო	18
5	თოვლის ზვავები აუხაზეთის ტერიტორიაზე	18
6	ზემო სვანეთის ზვავსაშიშიშროება	20
7	კურორტ ლეგარდუს ზვავსაშიშიშროება	37
8	რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ზვავსაშიშიშროება	40
9	ბურთის მთიანი ნაწილისა და კურორტ ბახმაროს ზვავსაშიშიშროება	45
10	აჭარის მთიანი რაიონების ზვავსაშიშიშროება	51
11	ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო	61
12	საქართველოს სამხედრო გზის და სტუმანწმინდას (ყაზბეგის) ზვავსაშიშიშროება	61
13	ღუშეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების ზვავსაშიშიშროება	68
14	შიდა ქართლის ტერიტორიის ზვავსაშიშიშროება	76
15	თიანეთის და თუშეთის ტერიტორიის ზვავსაშიშიშროება	80
16	ქვემო ქართლის ზვავსაშიშიშროება	86
17	სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის ზვავსაშიშიშროება	58
118	რისკის ზონები და ზვავსაშიშიშროების შემრიგების რეკომენდაციები	93
19	ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები საქართველოში	93
20	ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები	103
21	ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა	109
დ ა ნ ა რ თ ი		
22	დანართი 1, თავი 4. თოვლის ზვავები აუხაზეთის ტერიტორიაზე	1-ღ
	ცხრილი 4.2. დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები აუხაზეთის ტერიტორიაზე (17 ზვავი);	1-ღ
	ცხრილი 4.3. ხაიში-ჭუბერი-საპენის საავტომობილო გზისთვის საშიში ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები (104 ზვავი)	5-ღ
23	დანართი 2, თავი 5. ზემო სვანეთის ზვავსაშიშიშროება	8-ღ
24	ცხრილი 5.5. ზემო სვანეთის დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები (82 ზვავი);	8-ღ
	ცხრილი 5.6. ჯვარი-მესტიის საავტომობილო გზის სკორმეთი-ჯორკვალის მონაკვეთის ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები (46 ზვავი);	22-ღ
	ცხრილი 5.7. ჩოლური-მესტიის მონაკვეთის ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები (107 ზვავი);	25-ღ
	ცხრილი 5.8. მღ. ნენსკრას (ჭუბრულას) ხეობის ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები (ჭუბერის თემი). (76 ზვავი).	28-ღ
25	დანართი 3 თავი 6. კურორტ ლეგარდუს ზვავსაშიშიშროება	30-ღ
26	ცხრილი 6.1. კურორტ ლეგარდუს ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები (2 ზვავი).	30-ღ
27	დანართი 4, თავი 7. რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ზვავსაშიშიშროება	31-ღ
28	ცხრილი 7.2. ქვემო სვანეთისა და რაჭა ლეჩხუმის დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები (77 ზვავი).	31-ღ

29	დანართი 5, თავი 8. გურიის მთიანი ნაწლის და კურორტ ბახმაროს ზვავსაშიშროება	46-დ
30	ცხრილი 8.2. ზვავსაშიშროების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები ჩონატაური-ბახმაროს საავტომობილო გზის გასწვრივ (67 ზვავი);	46-დ
	ცხრილი 8.5. კურორტ ბახმაროს ზვავსაშიშროების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები (32 ზვავი).	58-დ
31	დანართი 6, თავი 9. აჭარის მთიანი რაიონების ზვავსაშიშროება	63-დ
32	ცხრილი 9.4. აჭარის მთიანი რაიონების ზვავსაშიშროების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები (161 ზვავი).	63-დ
33	დანართი 7, თავი 10. საქართველოს სამხედრო გზის და სტეფანწმინდას (ყაზბეგის) ზვავსაშიშროება	93-დ
34	ცხრილი 10.4. ზვავსაშიშროების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ (145 ზვავი);	963-დ
	ცხრილი 10.5. სტეფანწმინდას (ყაზბეგის) ზვავსაშიშროების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები (20 ზვავი).	117-დ
	დანართი 8, თავი 11. ღუშეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების ზვავსაშიშროება	121-დ
35	ცხრილი 11.2. ზვავსაშიშროების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები ღუშეთის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში (83 ზვავი).	121-დ
36	დანართი 9, თავი 12. შიდა ქართლის ტერიტორიის ზვავსაშიშროება	137-დ
37	ცხრილი 12.3. ზვავსაშიშროების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები შიდა ქართლის დასახლებულ პუნქტებში (67 ზვავი).	137-დ
38	დანართი 10, თავი 13. თიანეთისა და თუშეთის ტერიტორიის ზვავსაშიშროება	149-დ
39	ცხრილი 13.2. ზვავსაშიშროების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები თიანეთისა და თუშეთის ტერიტორიაზე (9 ზვავი).	149-დ
40	დანართი 11, თავი 14. ქვემო ქართლის ტერიტორიის ზვავსაშიშროება	152-დ
41	ცხრილი 14.2. ზვავსაშიშროების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები (9 ზვავი).	52-დ
42	დანართი 12, თავი 15. სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის ზვავსაშიშროება	153-დ
43	ცხრილი 15.2. ზვავსაშიშროების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები სამცხე-ჯავახეთში (9 ზვავი).	153-დ

1. წინასიტყვაობა

ნაშრომი „საქართველოს თოვლის ზვაგების კადასტრი“ იმ მრავალწლიანი კვლევის შედეგია, რომელიც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1974 წელს, მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია-ოკეანოლოგიის კათედრაზე, ბატონი გიორგი სულაქველიძის ხელმძღვანელობით დაიწყო, ხოლო 1977 წლიდან ამჟამინდელ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში გავაგრძელე. ბატონ გიორგის მისი ყოფილი სტუდენტები სიყვარულით „გეკას“ ვეძახდით. თბილისში გადმოსვლამდე მაღალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტის დირექტორი იყო ქალაქ ნაღჩიკში და მრავალი ცნობილი მეცნიერის აღზრდაში მიიღო მონაწილეობა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ასპირანტი გოგი სულაქველიძე იალბუხის მისადგომებთან, დონდუხ ორუნის გადასასვლელზე, ქართველ და ჩრდილო კავკასიელ ალპინისტებთან ერთად იცავდა საქართველოს საზღვრებს. თოვლის ზვაგების ხელოვნურად ჩამოშვების შედეგად მტერმა ვერ შეძლო საქართველოს საზღვრების გადმოკვეთა. ომის დამთავრებისთანავე დაუბრუნდა მეცნიერებას და კავკასიის თოვლის საფარისა და ზვაგების შესწავლა დაიწყო. იგი თავდაპირველად ე.წ. იალბუხის ექსპედიციას, ხოლო შემდეგ ნაღჩიკის მაღალმთიანი ინსტიტუტს ჩაუდგა სათავეში და თოვლის ზვაგებთან ერთად სეტყვის პრობლემებზეც მუშაობდა. მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი დააინტერესა ისეთი საკითხების შესწავლით, როგორც იყო სეტყვის ღრუბლებზე ზემოქმედება, ჰაერის მასების ტრანსფორმაცია, თოვლის ზვაგები. არაერთი მისი აღზრდილი გახდა მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი და მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ბატონმა გიორგიმ კათედრაზე მისვლისთანავე ორი პროექტი „ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალების ზვაგსაშიშროების“ და „სვანეთის ზვაგსაშიშროების“ შესწავლა დამავალა. ჩემთვის ეს დიდი გამოწვევა იყო. უნდა შემესწავლა ის მოვლენა, რომელზეც ფაქტიურად არაფერი ვიცოდი, რადგან გლაციოლოგიის ამ სფეროს საქართველოში არ ასწავლიდნენ. თავდაპირველად გავეცანი ლიტერატურას, რომელიც თოვლის ზვაგებზე იყო გამოქვეყნებული. მათგან გამოვყოფდი გიორგი ტუშინსკის შრომებს, რომლებიც კავკასიის თოვლის ზვაგებს ეხებოდა. ბატონმა გიორგიმ მიმავლინა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის „თოვლის ზვაგებისა და მეწყერების“ ლაბორატორიაში, სადაც გიორგი კაზიმირის-ძე ტუშინსკის ლაბორატორიის თანამშრომლებთან: სერგეი მიაგოვთან, ქსენია აკიფიევასთან, ელიზავეტა ტროშკინასა და სხვებთან ერთად არაერთ ექსპედიციაში მივიღე მონაწილეობა.

ბატონი გიორგის „ზაპოროჟეცით“, ორი წლის განმავლობაში, მოვიარეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხე: საქართველოს სამხედრო გზა, მთიულეთი, გუდამაყრის ხეობა, როკის უღელტეხილი, სვანეთი, ხევსურეთი, მთა-თუშეთი. ემონაწილეობდით ჩრდილო კავკასიაში მიხეილ ზალიხანოვის ექსპედიციაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აეროფიზიკური დაკვირვებები, როდესაც 1976 წელს, უხვთოვლიანი ზამთრის შემდეგ, საქართველოს თითქმის ყველა ზვაგშემკრებიდან ჩამოსულ ზვაგებზე ვახდენდით დაკვირვებას და მათი კონუსების ფიქსაციას. ორივე პროექტი დროულად, ორი წლის ვადაში დავასრულეთ. მოხდა მათი განხილვა, რეცენზენტებმა დადებითად შეაფასეს ნაშრომი და ის გადაეცა დამკვეთ ორგანიზაციებს კავიაროტრანსს და მეცნიერებათა აკადემიას.

1977 წლიდან მუშაობა გავაგრძელე ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის გლაციოლოგიის ლაბორატორიაში, სადაც თოვლის ზვაგებს ქართველ მეცნიერთა გუნდი იკვლევდა: პროფესორი ვასილ ცომაია, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი ლადო ქალდანი და გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი კონსტანტინე აბდუშელიშვილი. მათ მიერ გამოქვეყნებულმა შრომებმა მრავალ კონფერენციასა და სიმპოზიუმზე აღიარება მოიპოვა. ლაბორატორიას ბატონი კონსტანტინე (კოტე) აბდუშელიშვილი ხელმძღვანელობდა. არაერთ საველე კვლევაში ლაბორატორიის თანამშრომლებთან – ბატონ კოტესთან, ლადო ქალდანთან, ზურაბ ქურდოვანიძესთან, კაკო ფაშტიანთან ერთად მეც ემონაწილეობდი. მათთან ერთად, აფხაზეთის ტერიტორია – მდინარეების ბზიფისა და კოდორის ხეობები, ქვემო სვანეთი, ცხენისწყლის აუზის მდინარეების ხეობები მოვიარეთ. 1983 წლიდან დაიწყო ამიერკავკასიის ქვეყნებისა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და დაღესტნის ზვაგების კადასტრზე მუშაობა. კადასტრი უნდა შედგენილიყო ერთიანი სქემის მიხედვით მთელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვის. მე-9 ტომში ამიერკავკასიის ქვეყნებისა და დაღესტნის ტერიტორი-

ის თოვლის ზვავები განიხილებოდა. 1983 წლიდან 1989 წლის ჩათვლით მრავალი ექსპედიცია ჩატარდა საქართველოს მთიან რეგიონებში, ასევე სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის მდინარეთა ხეობებსა და ზვავსაშიშ დასახლებულ პუნქტებში. მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოვიპოვეთ ადგილობრივ უხუცესებთან გასაუბრებისას, როგორც სისტემატურ, ასევე სპორადულ, იშვიათად განმეორებად ზვავებზე.

ბატონი კოტე აბდუშელიშვილი ექსპედიციის ხელმძღვანელობასთან ერთად, მძღოლის ფუნქციასაც ითავსებდა და „ვილისით“ ათასობით კმ გავიარეთ 6 წლის განმავლობაში. არცთუ უსაფრთხო იყო ჩვენი მოგზაურობა, ბატონმა კოტემ არაერთხელ გადაგვარჩინა უბედურ შემთხვევას, რომელსაც სხვადასხვა ხეობაში გადაადგილებისას ვაწყდებოდით. ხევსურეთში, გუდამაყრის ხეობაში, მთა-თუშეთში, სვანეთსა თუ რაჭა-ლეჩხუმში მანქანას ცხენი ენაცვლებოდა. ადრეულ გაზაფხულზე არაერთი კილომეტრი დაგვიფარავს ფეხით გაუკვალავ თოვლსა თუ ნაზვავ ტერიტორიაზე. განსაკუთრებით საინტერესო იყო 1978 წლის იანვარში ჯვრის უღელტეხილზე საარტილერიო ჭურვებით ზვავების ხელოვნურად გამოწვევის ექსპერიმენტი, რომელსაც სამხედრო შტაბის გენერლებთან და ჯარისკაცებთან ერთად, ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი გივი სვანიძე ესწრებოდა. ე.წ. „საცეცხლე“ წერტილების შერჩევა-დადგენაში ინსტიტუტის სპეციალისტები (პროფესორი ვასილ ცომაია, კოტე აბდუშელიშვილი, ლადო ქაღდანა, კარლო უკლება და მანანა სალუქვაძე) მონაწილეობდნენ. ექსპერიმენტი წარმატებით განხორციელდა, ოღონდ კურიოზის გარეშე არ ჩაუვლია. ბატონ ვასო ცომაიას ჭურვის ნამსხვრევმა მცირე ზიანი მიაყენა. ხოლო მე, როდესაც ვიდუგადადებას ვაწარმოებდი, მოპირდაპირე ფერდობიდან ჩამოსულ ზვავში აღმოვჩნდი. ლადო ქაღდანამ დროულად შეძლო ჩემი გადარჩენა და ზვავიდან უვნებლად ამოყვანა.

ექსპედიციებმა თვალნათლივ დაგვანახა ყველა ის სირთულე, რასაც მთის მოსახლეობა განიცდის ზამთრის პერიოდში: თევობით მოწყვეტა გარესამყაროსგან, ყოველ თოვასა თუ ქარბუქში ზვავის ჩამოსვლის მოლოდინი, დანგრეული და დაზიანებული სახლები, ხეხილის ბაღები, დაღუპული ადამიანები. 1976 წელს აღმოვჩნდით სოფ. არაშენდაში, სადაც 1932 წლის იანვარში მთელი სოფელი – 112 ადამიანი ჩაიძარხა ნაზვავ თოვლში. 1976 წლის 18 იანვარს იმავე ტერიტორიაზე, ისეთივე მოცულობის ზვავი ჩამოვიდა. საბედნიეროდ, ნასოფლარ ტერიტორიაზე, არავინ ცხოვრობდა. ძალიან მძიმე იყო ზვავში მოყოლილი ადამიანის განცდების მოსმენა. მესტიის რაიონის, ჭუბერის თემის სოფ. ლარილარში მამა და სამი შვილი საცხოვრებელ სახლთან ჩამოსულმა ზვავმა დაფარა. მათ ესმოდათ საშველად მისული ახლობლების ხმა, თუმცა ზვავში მოყოლილი ადამიანის ხმა გარეთ ვერ აღწევდა. მეზობლებმა მხოლოდ მამისა და ერთი შვილის გადარჩენა შეძლეს, ორი ტყუპი ძმა კი დაიღუპა. სოფ. ტყეებიში 1965 წლის 14 იანვარს სათხილამუროდ წასული 9 მოსწავლე და მათი მასწავლებელი დაიღუპა ზვავში. 1987 წლის 9 იანვარს საშინელი ტრაგედია დატრიალდა სოფ. ეამუში (მესტიის რაიონი), ზვავმა 6 საცხოვრებელი სახლი დამხმარე ნაგებობებით და ნავერიანების გვარიდან 26 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. იმ ტერიტორიაზე მხოლოდ სვანური კოშკი გადარჩა (კადასტრის მე-5 თავი). მაღალმთიან აჭარაში 1971 წლის თებერვალში ჩამოსულმა ზვავმა 11 საცხოვრებელი სახლი დამხმარე ნაგებობებით, სკოლის ორსართულიანი შენობა, საერთო საცხოვრებელი, მაღაზია, პურის 3 საცხობი და საწყობები ზამთრის მარაგით, 90 სული მსხვილფეხა და 30 სული წვრილფეხა საქონელი და რაც ყველაზე ტრაგიკულია – 22 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა (თავი 9). მრავალი ასეთი ტრაგიკული ისტორიის მოსმენა მოგვიხდა, არაერთი დანგრეული და გაპარტახებული ეზო და სახლ-კარი გვინახავს საქართველოს მაღალმთიან სოფლებში.

მიგვაჩნია, რომ სხვადასხვა ხარისხის ზვავსაშიშროების დადგენის დროს, აუცილებელია კატასტროფების რისკის ზონების განსაზღვრა და მისი შემცირება. ამდენად „საქართველოს თოვლის ზვავების კადასტრი“ პასუხობს იმ გამოწვევას, რაც წარმოდგენილია დოკუმენტში „საქართველის კატასტროფების რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია 2017-2020 წწ.“ კატასტროფებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დასაყვანად, მნიშვნელოვანია მოხდეს კატასტროფების რისკის წინასწარი იდენტიფიცირება, შეფასება და შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა.

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ზვავების წარმოქმნის ხუთდონიან რისკს (დაბალი, შეზღუდული, საშუალო, მაღალი, ძალიან ძლიერი) თოვლის სტაბილურობით განსაზღვრავენ. შვეიცარიაში სამფერიანი ზონებია გამოყოფილი. კრიტერიუმად კი, ზვავის დარტყმის ძალა და ზვავების ჩამოსვლის დროა გამოყენებული. ჩვენს მიერ „საქართველოს თოვლის ზვავების

კადასტრში“ აღწერილია 1108 ზვავი, რომლებიც დასახლებულ პუნქტებს, ობიექტებს თუ სხვადასხვა კომუნიკაციებს ემუქრება და რისკის განსაზღვრა ზვავის დარტყმის ძალისა და ზვავშემკრების ფართობის მიხედვით მოვახდინეთ. ამ პარამეტრებით განვსაზღვრეთ რისკის ოთხი დონე: სუსტი (როცა ზვავის დარტყმის ძალა $P, \text{ტ/მ} < 20$, ხოლო ზვავშემკრების ფართობი $F, \text{კმ} < 0,004$), საშუალო ($P, \text{ტ/მ} 21-40$; $F, \text{კმ} 0,005-0,008$), ძლიერი ($P, \text{ტ/მ} 41-60$; $F, \text{კმ} 0,009-0,012$) და განსაკუთრებით ძლიერი ($P, \text{ტ/მ} > 60$; $F, \text{კმ} > 0,012$).

საქართველო, როგორც ზაფხულში, ისე ზამთრის პერიოდში ტურისტულად ერთ-ერთი საინტერესო და მიმზიდველი მხარეა, ამიტომ კადასტრში არაერთი მთის კურორტის ზვავსაშიშროებაც არის აღწერილი.

2017 წლის 3-5 აპრილს ევროპისა და აზიის მთის კურორტების მესამე კონფერენციაზე, რომელსაც 40-ზე მეტი ქვეყნის 300 დელეგატი ესწრებოდა, გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ტალეზ რაიფმა დამსწრე საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩამოდით საქართველოში, ჩამოდით კავკასიაში, ხელით შეეხეთ ღრუბლებს, ღრმად ჩაისუნთქეთ, გაიუმჯობესეთ განწყობა, მიუახლოვდით ღმერთებს და იცხოვრეთ მაღლა, მათთან ახლოს“.

კადასტრის გამოქვეყნებით, თუ ის ხელმისაწვდომი იქნება მთიანი რაიონების მუნიციპალიტეტებისათვის, გვინდა ზვავებისაგან მიყენებული კატასტროფების რისკი შევამციროთ. კადასტრში ყველა ზვავსაშიში თუ პოტენციურად ზვავსაშიში დასახლებული პუნქტის ნუსხაა წარმოდგენილი. მოცემულია ყოველი ზვავის ადგილმდებარეობა, მათი ჩამოსვლის მთელი გზაა აღწერილი გაჩერების ადგილის მინიშნებითა და მოსალოდნელი შედეგით. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ამ მონაცემების გათვალისწინება აუცილებლად მიგვაჩნია.

მაღლობა მინდა გადავუხადო ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორს ბატონ თენგიზ ცინცაძეს, განყოფილების ხელმძღვანელს ბატონ ნოდარ ბეგალიშვილს, რომელთა ხელშეწყობით მომეცა საშუალება, ბოლომდე მიმეყვანა მრავალი წლის წინ დაწყებული კვლევა.

2. ნაშრომში გამოყენებული სპეციალური ტერმინების განმარტებები

ზევაგაქტიური (ზეავსაშიში) ფერდობი – მთის ფერდობი, საიდანაც ზეავის ჩამოსვლაა შესაძლებელი.

ზეავის გამოტანის კონუსი – ზეავის გაჩერების და გამოტანილი თოვლის დაგროვების ადგილი, რომელიც შესაძლებელია ხეობის ძირში, საავტომობილო გზაზე ან მოპირდაპირე ფერდობზეც აღმოჩნდეს.

ზეავის კერა – ზეავის წარმოქმნის ადგილი. ზეავშემკრების ზედა, ფერდობის ჩაღრმავებული და გაფართოებული ნაწილი, საიდანაც ზეავის ჩამოსვლა იწყება.

ზეავსაშიში პერიოდი – დროის ინტერვალი, რა დროსაც თოვლდაგროვების პირობები და ფერდობზე თოვლის მექანიკური მდგრადობა ხელსაყრელი ხდება ზეავის ჩამოსვლისთვის.

ზეავსაშიში სიტუაცია – ზეავსაშიში პერიოდის დროს ზეავების წარმოქმნის პირობები.

ზეავშემკრები – მთიანი ფერდობისა და ხეობის მონაკვეთი, სადაც წარმოიქმნება, გადაადგილდება და ჩერდება ზეავი. ზეავშემკრები შეიძლება იყოს როგორც მარტივი, ასევე რთულიც. რთულ ზეავშემკრებს გააჩნია რამდენიმე ზონა.

თოვლის ზეავი – ფერდობიდან სიმძიმის ძალის გავლენით მოწყვეტილი, გარკვეული მოცულობისა და სიჩქარის თოვლის მასა.

თოვლის ზეავების კადასტრი – ზეავების გაერცვლებაზე, რეჟიმზე, ზეავების ჩამოსვლის ადგილსა და დროზე საცნობარო მასალის სისტემატიზაცია.

კატასტროფული ზეავი – როგორც სპორადული ისე სისტემატური ზეავია, რომელიც სცილდება თავის ჩვეულ საზღვრებს. მისთვის დამახასიათებელია ნგრევა და ადამიანთა მსხვერპლი. ასეთი ზეავები საქართველოს ტერიტორიის 36%-ზე ვრცელდება.

სისტემატური ზეავი – ყოველწლიურად ჩამოსული ზეავი. ასეთ ზეავებს საქართველოს ტერიტორიის 20% უკავიათ.

სპორადული ზეავი – იშვიათი განმეორადობის ზეავი, რომელიც შესაძლებელია 2-3 წელიწადში ან ათეულ წელიწადში ერთხელ ჩამოვიდეს.

შემოკლებები

ა	აღმოსავლეთი	რ-ბა	რაოდენობა
გრად.	გრადუსი	ს	სამხრეთი
დ	დასავლეთი	სა	სამხრეთ-აღმოსავლეთი
კურ.	კურორტი	სდ	სამხრეთ-დასავლეთი
მდ.	მდინარე	სმ	სანტიმეტრი
მს	მეტეოროლოგიური სადგური	სოფ.	სოფელი
მწვ.	მწვერვალი	ჩ	ჩრდილოეთი
მ.	მეტრი	ჩა	ჩრდილო-აღმოსავლეთი
ნახ.	ნახატი	ჩდ	ჩრდილო-დასავლეთი
რ-ნი	რაიონი	ჰა	ჰექტარი

3. საქართველოს ზვავსაშიში რაიონები

მთიანი რეგიონების ზვავსაშიშროება დამოკიდებულია რელიეფის, კლიმატის და მცენარეული საფარის თავისებურებაზე. რელიეფი ერთ-ერთ ზვავწარმოქმნელ ფაქტორს წარმოადგენს, მის ძირითად ელემენტზე – ფერდობების დახრილობაზეა დამოკიდებული ზვავის ჩამოსვლის შესაძლებლობა. ტერიტორიის ზვავაქტიურობა, ზვავშემკრებების გავრცელებისა და ზვავების ჩამოსვლის სიხშირე, ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა, თოვლის საფარის კრიტიკული სიმაღლე, ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები, ასევე დამოკიდებულია რელიეფის დახრილობაზე. ზვავი 15⁰ და მეტი დახრილობის ფერდობიდან შეიძლება ჩამოვიდეს. თოვლიანობის ზრდის, ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატების, რელიეფის დანაწევრების და ტყით დაფარული ფერდობების შემცირების გამო იზრდება ზვავის ჩამოსვლის შესაძლებლობა.


საქართველოს ტერიტორიის 43%-თვის დამახასიათებელია ზედაპირის 15⁰-მდე დახრილობა; 31%-თვის – 15-25⁰; 21%-თვის – 25-35⁰, ხოლო 5%-თვის 35⁰-ზე მეტი დახრილობა. 200 მ-ზე დაბლა მდებარეობს საქართველოს ტერიტორიის 11%, 200-დან 1000 მ-მდე განთავსებულია – 35%, 1000 მ-დან 2000 მ-მდე – 35%, 2000 მ-დან 3000 მ-მდე – 17%, ხოლო 3000 მ-ზე მაღლა – 2%. ტერიტორიის 40%-მდე ტყით არის დაფარული. ტყეს დიდი ფართობი საშუალომთიან ზონაში უკავია. ტერიტორიის 16% ფოთლოვანი, 15% –შერეული, ხოლო 7% – წიწვოვანი ტყით არის დაფარული. ტყე შენარჩუნებულია ციკაბო, ძნელად მისაწვდომ ფერდობებზე, ხოლო დამრეც და ადვილად მისაწვდომ ფერდობებზე ტყე თითქმის არ არსებობს.

მეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოების მრავალწლიანი (>60 წელი) მონაცემების საფუძველზე, თოვლიანობის მიხედვით გამოვყავით მცირეთოვლიანი, საშუალოთოვლიანი, უხეთოვლიანი და განსაკუთრებით უხეთოვლიანი რაიონი (მ. სალუქვაძე, ნ. ლომიძე, 2017; ლ. ქაღდანი, მ. სალუქვაძე, 2001). მცირეთოვლიან რაიონში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე მერყეობს 30-50 სმ-დან 140-160 სმ-მდე, საშუალო სიმაღლე – 10-20 სმ-დან 30-50 სმ-მდე, მინიმალური სიმაღლე – 0-დან 5-15 სმ-მდე; ერთი თოვის დროს მოსული თოვლის საფარის მაქსიმალური ნამატი აღწევს 80-100 სმ-ს, ხოლო დღე-ღამური ნამატი 50-70 სმ-ს; საშუალოთოვლიან რაიონში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება 60-100 სმ-დან 450-500 სმ-მდე, საშუალო სიმაღლე – 20-30 სმ-დან 120-150 სმ-მდე, მინიმალური სიმაღლე – 0-დან 10 სმ-მდე. ერთი თოვის დროს მოსული თოვლის საფარის მაქსიმალური ნამატი 150-200 სმ-ია, დღე-ღამური ნამატი კი 100-150 სმ. უხეთოვლიან რაიონში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იზრდება 100-120 სმ-დან 550-600 სმ-მდე, საშუალო სიმაღლე – 20-40 სმ-დან 280-320 სმ-მდე, ხოლო მინიმალური სიმაღლე – 0-10 სმ-დან 130-150 სმ-მდე. ერთი თოვის დროს მოსული თოვლის მაქსიმალური ნამატი 150-210 სმ-ია, დღე-ღამური ნამატი – 100-200 სმ; განსაკუთრებით უხეთოვლიან რაიონში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იცვლება – 100-120 სმ-დან 700-750 სმ-მდე, საშუალო სიმაღლე – 30-60 სმ-დან 450-500 სმ-მდე, მინიმალური სიმაღლე – 0-5 სმ-დან 200-250 სმ-მდე. თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი ერთი თოვისას აღწევს 250-300 სმ-ს, დღე-ღამური ნამატი – 150-170 სმ-ს.


საქართველოს ტერიტორიის 56% ზვავსაშიშ ზონაში მდებარეობს და ამასთან ტერიტორიის 20%-ზე, მიუხედავად იმისა უხეთოვლიანია თუ არა ზამთარი, ზვავი ყოველწლიურად ჩამოდის. რაც შეეხება ტერიტორიის 36%-ს, სწორედ აქ ხდება როგორც სპორადული (2-3 წელიწადში ან ათეულ წელიწადში ერთხელ), ისე სისტემატური (როდესაც ზვავის პარამეტრები სცილდება თავის ჩვეულ საზღვრებს) ზვავების ჩამოსვლა, რომელიც გამოირჩევა დიდი დამანგრეველი ძალითა და მსხვერპლით (ნახ. 1.1) (ც.ბასილაშვილი, მ.სალუქვაძე, გ.ხერხეულიძე, ვ.ცომია, 2012; მ.სალუქვაძე, 2011; მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2011; მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2011; ლ.ქაღდანი, მ.სალუქვაძე, 2013).

დასავლეთ საქართველოში როგორც სისტემატური, ისე კატასტროფული ზვავები აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, მეტ ტერიტორიას მოიცავს (ნახ.1.2), რაც განპირობებულია ზვავსაშიშროებისათვის აუცილებელი დახრილობის ფერდობების არსებობით, რელიეფის დანაწევრებით, უხვი ატმოსფერული ნალექების რაოდენობით.

მონაცემები საქართველოს მასშტაბით



ნახ. 1.1. საქართველოს ზეგვსაშიში რაიონები
ადმოსავლეთ საქართველო დასავლეთ საქართველო




ნახ. 1.2. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზეგვსაშიში რაიონები


ტერიტორიის ზეგვსაშიშროება გვიჩვენებს, ტერიტორიის რა ნაწილია ზეგვსაშიში. ხოლო ტერიტორიის ზეგვსაშიშროება კი მიუთითებს, ტერიტორიის რა ნაწილია აქტიური ზეგვების წარმოქმნის თვალსაზრისით. ზეგვსაშიშროების გამოვლენა საშუალებას იძლევა დადგინდეს მთიანი სისტემის, მდინარის აუზის ან ცალკეული ფერდობის რა ნაწილზე შეიძლება წარმოიქმნას ზეგვი. რაიონს, სადაც ტერიტორიის ზეგვსაშიშროება ნულის ტოლია, ანუ სადაც გამორიცხულია ზეგვების წარმოქმნა, საქართველოს მთლიანი ფართობის 44% უკავია (დასავლეთ საქართველოში – 32%, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 52% მთლიანი ფართობისა) (ნახ. 1.3).

საქართველოს მთლიანი ფართობის 12% უკავია რაიონს, სადაც ტერიტორიის ზეგვსაშიშროება 20-40%-ია, ხოლო სადაც ტერიტორიის ზეგვსაშიშროება დიდია (40-60%), საქართველოს მთლიანი ფართობის მხოლოდ 8% უკავია (ლ. ქალდანი, 2001; ლ. ქალდანი, მ. სალუქვაძე, 2015).

ზეგვსაშიშროების ხარისხი განვსაზღვრეთ ოთხი ძირითადი რაოდენობრივი მახასიათებელით: ტერიტორიის ზეგვსაშიშროებით, ზეგვსაშიშროების გავრცელების სიხშირით, ზეგვების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირით და ზეგვსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობით. საქართველოს ტერიტორიის ზეგვსაშიშროების რუკაზე (ავტორები ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე) გამოიყო განსაკუთრებით ძლიერი, ძლიერი, საშუალო, სუსტი და არაზეგვსაშიში რაიონები, რომელთაც უკავიათ 12, 33, 8, 3 და 44% შესაბამისად (ნახ. 1.4) (ლ. ქალდანი, 2001; ლ. ქალდანი, მ. სალუქვაძე, 2015; Л.А. Калдани, 1982).



ნახ.13. საქართველოს ზვავაქტიური ტერიტორიის სქემატური რუკა (ლ.ქალღანი, მ.სალუქვაძე)



ნახ.14. საქართველოს ზეავსაშიშროების ხარისხის სტრუქტურული რუკა (ლ.ქალღანი, მ.სალუქვაძე)

ზვავსაშიში რაიონების გამოვლენას საფუძვლად დაედო მრავალწლიანი საველე კვლევების (>40 წელი) მასალები, ჰიდრომეტეოლოგიის არქივში არსებული მონაცემები, ლიტერატურულ წყაროებში გამოქვეყნებული ინფორმაცია და სხვადასხვა წლების საგაზეთო პუბლიკაციები. 1852-1854 წწ. კავკასიურ კალენდრებში წარმოდგენილია ცნობები ზვავების ჩამოსვლის ადგილისა და მათ მიერ მიყენებული ზიანის შესახებ მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში (Кавказский календарь, 1854). ინფორმაცია ბოლო წლების ზვავების ჩამოსვლის შესახებ, ასევე კადასტრში არსებული სურათები ინტერნეტითაა მოპოვებული. ავტორის და თანაავტორობით მიერ გადაღებულ ფოტოებზე, ასევე ავტორების მიერ შედგენილ ზვავსაშიშროების რუკებზე და სქემებზე მითითებულია შემსრულებლის გვარი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1971 წლის თებერვალში, ასევე 1976 და 1987 წლების იანვარში, კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლის შემდეგ ჩატარებული აეროვიზუალური დაკვირვებისა და საველე სამუშაოების დროს მოპოვებული მასალის ანალიზი, რადგან იმ უხვთოვლიანი წლების ზამთრის თვეებში, თითქმის ყველა ზვავშემკრებიდან ჩამოვიდა ზვავი.

ამიერკავკასიისა და დაღესტნის თოვლის ზვავების კადასტრზე მუშაობის პერიოდში (1983-1989 წწ.) ჩატარებული ექსპედიციების დროს, საკმაოდ დიდი მასალა მოვიპოვეთ თოვლის ზვავების შესახებ. მნიშვნელოვანი იყო აღრეულ გაზაფხულზე ჩატარებული კვლევები, როდესაც ზვავის კონუსები მკვეთრად იყო რელიეფში გამოსახული. ასევე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი მოსახლეობისა და უხუცესების გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, განსაკუთრებით სპორადულ, იშვიათად განმეორადობის ზვავებზე, რომელთა ჩამოსვლის კვალი დროთა განმავლობაში რელიეფში იკარგება (К.Л.Абдушелишвили, Л.А. Калдани, М.Е. Салуквадзе, 1979; К.Л.Абдушелишвили, Л.А. Калдани, М.Е. Салуквадзе, 1982; К.Л.Абдушелишвили, Л.А. Калдани, М.Е. Салуквадзе, 1984; К.Л.Абдушелишвили, Л.А. Калдани, М.Е. Салуквадзе, 1986; К.Л.Абдушелишвили, Л.А. Калдани, М.Е. Салуквадзе, 1989.)


ყველა ზემოჩამოთვლილი წყაროს თუ მასალის ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ზვავსაშიშია კავკასიონის მთავარი ქედის გადამკვეთი (ქუთაისი-მამისონის უღელტეხილი, გორი-როკის გვირაბი, თბილისი-ლარსი, ახმეტა-ომალო), აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთთან დამაკავშირებელი, ახალციხე-ბათუმი, თბილისი-ქუთაისი, აგრეთვე საქართველოს ბარის მთასთან, მთიან რაიონებში მდებარე დასახლებული პუნქტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების გარკვეული მონაკვეთები. იგივე შეიძლება ითქვას ელექტროგადამცემი ხაზების ცალკეულ ანძებზე თუ ბოძებზე, რომლებიც ზვავსაშიშ ფერდობებზეა განთავსებული.

საქართველოს მთიან ნაწილში ათი ათასზე მეტი ზვავშემკრებია, მაგრამ 1108 ზვავშემკრებში წარმოქმნილი ზვავი, 338 დასახლებულ პუნქტს და ცალკეულ ობიექტებს (საავტომობილო გზა, უღელტეხილი, ელექტროგადამცემი ხაზები, ანძები და სხვა) ემუქრება. წლების განმავლობაში (1843 წლიდან) ზვავების ჩამოსვლის შედეგად საქართველოში, ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, დაიღუპა 650-ზე მეტი ადამიანი, დაინგრა და დაზიანდა ასობით საცხოვრებელი სახლი. აღსადგენი გახდა ასეულობით სკოლა, საბავშვო ბაღი, საკურორტო ნაგებობა, საავადმყოფო, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, დამხმარე ნაგებობები და წისქვილი. შესაკეთებელი გახდა 1000 კმ-ზე მეტი სიგრძის გზა, ასევე კმ-ზე აღსადგენი გახდა ელექტროგადამცემი ხაზები. 338 დასახლებული პუნქტიდან, ზვავების ჩამოსვლამ ნგრევასთან და დაზიანებასთან ერთად ადამიანთა მსხვერპლიც გამოიწვია. ზვავსაშიში პუნქტების რაოდენობით გამოირჩევა მესტიის, დუშეთის, ხულოს, ლენტეხის, ჯავის, შუახევის რაიონები (ნახ. 1.5) (მ. სალუქვაძე, 2011; მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2012; მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2012; ლ. ქაღანი, მ. სალუქვაძე, 1994; ლ. ქაღანი, მ. სალუქვაძე, 2015).

ელექტროგადამცემი ხაზებისა და ანძების დაცვა შედარებით ადვილია, რადგან ანძებისა და ბოძებისათვის, არაზვავსაშიში ადგილის შერჩევა და მათი გადატანა უსაფრთხო ადგილზე, დიდ დანახარჯს არ მოითხოვს ხოლო, ზვავსაშიშ მაგისტრალზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, ზვავსაშიშროების დროული პროგნოზით და ზვავსაშიში პერიოდის განმავლობაში, მოძრაობის შეზღუდვით არის შესაძლებელი.

დასახლებული პუნქტების დაცვა შედარებით რთულია, რადგან დროულად გაცემული პროგნოზით და მოსახლეობის ევაკუაციით შესაძლებელია მსხვერპლის თავიდან აცილება, მაგრამ ზვავსაშიშ ზონაში მდებარე ნაგებობის ნგრევის ალბათობა დიდია. ეფექტური ზვავ-

საწინააღმდეგო ღონისძიებების გასატარებლად, აუცილებელია უფრო სრულყოფილად და ზუსტად დახასიათდეს ზვავშემკრები და განისაზღვროს ზვავის დინამიკური მახასიათებლები.



ნახ. 1.5. საქართველოს ზვავსაშიში და პოტენციურად ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები (ლ.ქაღდანის, მ.სალუქვაძე)

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მეცნიერები ვასილ ცომაია, კოტე აბდუშელიშვილი, კარლო უკლება, ლადო ქაღდანის, მანანა სალუქვაძე, თეიმურაზ სიმონია, მარინა კარტა-


შოვა, ლევან სესიაშვილი, ბელა გოგოლაძე, ზურაბ ქურდოვანიძე, ზაზა ებრაღიძე, ნუნუ ღვინაძე, ნათელა კობახიძე ინსტიტუტის დაარსების დღიდან (1953 წ) მონაწილეობდნენ ექსპედიციებში. გარდა ამისა, ინსტიტუტი მეთოდურ დახმარებას უწევდა არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის ქვეყნებსა და დაღესტანს, ზვაგებისა და თოვლის საფარის შესწავლაში. შედგენილი იყო ამიერკავკასიისა და დაღესტნის თოვლის ზვაგების კადასტრის სამი გამოცემა – 1984, 1986 და 1989 წწ. (ავტორები: კოტე აბდუშელიშვილი, ლადო ქაღდანი, მანანა სალუქვაძე), სადაც, ისევე როგორც მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვის, დახასიათებული იყო თოვლის ზვაგები ამიერკავკასიის ქვეყნებსა და დაღესტანში (K.Л.Абдушелишвили, Л.А. Калдани, М.Е. Салуквадзе, 1984; K.Л.Абдушелишвили, Л.А. Калдани, М.Е. Салуквадзе, 1986; K.Л.Абдушелишвили, Л.А. Калдани, М.Е. Салуквадзе, 1989).

წლების განმავლობაში მოპოვებული საველე, კარტოგრაფიული მასალის დამუშავებისა და თეორიული მეთოდების გამოყენებით აუცილებლად მივიჩნით სრულყოფილი „საქართველოს თოვლის კადასტრის“ შედგენა, სადაც ყოველი ზვაგშემკრების მორფომეტრიული (დასაწყისისა და დასასრულის სიმაღლე, სიგრძე, კერის ფართობი, ზედაპირის დახრილობა) და ზვაგის დინამიკური მახასიათებლები (მაქსიმალური სიჩქარე და დარტყმის ძალა, კონუსის მოცულობა და მოძრავი ზვაგის მაქსიმალური სიმაღლე) იქნება წარმოდგენილი. ჩვენს მიერ შედგენილ კადასტრში წარმოჩენილია სხვადასხვა მდინარის ხეობის, კურორტის თუ რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება და თოვლის საფარი, ცალკეულ წლებში ზვაგის ჩამოსვლით გამოწვეული ზიანი, შედგენილია ზვაგების გავრცელების სქემატური რუკები, დანართის ძირითად ცხრილებში მითითებულია ზვაგშემკრების ადგილმდებარეობა მდინარის აუზების მიხედვით და შესაბამისი ნომრით.


ზვაგშემკრების მორფომეტრიულ და ზვაგების დინამიკური მახასიათებლების ცხრილის (იხ. დანართის ცხრილები) პირველ ნაწილში (გრაფა 2-9) მოცემულია მონაცემები ზვაგშემკრებისა და მისი ცალკეული მონაკვეთების აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლის შესახებ, ჰორიზონტალურ და ფაქტიურ სიგრძეზე, ზედაპირის დახრილობაზე, ზვაგის კერის ფართობზე. ცხრილის პირველ ნაწილში მოყვანილი მონაცემების საფუძველზე ხდება ცხრილის მეორე ნაწილში (გრაფა 10-15) მოყვანილი მონაცემების გამოთვლა. კერძოდ, წარმოდგენილია ციფრობრივი მონაცემები ზვაგშემკრების ცალკეულ მონაკვეთზე ზვაგის სიჩქარისა და დარტყმის ძალის სიდიდეებზე, ზვაგის კონუსის მოცულობაზე, მოძრავი ზვაგის თოვლის სიმაღლეზე, ზვაგის სიგრძეზე, ზვაგის გაჩერების ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე, რომელიც ცხრილში მუქი დახრილი შრიფტითაა ასახული მაგ. **3, 16 1330, 495**; ყოველი ზვაგშემკრების დახასიათების ბოლო გრაფაში მითითებულია ადგილი, სადაც გაჩერდება ზვაგი. მაგ. **გაიგლის შენობასთან, გადაკვეთს მდინარეს, გზას და ჩერდება მოპირდაპირე ფერდობზე**. გარდა ამ ციფრობრივი მონაცემებისა, მოცემულია თითოეული ზვაგშემკრების ნომერი, მდებარეობა (მდინარის ხეობა, იმ მთის ან მწვერვალის სიმაღლე, სადაც იწყება ზვაგშემკრები). მითითებულია დასახლებული პუნქტი, სადაც ზვაგმა შესაძლებელია გამოიწვიოს ზარალი. აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ ზვაგშემკრების თითოეული წერტილის ნომრებს. პირველი გრაფის ნუმერაცია და ასევე 2-15 გრაფაში წარმოდგენილი სიდიდეები დახრილი მუქი შრიფტით, მიუთითებს ზვაგის იმ მონაკვეთზე, სადაც ხდება ზვაგის უშუალო შეხება გზასთან, მდინარის ხეობასთან, შენობებთან ან მოპირდაპირე ფერდობთან. მესამე გრაფაში რიცხვის წინ მინუს ნიშანი, მაგ. -40, მიუთითებს, რომ ზვაგმა გზა, ხევი ან მდინარე გადაკვეთა და გაჩერდა მოპირდაპირე ფერდობზე.

4. თოვლის ზვანები აფხაზეთის ტერიტორიაზე

დასავლეთ საქართველოს ზვანაშიშროების შესწავლა დავიწყეთ ბზიფისა და კოდორის ანუ დაღის აუზიდან, კერძოდ, მდინარეების ლაშიფსეს, ავადჰარას, კოდორის, ჩხალთას, ხეცკვარას, გვანდრას და საკენის ხეობებიდან, სადაც 17 ზვანშემკრების მორფომეტრიული და ზვანების დინამიკური მახასიათებლებია წარმოდგენილი (ნახ. 4.1; დანართი 1 - ცხრ. 4.2). ეს ის ზვანებია, რომლებიც კურორტ რიწას (სურ. 4.2), ავადჰარას, სგიმარს და ამ რეგიონის დასახლებულ პუნქტებს ემუქრება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხაიში-ჭუბური-საკენის საავტომობილო გზაზე, რომელიც ხაიშიში იწყება და მთავრდება კოდორის ხეობაში, ე.წ. აფხაზეთის სვანეთის ამჟამად ოკუპირებულ, ტერიტორიაზე 104 ზვანშემკრებია (დანართი 1 – ცხრ.4.3).



ნახ. 4.1. მდ.ბზიფისა და კოდორის ხეობები (აფხაზეთი) georgianency)



სურ. 4.2. რიწის ტბის მიმდებარე ზვანაშიში ფერდობები (Idyugeorgia.weeble.com)

მდ. ბზიფის და კოდორის აუზების ზვავსაშიშროება რთული რელიეფით (დიდი ჰორი-ზონტალური და ვერტიკალური დანაწევრება) გამოირჩევა. დანაწევრების სიღრმე საშუალომ-თიან ზონაში 400-800 მ-ს, ხოლო მაღალმთიანში 1000-1500 მ-ს აღწევს. განსაკუთრებით დიდი დანაწევრებით მდ. ბზიფისა და მდ. კოდორის აუზები გამოირჩევა. ამ ტერიტორიის 51% და-ბალმთიან, 33% საშუალომთიან და 16% მაღალმთიან ზონაში მდებარეობს. მთიანი ფართობის 70%-ზე ზედაპირის დახრილობა 15⁰-ზე მეტია, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზვავების ჩა-მოსვლისთვის. ეს ტერიტორია განსაკუთრებით უხვთოვლიან რაიონს მიეკუთვნება. მყარი ნა-ლექების მაქსიმალური წლიური რაოდენობა 350 მმ-დან 2000 მმ-მდე იზრდება. თოვლის საფა-რის მაქსიმალური სიმაღლე მთელ ტერიტორიაზე 100-დან 400 სმ-მდე, საშუალო სიმაღლე – 30 სმ-დან 500 სმ-მდე, ხოლო მინიმალური სიმაღლე 0-დან 250 სმ-მდე იცვლება. ასევე დიდია თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი, როგორც ერთი თოვის დროს (96-212 სმ), ისე დღე-ღამე-ში (55-110სმ). თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე, ასევე 50-400 სმ-ზე მეტი სიმაღლის განმეორადობა წარმოდგენილია ცხრილში (ცხრ.4.1) (მ.სალუქვაძე, ნ. ლომიძე, 2017).

ცხრილი 4.1. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და განმეორადობა

№	მეტეოსადგური	მს სიმაღლე (დაკვირ-ვების წლები)	მაქს. სიმაღლე სმ, (წელი)	განმეორადობა				
				>50-100	101-200	201-300	301-400	>400
1	გაგრა	7 (41)	25 (1954)	1	-	-	-	-
2	ოჩამჩირე	7 (17)	125 (1950)	-	1	-	-	-
3	ლათა	299 (56)	102 (1964)	15	2	-	-	-
4	ფსხუ	685 (58)	290 (1977)	15	24	4	-	-
5	ჩხალთა	710 (29)	135 (1959)	11	3	-	-	-
6	გენწვიში	780 (15)	179 (1954)	6	6	-	-	-
7	ავადჰარა	1600 (5)	394 (1952)	-	1	2	2	-
8	გაგრის ქედი	1644 (62)	349 (1988)	3	18	25	6	-

ზვავაქტიურობა 20%-ზე ნაკლები დაბალმთიან და საშუალომთიან ზონებშია, რაც გან-პირობებულია შერეული და წიწვოვანი ტყეების ფართო გავრცელებით. ტერიტორიის 15% მო-დის რაიონზე, სადაც ზვავაქტიურობა 20-49%-ია. ძირითადად, ის მოიცავს ფოთლოვანი ტყით დაფარულ საშუალომთიან ზონას. სუბალპურ ზონაში ტერიტორიის ზვავაქტიურობა 40-60%, ხოლო ალპური ზონის ციკაბო ფერდობებზე ტერიტორიის ზვავაქტიურობა 60-80%-ია. შესა-ბამისად აღნიშნულ რაიონებს 12-13% უკავიათ (ლ. ქალდანი, 2001; ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, 2011).

აფხაზეთის ტერიტორიაზე ზვავაქტიურობა დიდ ფარგლებში იცვლება. რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნულის ტოლია, მდ. ბზიფისა და კოდორის აუზების 28% უკავ-ია და ზღვისპირა და მთისპირა დაბალმთიან ზონას მოიცავს (ლ. ქალდანი, მ.სალუქვაძე, ნ. კობახიძე, 2001).


აფხაზეთის მთიან ნაწილში (სურ. 4.2) ზვავსაშიშროებით გამორჩეული ოთხი ძირითადი მონაკვეთია. ერთ-ერთი ასეთი უბანი მდ. გეგას მარცხენა დიდი შენაკადის, მდ. იუფშარას მი-დამოებშია (სურ. 4.3). ამ მონაკვეთზე მდინარეების ლაშიფსესა და ავადჰარას აუზებში მრავალი ზვავშემკრები.

მეორე გამორჩეულად ზვავსაშიშროებით მონაკვეთი მდ. ბზიფის მარჯვენა შენაკადის, მდ. ბავიუს სათავიდან მდ. ბაულის შესართავამდეა. თოვლის სიმაღლე, მს ფსხუსა და თოვლის მარშრუტული აგეგმვის მასალების მიხედვით 530 სმ-ს აღწევს. ფერდობების დახრილობა (17-50⁰) და უხვი ნალექები ხელს უწყობს ზვავების ჩამოსვლას. ამ მონაკვეთზე სჭარბობს ზვავშემკრები.

მესამე მონაკვეთი ბზიფის ქედის ჩრდილო ფერდობებზეა. იგი მოიცავს სოფ. „სერებრიანოე“-ს და მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირს მდ. ბავიუსთან შეერთების ადგილამდე (სურ. 4.4). ამ მონაკვეთზე ადგილი აქვს სისტემატური ზვავების ჩამოსვლას.



სურ. 4.3. ზგავის კონუსი გეგას ჩანჩქერთან (KA.Wikipedia)



სურ. 4.4. ბზიფის ქედის ჩრდილო ფერდობები (wikimapia.org)

მეოთხე მონაკვეთი კოდორის, ანუ როგორც მას უწოდებენ დალის ხეობაა (სურ. 4.5). ე.წ. აფხაზეთის სვანეთი.

მდ.კოდორის აუზის მთიანი ნაწილისა და საავტომობილო გზის ხაიში-ჭუბერი-საკენის მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ზგავწარმოქმნელი ფაქტორები (რელიეფი, მცენარეული საფარი, კლიმატი) ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზგავების წარმოქმნისა და ზგავშემკრებების გავრცელებისათვის.

ტერიტორიისათვის დიდი ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწევრებაა დამახასიათებელი. დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან – აძგარის, კავკასიონის და სვანეთის მაღალი ქედები ესაზღვრება, ხოლო მერიდიონალური მიმართულების კოდორის ქედით ორ – დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილად იყოფა. მდ. კოდორისა და მდ. ენგურის (მდ.

ნენსკრას) მრავალრიცხოვანი შენაკადების ხეობებსა და დასახელებულ ქედებს შორის მდებარე ფერდობების დახრილობა აღემატება 20-25⁰-ს, ხოლო ქედების თხემების მიმდებარე ფერდობების დახრილობა – 30-35⁰-ს. ხეობები ვიწროა, მხოლოდ მდინარეების კოდორის, გვანდრას, საკენის და ნენსკრის ხეობების ცალკეული მონაკვეთებია შედარებით ფართო.



სურ. 4.5 სოფ. საკენის ტერიტორია (კოდორის ხეობა) (wikimapia.org)

ხეობის ფართო ნაწილის ზედაპირი მცირე დახრილობით (5-10⁰ და ნაკლები) გამოირჩევა. საკელევი ტერიტორიის მცირე ნაწილი მდებარეობს დაბალმთიან ზონაში, უმეტესი ნაწილი – საშუალომთიან, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილი – მაღალმთიან ზონაში.

საკელევი ტერიტორია მიეკუთვნება განსაკუთრებით უხვთოვლიან რაიონს (ლ.ქალდანი, მ.საღუქვაძე, 2001). რაიონში მყარი ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა იცვლება 10-60 მმ-დან (ზღვის დონიდან 20-300 მ) 1250-1300 მმ-მდე (1800-2000 მ), მაქსიმალური რაოდენობა – 350-400 მმ-დან 1900-2000 მმ-მდე, ხოლო მინიმალური რაოდენობა – 0-50 მმ-დან 600-700 მმ-მდე. განსაკუთრებით უხვთოვლიან რაიონში თოვლის საფარის სიმაღლე, ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად კანონზომიერად იზრდება; თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იცვლება 100-120 სმ-დან 700-750 სმ-მდე, საშუალო სიმაღლე – 30-35 სმ-დან 450-500 სმ-მდე, ხოლო მინიმალური სიმაღლე 0-10 სმ-დან 230-240 სმ-მდე. დიდია თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი, როგორც თოვის დროს, ისე დღე-ღამეში. ერთი თოვის დროს მოსული თოვლის საფარის სიმაღლის მაქსიმალურმა ნამატმა შეიძლება მიაღწიოს 150-330 სმ-ს, ხოლო მაქსიმალურმა დღე-ღამურმა ნამატმა – 80-100 სმ-ს.

საკელევ ტერიტორიაზე თოვლის საფარის მახასიათებლებზე საინტერესო მონაცემები ხაიში-ჭუბერი-საკენის საავტომობილო გზაზე (კოდორის ქედის ფერდობზე), ზღვის დონიდან 2020 მ-ზე მდებარე მეტეოროლოგიური საგუშაგოდან ავიღეთ, რომელმაც სამწუხაროდ მხოლოდ 9 თვე (ნოემბერი, 2007 წ. – აგვისტო, 2008 წ.) იმუშავა. 2007-2008 წწ. ზამთარი საშუალოთოვლიანი იყო; საქართველოში ყველაზე მაღალმთიანი მეტეოსადგურის – ჯვრის უღელტეხილის (2395 მ) მონაცემებითაც კი, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იყო 305 სმ (31. 01. 2007 წ.), თოვლის საფარის სიმაღლის მაქსიმალური ნამატი ერთი თოვისას – 180 სმ (28-31.12.2007 წ.), ხოლო დღე-ღამური ნამატი – 120 სმ (29-30.12.2007 წ.). ამავე საშუალოთოვლიან ზამთარში ჭუბერის უღელტეხილის მეტეოსაგუშაგოს მონაცემებით, რომელიც ზღვის დონიდან 2020 მ-ზე მდებარეობდა, თოვლის საფარის მაქსიმალურმა სიმაღლემ მიაღწია 520 სმ-ს (20.02.2008 წ.), თოვლის საფარის მაქსიმალურმა ნამატმა ერთი თოვისას – 265 სმ-ს (15-20.02.2008 წ.), ხოლო დღე-ღამურმა ნამატმა – 120 სმ-ს (18-19.02.2008 წ.). მოყვანილი მაგალითებიდან ცხადია, თუ თოვლის რა დიდი რაოდენობა მოდის მდ. კოდორის აუზის მთიან ნაწილში.

ტერიტორიის მცენარეული საფარი ტყის ფორმაციების მრავალფეროვნებითა და ტიპოლოგიური შემადგენლობის სიმდიდრით ხასიათდება. ნაწილი დაფარულია დაბალმთიანი, სა-

შუალომთიანი და მაღალმთიანი ზონების ტყის ფორმაციებით. განსაკუთრებით დიდი ფართობი (მთელი ტერიტორიის 70-75%) ტყეებს საშუალომთიან ზონაში უკავია. დაბალმთიან ზონაში ტყე სახეშეცვლილია ადამიანის საქმიანობის შედეგად. ფართოდაა გავრცელებული, როგორც ფოთლოვანი, ასევე შერეული და წიწვოვანი ტყის საფარი. ზღვის დონიდან 1400-1500 მ-მდე ჭარბობს ფოთლოვანი ტყე (წაბლი, წიფელა და სხვა), 1500-2000 მ-მდე გავრცელებულია წიწვოვანი ტყის ჯიშები (ნაძვი, სოჭი და სხვა). ტყის ზემოთ დიდი ფართობი უკავიათ სუბალპურ და ალპურ ზონებს (მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, 2015; ლ.ა. კაღანი, მ.ე. სალუკვაძე, გ. ჯინჩარაძე, 2009).

მთიანი რეგიონების ზვავსაშიშროებას განსაზღვრავს გეოგრაფიული პირობებით განპირობებული ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლები: ტერიტორიის ზვავაქტიურობა (ზვავაქტიური ფერდობების ფართობის შეფარდება საერთო ფართობთან პროცენტში), ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე (ზვავშემკრებების რაოდენობა ფართობის ერთეულზე), ზვავების ჩამოსვლის სიხშირე (ზვავშემკრებიდან ზვავების ჩამოსვლის რაოდენობა ერთ ზამთარში) და ზვავსაშიშროების პერიოდის ხანგრძლივობა (ზვავსაშიშროება რაოდენობა ერთ ზამთარში).

ტერიტორიაზე ზვავწარმოქმნელი ფაქტორები დიდ ცვლილებებს განიცდის, როგორც სივრცეში (რელიეფი, მცენარეული საფარი), ისე სივრცესა და დროშიც (კლიმატური ფაქტორები). შესაბამისად, ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლებიც დიდ ცვლილებას განიცდის. დაბალმთიან ტყით დაფარულ ფერდობებზე ტერიტორიის ზვავაქტიურობა ნაკლებია 15-20%-ზე (ზვავსაშიშროება ფერდობების 15-20%-ზე ნაკლები), ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე ნაკლებია 3-5 ზვავშემკრებზე 1 კმ², ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე არ აღემატება 4-5-ს, ხოლო ზვავსაშიშროების პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა – 20-30 დღეს ერთ ზამთარში. სუბალპურ და ალპურ ზონაში არსებულ ციცაბო ფერდობებზე ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლები აღწევს შემდეგ სიდიდეებს: ტერიტორიის ზვავაქტიურობა – 75-80%-ს, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე – 18-20 ზვავშემკრებს 1 კმ²-ზე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე – 18-20 შემთხვევას და ზვავსაშიშროების პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა – 200-220 დღეს ერთ ზამთარში. ტერიტორიის თითქმის ნახევარი საშუალო ზვავსაშიშროების რაიონს უკავია (ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, ნ. კობახიძე, 2006), რაც ტყის საფარის არსებობითაა გამოწვეული. ტყის საფარის გაჩეხვის შემთხვევაში, საშუალო ზვავსაშიშროების რაიონის უმეტესი ნაწილი ძლიერ და განსაკუთრებით ძლიერ ზვავსაშიშროების რაიონი გახდება.

მდ. კოდორის აუზი არ გამოირჩევა ზვავსაშიშროების დასახლებული პუნქტების დიდი რაოდენობით. თუკი, მეზობლად მდებარე მდ. ენგურის აუზში ზვავსაშიშროების რაოდენობა არის 61, აქ მათი რაოდენობა მხოლოდ 11-ია. მდ. კოდორის აუზში ზვავების ჩამოსვლას ადამიანთა მსხვერპლი არ გამოუწვევია. თერთმეტი ზვავსაშიშროების დასახლებული პუნქტიდან ოთხში (ხეწკარა, ხუტია, გვანდრა და სვიმარი) ზვავების ჩამოსვლამ სხვადასხვა წლებში, საცხოვრებელი სახლებისა და დამხმარე ნაგებობების ნგრევა და დაზიანება გამოიწვია. შვიდი დასახლებული პუნქტი პოტენციურად ზვავსაშიშროებია. როგორც ზვავწარმოქმნელი ფაქტორების, ასევე თეორიული მეთოდების გამოყენებით ჩატარებული გამოთვლების ანალიზმა აჩვენა, რომ დიდია ამ პუნქტებში ზვავების ჩამოსვლის ალბათობა (მ.სალუქვაძე, 2011; მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ. ჯინჯარაძე, 2011; მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ. ჯინჯარაძე, 2012)

თერთმეტი დასახლებული პუნქტისათვის საშიში ზვავშემკრებების მორფომეტრიული და მათში წარმოქმნილი ზვავების დინამიკური მახასიათებლები დიდ ფარგლებში იცვლება და მოყვანილი მონაცემები კარგად ახასიათებს საშიშ ზვავშემკრებებსა და მათში წარმოქმნილ ზვავებს (დანართი 1, ცხრილი 4.3).

საავტომობილო მაგისტრალი ხაიში-ჭუბერი-საკენი 2006-2008 წლებში იქნა გაყვანილი. 50კმ სიგრძის გზა უნდა გამხდარიყო მდ.კოდორის აუზის მოსახლეობის როგორც ზედა სვანეთთან (მესტიის რაიონი), ისე დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი მაგისტრალი. კერძოდ, ამ გზით სოფ. საკენიდან სოფ. ხაიშიში მოსახვედრად 50 კმ-ის გავლას 2-3 საათი დასჭირდებოდა, მაშინ როცა მეორე გზით, იგივე სოფ. საკენიდან სოფ. ხაიშიში მანქანით მოსასვლელად – 300 კმ-ის გავლა და 9-11 საათი იყო საჭირო. ხაიში-ჭუბერი-საკენის 50 კმ-იანი საავტომობილო გზის გავლის შემდეგ, შესაძლებელი იქნებოდა როგორც ზუგდიდში, ისე მესტიაში გამგზავრებაც. ამასთანავე, მანძილი სოფ. ხაიშიდან დაბა მესტიაში და სოფ. ხა-

იშიდან ქალაქ ზუგდიდამდე თანაბარია და 70 კმ-ს შეადგენს. ამ გზით საკენიდან ზუგდიდამდე მისასვლელად მხოლოდ 120 კმ-ის გავლა და 4-6 საათი იქნებოდა საჭირო.

ხაიში-ჭუბერი-საკენის საავტომობილო გზა, ზუგდიდი-ჯვარი-ხაიში-მესტია-უშგულის საავტომობილო გზას, სოფ. ხაიშთან ახლოს – „საგერგილის“ ხიდთან გამოეყოფებოდა.

გზა, რომელიც იწყებოდა სოფ. ხაიშში, დასაწყისში მიუყვებოდა მდ. ენგურის ხეობას, გადადიოდა მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადის მდ. ნენსკრის (მდ. ჭუბრულას) ხეობაში, შემდეგ მდ. ნენსკრის მარჯვენა შენაკადის მდ. დარჩი-ორმელეთის ხეობას გადაკვეთდა, ზღვის დონიდან 2126 მ-ზე მდებარე, ჭუბერის უღელტეხილზე, ჩაუყვებოდა მდ. საკენის მარცხენა ფერდობს და მთავრდებოდა სოფ. საკენში.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კოდორის (დალის ხეობის) იმ მონაკვეთზე ყურადღების გამახვილება, რომელიც მდ. ენგურის აუზში მდებარეობს, რადგან ხუდონწყისის აშენების შემთხვევაში, ზუგდიდი-მესტიის მაგისტრალის ნაწილი სწორედ ამ ტერიტორიაზე გაივლის. მდ. ნენსკრას და დარჩი-ორმელეთის აუზებში ტყის მასიური ჭრა, ინგირის ქალაქის კომბინატის ნედლეულით უზრუნველსაყოფად, მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ციცაბო ფერდობებზე ტყის განადგურებამ მრავალი ახალი ზვავის კერის წარმოქმნას შეუწყო ხელი. ტყის მასიური ჭრა მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან შეწყდა. გაჩეხილი ტყის ადგილას ახალი მოზარდი ტყე წარმოიქმნა. თუ შენარჩუნებული იქნება გზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ტყის საფარი, მაშინ არ გაიზრდება საშიში ზვავშემკრებების რაოდენობა და შესაბამისად გზის ზვავსაშიშროებაც მნიშვნელოვნად შემცირდება.

მდ. ენგურის ხეობაში მდებარეობს საავტომობილო გზისთვის საშიში 4, მდ. ნენსკრას ხეობაში – 12 ზვავშემკრები, ხოლო მდ. დარჩი-ორმელეთის ხეობაში – 57, მდ. საკენის ხეობაში – 31 ზვავშემკრები. კოდორის ქედის (ჭუბერის უღელტეხილის) აღმოსავლეთით, მდ. ენგურის აუზში მდებარეობს 73 ზვავშემკრები, ხოლო ქედის დასავლეთით, მდ. საკენის (მდ. კოდორის) აუზში – 31 ზვავშემკრები.

104 ზვავშემკრებისათვის დადგენილი იქნა ზვავშემკრებების მორფომეტრიული და მათში წარმოქმნილი ზვავების დინამიკური მახასიათებლები, ისეთივე როგორც დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების მორფომეტრიული და მათში წარმოქმნილი ზვავების დინამიკური მახასიათებლები (დანართი 1, ცხრ.4.3).

ხაიში-ჭუბერი-საკენის საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიაზე ფართოდაა გავრცელებული ზვავები, რომელთა დარტყმის მაქსიმალური ძალა არის 26-50 ტ/მ-ზე (საერთო რაოდენობის 42%), კონუსის მაქსიმალური მოცულობა – 5-25 ათასი მ³ (31%), ხოლო მოძრავი ზვავის სიმაღლე – 26-30 მ (50%). ყველაზე დიდი დარტყმის ძალა (129 ტ/მ²) აქვს მდ. ენგურის ხეობაში მდებარე ზვავშემკრებს, ხოლო ყველაზე მცირე – (13 ტ/მ²) მდ. ენგურისა და მდ. ორმელეთის ხეობებში მდებარე ზვავშემკრებებში წარმოქმნილ ზვავებს. საკვლევ ტერიტორიაზე ზვავის კონუსის მაქსიმალური მოცულობა იცვლება 1200 მ³-დან (მდ. ენგურის ხეობა) 2058000 მ³-მდე (მდ. დარჩი-ორმელეთის ხეობა).

ზვავშემკრებების (ზვავის კერის) ფართობი 0,1 ჰა-დან (მდ. ნენსკრას ხეობა), 80 ჰა-მდე (მდ. დარჩი-ორმელეთის ხეობა); განსაკუთრებით გამოირჩევა ზვავშემკრები, რომელთა ფართობი $\leq 0,3$ ჰა-ზე. საკვლევ გზის მიმდებარე ტერიტორიაზე ზვავის კერების (საერთო რაოდენობის 31%) ზედაპირის დახრილობა 31-35⁰. ზვავის კერის ზედაპირის დახრილობა იცვლება 22⁰-დან (მდ. დარჩი-ორმელეთის ხეობა) 50⁰-მდე (მდ. დარჩი-ორმელეთის ხეობა). ზვავის მაქსიმალური სიქარე მერყეობს 17 მ/წმ-დან (მდ. ნენსკრას ხეობა) 46 მ/წმ-მდე (მდ. დარჩი ორმელეთის ხეობა).

კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლის შემდეგ ჩატარებულმა სავლევ კვლევამ აჩვენა, რომ არც ერთი ზვავი არ წარმოქმნილა განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონში მდებარე ციცაბო, მაგრამ შერეული და წიწვოვანი ხშირი, მოზრდილი ტყით დაფარულ ფერდობებზე (მ. სალუქვაძე, ნ. კობახიძე, 2015). ცხადია, რომ შერეული და წიწვოვანი მოზრდილი ტყე ან ფერდობების გატყვიანება ერთ-ერთი საიმედო ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებაა.

საავტომობილო გზის უმეტესი ნაწილი ტყის ბუნებრივი საზღვრის ფარგლებში გადის. ტყის ზედა, ბუნებრივი საზღვრის ქვემოთ მდებარეობს გზისთვის საშიში ზვავშემკრებების საერთო რაოდენობის 83% (85 ზვავშემკრები). გზისთვის საშიში ზვავის კერების უმრავლესობის (64%) ფართობი 1 ჰა-ზე ნაკლებია. სინამდვილეში აღნიშნული კერების ფართობი გაცილებით მეტია, მაგრამ კერის ეს ნაწილი ტყით არის დაფარული, აქ ზვავები არ წარმოიქმნე-

ბა და ეს ტერიტორია ზვავის კერის ფართობის დადგენის დროს მხედველობაში არ მიიღება. არსებული ტყის საფარის შენარჩუნებით საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიაზე, გზისთვის საშიში ზვავშემკრებების რაოდენობა არ გაიზრდება, თუ ხელი არ შეეშლება ფერდობებზე ტყის ახალი საფარის გაჩენას და ზრდას. ამით ზვავშემკრებების ახლანდელი რაოდენობა და შესაბამისად გზის ზვავსაშიშროება მნიშვნელოვნად შემცირდება.

მდ. ბზიფისა და კოდორის (დალის) ხეობაში სხვადასხვა წლებში, ზვავების მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი ცხრილშია (ცხრ.4.4) წარმოდგენილი. სამწუხაროდ ბოლო წლების მონაცემები თოვლის ზვავების შესახებ ამ ტერიტორიაზე არ მოგვეპოვება.

ცხრილი 4.4. ზვავებისაგან მიყენებული მატერიალური ზარალი მდ. ბზიფისა და კოდორის (დალის) ხეობაში

№	წელი, თვე, რიცხვი	დასახლებული პუნქტი, (მდ.ხეობა)	დაღუპულთა რ-ბა	ნგრევა		განადგურდა		საქონელი	
				სახლი	ნაგებობა	ბადი, ჰა	ტყე, ჰა	მსხვილფეხა	წვრილფეხა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	13.01.1976	რიწა (ლაშიფსე)		1			15		
2	—”—	—”—		1					
3	3.02. 1953	ავადჰარა (ლაშიფსე)	2	4			4		
4	—”—	—”—							
5	01. 1976	ხეცკვარა (კოდორი)		1	3	0,1		8	14
6	31.01.1954	ხუტია (კოდორი)		1	3	0,6	1		
7	1965	—”—			3	0,2	2		
8	01. 1976	—”—		1		0,1	1		
9	31.01.1954	გვანდრა (გვანდრა)		2	2	0,5	16		
10	01.1976	კურ. სგიმარი (საკენი)		10		0,2	15		
ს უ ლ			2	21	11	1,7	54	8	14

ხაიში-ჭუბერი-საკენის საავტომობილო გზის ზვავსაშიშროების პროგნოზირება და გაწმენდა მხოლოდ ერთხელ მოხდა. ადრე, როგორც წესი, გზაზე მოძრაობა 5-6 თვე მაინც წყდებოდა. 2007-2008 წწ. ზამთარში გზაზე ზვავების ჩამოსვლის საშიშროება 180 დღე-ღამე (6 თვე) იყო. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის, გარემოს ეროვნული სააგენტოს სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების აღრიცხვისა და მოსალოდნელი შედეგების შერბილების სამმართველოსა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის ერთობლივმა მუშაობამ, ახალგაზსნილი სამი მეტეოსაგუშაგოდან ნალექების, თოვლის საფარისა და ჰაერის ტემპერატურაზე მიღებულმა ინფორმაციამ და დროულმა პროგნოზირებამ, შესაძლებელი გახდა ზვავსაშიშროების გამო აკრძალული მოძრაობის ხანგრძლივობა (ზვავსაშიშროების პერიოდის საათების ჯამი) მხოლოდ 54 დღე-ღამემდე შემცირებინა. სამი სტრუქტურის ერთობლივმა მუშაობამ დადებითი შედეგი გამოიღო.

5. ზემო სვანეთის ზვავსაშიშროება

სვანეთის ტერიტორიის რელიეფი დიდი სირთულით გამოირჩევა. აქ მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის მნიშვნელოვანი ნაწილი 4000-4500 მ-ზე მაღლა მდებარე მწვერვალებით, სვანეთის ქედი, მდინარე ენგურისა და მისი შენაკადების: ნაკრას, დოღრას, ნენსკრას, მულხურას, მესტიაჭალის, ჰადიშჭალის, ხაღდუჭალის, კესლეთის, ხაიშურას და ურაშის დრმა ხეობები (სურ.5.1).



სურ. 5.1 ზემო სვანეთი, დაბა მესტია და მიმდებარე ზვავსაშიშრო ფერდობები (Turizmii.blogpost.com)

ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი საშუალომთიან და მაღალმთიან ზონაში მდებარეობს. მდინარე ენგურის აუზის მთიან ნაწილში, რომელიც მდ. მაგანას შესართავის ჩრდილოეთითაა, დაბალმთიან ზონას მთლიანი ფართობის 12% უკავია. ზემო სვანეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (30%) საშუალომთიან ზონაში მდებარეობს, ხოლო ნახევარზე მეტი (58%) – მაღალმთიან ზონაში, აქედან 2000-3000 მ-მდე მდებარე ტერიტორიას 40%, ხოლო 3000 მ-ზე მაღლა – 18% უკავია (მ.სალუქვაძე, 2011; მ.სალუქვაძე, ნ. კობახიძე, გ. ჯინჭარაძე, 2011).

15⁰-ზე ნაკლები დახრილობის მქონე ტერიტორიას მთლიანი ფართობის მხოლოდ 5% უჭირავს, ზედაპირის 15-25⁰ დახრილობით ხასიათდება 33%, 25-35⁰ დახრილობით – 49%, ხოლო 35⁰-ზე მეტი დახრილობით – 13%. (ნახ. 5.2).

სვანეთის ტერიტორიაზე ტყის საფარი ვრცელდება ზღვის დონიდან 2200-2400 მ-მდე, უფრო მაღლა მდებარე ფერდობებისათვის კი სუბალპური და ალპური მცენარეული საფარია დამახასიათებელი. დიდი ფართობი უკავია შერეული ტყით დაფარულ ფერდობებს, მნიშვნელოვანი ტერიტორია კი წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყით არის დაფარული. ტყის საფარი მთლიანი ფართობის 40-42%-ზეა გავრცელებული. უტყეო ფერდობები გვხვდება ტყის გავრცელების ზედა საზღვრის ქვემოთაც, რაც ტყის ჭრით არის განპირობებული. ტყის გავრცელების ბუნებრივ საზღვრებში უტყეო ფერდობების წარმოქმნაში მნიშვნელოვანი როლი თოვლის ზვავებსაც მიუძღვით.

არსებული ტყის საფარის გაჩეხვის შემთხვევაში ზვავების გავრცელების ტერიტორია 33%-ით მოიმატებს და არა მხოლოდ უხვთოვლიან, არამედ საშუალოთოვლიან ზამთრებშიც კი ზემო სვანეთის მთლიანი ფართობის 74% ზვავების მოქმედების არეში მოექცევა (ცხრ.5.1)

ცხრილი 5.1. ზემო სვანეთის ზვავსაშიში და არაზვავსაშიში ტერიტორია ტყის განეხვამდე და ტყის განეხვის შემთხვევაში

№	ზვავაქტი ურობა	ფართობი, %	ტყის განეხვამდე		განეხვის შემთხვევაში	
			ზვავსაშიში	არაზვავსაშიში	ზვავსაშიში	არაზვავსაშიში
1	0	2	0	4	0	4
2	<20	25	23	21	19	5
3	20-40	20	6	14	16	4
4	40-60	21	10	10	17	4
5	>60	32	2	10	22	10
ჯ ა მ ი			41	59	74	26

ზვავსაშიში ზონაში მდებარეობს ტერიტორიის მთლიანი ფართობის 96%, მთლიანად ზვავსაშიშია 41%.

მყარი ნალექების წლიური რაოდენობა იცვლება 300-400 მმ-დან 1100-1200 მმ-მდე. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 100-150 სმ-დან 525-575 სმ-მდე. ერთი თოვის დროს მოსული თოვლის საფარის სიმაღლის ნამატმა ხაიშიში 175 სმ (21-29.01.1987 წ.), ლახამში – 220 სმ (27-29.01. 1987 წ.), ნაკრაში – 290სმ (26.12.1986 წ.–9.01.1987 წ.), ლახამულაში – 246 სმ (28 - 31.01.1987 წ.), მესტიაში – 170 სმ (27.01-4.02.1987 წ.) შეადგინა (მ.სალუქვაძე, ნ.ლომიძე, 2017; M.E.Салуквадзе,1977; M.E.Салуквадзе, 1982; M.Salukvadze, N.Lomidze, 2015). თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და განმეორადობა ცხრილშია (ცხრ.5.2) წარმოდგენილი. სამწუხაროდ ცხრილში წარმოდგენილი მეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოებიდან მხოლოდ მს მესტიაში გრძელდება დაკვირვება.

ცხრილი 5.2. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და განმეორადობა

№	მეტეოსადგური	მს სიმაღლე, მ. (დაკვირვების წლები)	მაქს. სიმაღლე, სმ. (წელი)	განმეორადობა				
				>50-100	101-200	201-300	301-400	>400
1	ჯვარი	268 (51)	215 (1976)	12	3	1	-	-
2	ხაიში	730 (55)	250 (1987)	21	5	2	-	-
3	ლახამი	800 (43)	340 (1987)	12	11	1	1	-
4	დიზი	1120 (49)	250 (1954)	25	9	2	-	-
5	ნაკი	1160 (43)	380 (1987)	16	19	2	1	-
6	ლახამულა	1200 (48)	516 (1987)	23	15	2	-	-
7	ბეჩო	1270 (52)	420 (1987)	24	21	2	-	-
8	მესტია	1441 (58)	198 (1987)	38	13	1	-	-
9	მურყმელი	2100 (51)	380 (1987)	17	18	1	1	-

სვანეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებით უხვთოვლანობით გამოირჩეოდა 1875, 1932, 1976 და 1987 წლები. თუმცა ხშირად ზვავებისაგან გამოწვეული ადამიანთა მსხვერპლი გაუფრთხილებლობის შედეგითაა (ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, 2006; ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, 2011; M.E.Салуквадзе, 1977). ასე მაგალითად, 1965 წლის 14 იანვარს სოფელ ტეგებიში, სათხილამუროდ წასული მასწავლებელი და 9 მოსწავლე ზვავმა იმსხვერპლა. უსაფრთხოების წესების უგულველყოფა გახდა ბოლო წლებში (2014-2017 წწ.) როგორც ტურისტების, ისე ადგილობრივი მძღოლის დაღუპვის მიზეზი.

ზემო სვანეთის ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები ცხრილშია წარმოდგენილი (დანართი 2, ცხრ. 5.5).

ზვავსაშიშროების თვალსაზრისით ზემო სვანეთი ერთ-ერთი გამორჩეული რაიონია. 135 დასახლებული პუნქტიდან 61 ზვავსაშიშია (ცხრ.5.3).

ცხრილი 5.3. ზემო სვანეთის ზეავსაშიში სოფლები

№	თემი	სოფლები რ-ბა	ზეავსაშიში	№	თემი	სოფლები რ-ბა	ზეავსაშიში
1	ბენო	11	4	9	ნაკი	6	2
2	ეცერი	14	2	10	უშგული	4	3
3	იფარი	6	2	11	ფარი	12	4
4	კალა	8	4	12	ცხუმარი	6	5
5	ლატალი	11	1	13	ჭუბერი	10	9
6	ლახამულა	8	2	14	ხაიში	20	11
7	ლენჯერი	7	1	15	მესტია (დაბა)	1	3
8	მულახი	11	8	ს უ ლ		135	61

წლების მანძილზე ზეავების შედეგად 197 ადამიანი დაიღუპა, დაინგრა 107 საცხოვრებელი სახლი და 109 სხვადასხვა ნაგებობა, დიდ ტერიტორიაზე განადგურდა მოსახლეობის ბაღები, ტყე, განადგურდა წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი (ცხრ.5.4) (მ.სალუქვაძე, 2011; მ.სალუქვაძე, ნ. კობახიძე, გ. ჯინჭარაძე, 2011).

ცხრილი 5.4. ზეავების შედეგად გამოწვეული ზარალი ზემო სვანეთის ტერიტორიაზე

№	წელი, თვე, რიცხვი	დასახლებული პუნქტი (მდ. ხეობა)	დაღუპული რ-ბა	ნგრევა		განადგურდა		საქონელი	
				სახლი	ნაგებობა	ბაღი, ჰა	ტყე, ჰა	მსხვილფეხა	წვრილფეხა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	1875. 01	მურშკელი (მულხურა)	60	4	1	0,4	-	75	53
2	—	იელი (ენგური)	9	3	4	-	-	-	-
3	01.1932	ლახამი (ნენსკრა)	9	3	2	1	0,6	14	80
4	—	ნაკრა (ნაკი)	3	4	-	0,3	-	-	-
5	—	ღვებელი (ენგური)	2	-	2	0,2	-	12	6
6	1946. 01	ნაკრა (ნაკი)	2	2	2	8	0,2	-	-
7	—	ტეგბიში (დოღრა)	3	-	2	-	-	14	16
8	1964. 16.01	მურყელი (ენგური)	-	1	-	-	-	7	5
9	1965. 17.01	ტეგბიში (დოღრა)	10	-	-	-	-	-	-
10	1976. 14.01	იდლიანი (ენგური)	2	1	-	6	0,3	9	40
11	—	ლახამი (ნენსკრა)	4	-	1	1	-	-	-
12	—	ლეწფერი (ნენსკრა)	3	3	-	0,9	0,5	15	23
13	—	ღვერა (ნენსკრა)	3	-	-	2	0,3	-	-
14	—	ზემო მარლი (ნენსკრა)	8	2	-	6	0,3	9	40
15	—	ქემო მარლი (ნენსკრა)	2	-	4	2	0,4	-	-
16	—	ლარილარი (ნენსკრა)	2	2	2	-	0,4	-	-
17	—	დიზი (ენგური)	12	9	-	4	1	40	80
18	—	ნაკრა (ნაკრა)	-	3	-	3,3	0,6	-	-
19	—	ტოლაში (მულხურა)	-	2	-	-	-	-	-
20	—	ჩაქაში (ენგური)	-	3	-	-	-	-	-
21	1976. 15.01	ღემღერი (ენგური)	-	-	6	0,3	0,2	-	-
22	1976. 16.01	ხოსრარი (ენგური)	-	-	2	0,5	-	-	-
23	1976. 17.01	ლეკალმახე (ნენსკრა)	-	-	2	-	0,2	-	-
24	1976. 18.01	ყარი (ნენსკრა)	-	-	3	-	0,2	-	-
25	—	ადიში (ადიშკალა)	-	-	3	-	-	-	-

ცხრილი 5.4-ის გაგრძელება									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
26	—	ზედა ლუპა (ენგური)	-	-	1	-	-	-	-
27	—	ხაღდე (ხაღდესჭალა)	-	2	3	-	-	-	-
28	1987. 8.01	მურყმელი (ენგური)	7	7	8	2	-	80	60
29	1987. 9.01	ჟამუში (ენგური)	26	6	6	-	-	65	40
30	—	ვიბიანი (ენგური)	-	2	-	-	-	-	-
31	—	სვიფი (ენგური)	-	4	-	15	-	26	40
32	—	ხაიში (ენგური)	1	2	2	-	-	-	-
33	—	ნაკრა (ნაი)	-	4	2	10	-	-	-
34	—	უშხვანარი (დოღრა)	-	2	-	0,5	-	-	-
35	1987. 30.01	ლეწფერი (ნენსკრა)	4	3	2	2	0,3	8	6
36	—	იდლიანი (ენგური)	3	2	-	-	0,3	10	8
37	—	ლახამი (ნენსკრა)	1	1	-	0,2	0,3	10	8
38	—	დეგრა (ნენსკრა)	-	2	2	2	0,7	16	14
39	—	ყარი (ნენსკრა)	-	-	2	-	0,2	-	-
40	—	ღარიღარი (ნენსკრა)	-	5	8	-	1,8	34	22
41	—	ქველა მარდი (ნენსკრა)	1	6	5	5,2	1,0	27	28
42	—	ლეკალმახი (ნენსკრა)	-	-	2	-	0,2	-	-
43	—	ყაზახი (ენგური)	-	1	1	0,5	-	4	8
44	—	ნაკრა (ნაკი)	-	1	4	-	-	-	-
45	—	კაცხი (ენგური)	-	1	1	-	-	-	-
46	—	დეშდერი (ენგური)	-	3	-	-	-	-	-
47	—	ხოსრარი (ენგური)	-	-	2	0,5	-	-	-
48	—	უშხვანარი (დოღრა)	-	2	2	0,5	0,5	-	-
49	—	იფხი (ენგური)	-	2	2	-	-	-	-
50	—	ლემსია (ენგური)	-	-	2	-	-	-	-
51	—	დეგბელი (ენგური)	-	-	4	-	-	-	-
52	—	ქველა ვედი (ხაიშურა)	-	1	1	-	0,2	-	-
53	—	ზედა ვედი (ხაიშურა)	8	3	8	0,7	0,3	22	78
54	—	ჭერი (ხაიშურა)	7	3	3	-	-	-	-
55	2014. 7.03	მურყმელი (ენგური)	3	-	-	-	-	-	-
56	2016. 21.12	ხაიში-ბარჯა (გზა)	1	-	-	-	-	-	-
57	2017. 25.02	თეთნულდი	1	-	-	-	-	-	-
ს უ ლ			197	107	109	75	11	497	655

გარდა დასახლებული პუნქტებისა, ზვავები საფრთხეს უქმნის საავტომობილო გზასაც, ამიტომ შევისწავლეთ ჯვარი-მესტიის საავტომობილო გზის სკორმეთი-ჯორკვალის მონაკვეთის ზვავსაშიშროებაც.

ეს გზა, ძირითადად, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირის ფერდობზე გადის, ხოლო ზვავის კერები კი საშუალომთიან და დაბალმთიან რაიონში მდებარეობს, რომლის ზედაპირი ხასიათდება დიდი დახრილობით. 15⁰-ზე ნაკლები დახრილობისაა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ფერდობების დახრილობა 25-35⁰-ია. 35⁰-ზე მეტი დახრილობისაა მხოლოდ ცალკეული მწვერვალების, მაგალითად მთა ჭკერის ზოგიერთი ფერდობი, რომელიც შერეული და წიწვოვანი ტყით არის დაფარული.

სკორმეთი-ჯორკვალის მონაკვეთზე 46 ზვავშემკრებია, აქედან 34 ზვავის ჩამოსვლა უხვთოვლიან ზამთარში მდ. ენგურის მარჯვენა ფერდობებიდან არის შესაძლებელი, მდინარე დარჩი-ორმელეთის მარჯვენა ფერდობიდან – 8, ხოლო მარცხენა ფერდობიდან 6 ზვავის ჩამოსვლაა მოსალოდნელი (ნახ. 5.3).

შემკრებები, რომელთა ზვავის კერები ხასიათდებიან მცირე ფართობებით, 1 ჰა-მდე ფართობი აქვთ გზის ამ მონაკვეთზე ჩამოსული ზვავების 81%-ს. ზვავშემკრებების რაოდენობა, რომელთა ზვავის კერის ფართობი 5 ჰა-ს აღემატება, შეადგენს მხოლოდ 4%-ს. ზვავები მაქსიმალურ სიჩქარეებს აღწევენ ზვავშემკრებების სხვადასხვა მონაკვეთებზე, რაც ზვავშემკრების მიკრორელიეფის თავისებურებითაა განპირობებული. შედარებით მცირე მაქსიმალური სიჩქარეებით (<25 მ/წმ და 25-30 მ/წმ) ხასიათდება ჩამოსული ზვავების საერთო რაოდენობის 4% და 20%. განსაკუთრებით დიდი მაქსიმალური სიჩქარე (>45 მ/წმ) 2 ზვავს გააჩნია. 33 ზვავის მაქსიმალური დარტყმის ძალა 20-80 ტ/მ²-ია, ხილო 10 ზვავის დარტყმის ძალა >80 ტ/მ²-ზე, მხოლოდ ორი ზვავის დარტყმის ძალა აღემატება 100 ტ/მ²-ს (დანართი 2, ცხრ. 5.6) (მ.სალუქვაძე, 2011; ლ.ქაღდაძე, 2003).

სვანეთის ტერიტორიისათვის მნიშვნელოვანია ჩოლური-მესტიის მონაკვეთის 107 ზვავშემკრების შესწავლა. ზღვის დონიდან 2520 მ-ის სიმაღლეზე მწვ. ნამყვანის (კავკასიონის მთავარი ქედისა და სვანეთის ქედის შესაყარი) მყინვარებიდან გამომდინარე ნაკადების შეერთების ადგილი წარმოადგენს მდ.ენგურის სათავეს. აქ არა მარტო სვანეთის, არამედ ევროპის ერთ-ერთი უმაღლესი დასახლებული პუნქტი (2100-2300 მ-ის სიმაღლეზე) – უშგულის თემი მდებარეობს, სადაც ზვავები ყოველ უხვთოვლიან ზამთარში ჩამოდის. განსაკუთრებით საშიშია სვანეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე მდებარე ზვავშემკრებებში წარმოქმნილი ზვავები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს უშგულის თემის სოფლებს (ჩაჟაში, მურყმელი, ჟიბიანი, ჩვიბიანი) 1976 და 1987 წლის ზამთრის თვეებში (სურ. 5.4).

1976 წლის იანვარში ზვავმა დაანგრია სკოლის შენობა და ზიანი მიაყენა არაერთ საცხოვრებელ სახლს, ხოლო 1987 წლის იანვარში მურყმელში ზვავმა შვიდი ადამიანი იმსხვერპლა (ცხრ. 5.4).



სურ. 5.4 უშგულის თემი და მიმდებარე ზვავსაშიში ფერდობები (Karibche.ambebi.ge)


რელიეფის დიდი დანაწევრება, რთული ოროგრაფია, დიდი აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლეები, უტყეო და მეჩხერტყიანი ციცაბო ფერდობების ფართო გავრცელება, რთული კლიმატური პირობები და უხვთოვლიანობა განაპირობებს ჩოლური-მესტიის მონაკვეთზე ზვავების ფართო გავრცელებას.

სქემატურად ეს მონაკვეთი სამ ნაწილად არის წარმოდგენილი (ნახ. 5.5-5.7). ამ მონაკვეთზე 107 ზვავშემკრებია, აქედან 15 მდ. მუხრას (მდ. ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში, 9 – მდ. გურისწყლის (მდ. ენგურის მარცხენა შენაკადი), 57 – მდ. ენგურის, ხოლო 26 – მდ. მულხურას (მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში მდებარეობს (მ.სალუქვაძე, 2011; მ.სალუქვაძე, ნ. კობახიძე, გ. ჯინჭარაძე, 2011).


ზვავშემკრებების საერთო რაოდენობის 4% იწყება 1500 მ-ზე დაბლა. 2500-2000 მ-მდე – 36%, 2000-2500 მ-მდე – 50%, 2500-3000 მ-მდე – 7% და მხოლოდ 3%-ია 3000 მ-ზე მაღლა.

ფართოდაა გავრცელებული 0,5 ჰა-ზე ნაკლები ფართობის მქონე ზვავშემკრებები, მათი რიცხვი საერთო რაოდენობის 63%-ია, განსაკუთრებით მცირე ფართობით (<0,1 ჰა) ხასიათდება 12 ზვავშემკრები, ხოლო 5%-ის ფართობი აღემატება 100 ჰა-ს. ზვავის მაქსიმალური სიჩქარე


რე იცვლება 20 მ/წმ-დან 61 მ/წმ-მდე. უფრო ხშირია ზვავები 31-35 მ/წმ (28%) და 35-40 მ/წმ (24%) მაქსიმალური სიჩქარით. მაქსიმალური დარტყმის ძალით – 149 ტ/მ² და 171 ტ/მ² გამოირჩევა ორი ზვავი. ზვავები, რომელთა დარტყმის ძალა შეადგენს 30-50² ტ/მ² და 50-70 ტ/მ² შეადგენს 25% და 38% შესაბამისად. შედარებით ნაკლებად გვხვდება ზვავები, რომელთა მაქსიმალური დარტყმის ძალა ნაკლებია 30ტ/მ²-ზე (10%) ან მეტია 110 ტ/მ²-ზე (8%). მოძრავი ზვავის თოვლის სიმაღლე უმეტეს შემთხვევაში 9-10 მ-ს შეადგენს (დანართი 2, ცხრ.5.7) (მ. სალუქვაძე, 2011; ლ. ქალღანი, მ.სალუქვაძე, 2010).



ნახ. 5.5. ჩოლური-მესტიის ზვავშემკრებების გავრცელების სქემატური რუკა (ნაწ.1) (მ. სალუქვაძე)



ნახ. 5.6. ჩოლური-მესტიის ზეგუმერების გაერთიანების სქემატური რუკა (ნაწ.2)



ნახ. 5.7. ჩოლური-მესტიის ზეგუმერების ბაგრცელების სქემატური რუკა (ნაწ.3)

დანართის ცხრილში 5.7 ზემო სვანეთის, ჩოლური-მესტიის მონაკვეთზე არსებულ ზეგუმერების მორფომეტრიული და ზეგუმერების დინამიკური მახასიათებლებია წარმოდგენილი.

ზემო სვანეთის ტერიტორიაზე ზეგუმერებით კიდევ ერთი ხეობა – მდ. ნენსკრას (ჭუბრულას) ხეობა (მდ. ენგურის მთავარი შენაკადი) გამოირჩევა. მდ. ნენსკრა (ჭუბრულა) კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 2588 მ-ის სიმაღლეზე იწყება და

მდ. ენგურს 566 მ-ის სიმაღლეზე უერთდება. მდინარეს ჭუბერის თემის ტერიტორიაზე ცხრა მდინარე უერთდება (ორმელეთილიცი, ლახამლიცი, თეთნაშური, ჰოკრილაშლიცი, მემლურა, დარლიარლიცი, ტიტაშლიცი, მარლულა, გუაშდარარიშლიცი). ამ შენაკადების კვებაში მყინვარების როლი უმნიშვნელოა, ხოლო მდ. ნენსკრას, ისევე, როგორც ენგურის აუზის სათავეები მყინვარებითაა დაფარული. ჭუბერის თემის ათ სოფელში (დევრა, ზემო მარდი, ლარილარი, ლახამი, ლეკალმაიე, ლეწფერი, სგურიში, ტიტა, ქვემო მარდი, ყარი) კატასტროფული ზვავების მასიური ჩამოსვლა განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა 1976 და 1987 წწ. იანვარში. დიდი იყო მატერიალური ზარალი, ათეულობით დანგრეული საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობები, დაზიანებული ფერმები, საქონლის გადამამუშავებელი ქარხანა, ათეულ ჰექტარზე განადგურებული ტყე და ხეხილის ბაღი, ასეულობით მეტრზე მორღვეული ღობეები და რაც მთავარია, ზვავების შედეგად დაღუპული 31 ადამიანი.

2008 წლამდე ამ ხეობაში არსებული გზა ხაიში-ჭუბერი-საკენი ერთადერთი დამაკავშირებელი იყო კოდორის (დაღის) ხეობასთან, ამ გზამ სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა, რადგან მისი დახმარებით იყო შესაძლებელი დანარჩენი საქართველო დაკავშირებოდა კოდორის ხეობას. ამ გზაზე არსებული ზვავშემკრები და ზვავები წინა, მეორე თავში დეტალურად არის განხილული და შესაბამისი ცხრილებით არის წარმოდგენილი.

დანართის ცხრილში 5.8. ხაიში-ჭუბერის ტერიტორიაზე არსებული ყველა ზვავშემკრების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლებია წარმოდგენილი. ამჟამად მდ. ნენსკრას ხეობაში შენდება ნენსკრაჰესი და იმედია მშენებლები ითვალისწინებენ ამ ხეობის ზვავსაშიშროებას.


ზვავწარმომქმნელი ფაქტორების, თეორიული მეთოდების გამოყენებით ჩატარებული გამოთვლებისა და სავსე მასალების ანალიზის საფუძველზე მდ. ნენსკრას აუზში გამოვლინდა, როგორც ჭუბერის თემში არსებული სოფლებისათვის, ასევე ხეობაში შემავალი გზისთვის საშიში 76 ზვავშემკრები (დანართი 2, ცხრ. 5.8). სჭარბობს ზვავშემკრები (72%), რომელთა სიმაღლე 1000-1500 მ-ის ფარგლებშია, ხოლო 1500-2000 მ სიმაღლის მქონე ზვავშემკრები 20% შეადგენს, მხოლოდ ორ შემთხვევაშია ზვავშემკრების აბსოლუტური სიმაღლე 2000 მ-ზე მეტი (№46 და №49). ხეობაში ფართოდაა გავრცელებული (70%) მცირე ფართობის მქონე (< 0,5 ჰა) ზვავშემკრები. ზვავის მაქსიმალური სიჩქარე იცვლება 12 მ/წმ-დან (№19) 48 მ/წმ-მდე (69). უმეტესად ზვავებს 25-30 მ/წმ და 35 მ/წმ სიჩქარის განვითარება შეუძლიათ (შესაბამისად 28%, 30% და 33%). მხოლოდ 9%-ია ზვავები, რომელთა მაქსიმალური სიჩქარეა 31-35 მ/წმ. დიდ დიაპაზონში იცვლება ზვავების მაქსიმალური დარტყმის ძალაც – 7 ტ/მ²-დან 106 ტ/მ². ზვავების 30%-სათვის მაქსიმალური დარტყმის ძალა ნაკლებია 30 ტ/მ² და 30-50 ტ/მ²-ზე, მხოლოდ 10 ზვავის მაქსიმალური დარტყმის ძალა აღემატება 90 ტ/მ²-ს. ამ ზვავებიდან ოთხის (№№ 11, 23, 46, 61) მაქსიმალური დარტყმის ძალაა 93 ტ/მ², სამის (№ 13, 66, 67) – 97ტ/მ² და ასევე, სამის (№ 17, 68, 69) აღემატება 100 ტ/მ²-ს. ზვავების უმეტესობისათვის (57%) მოძრავი ზვავის თოვლის სიმაღლე 20 მ-ზე ნაკლებია.

ზემო სვანეთში, 1976 და 1987 წწ. უხვთოვლიან ზამთარში ზვავების ჩამოსვლით განადგურებული ტყისა და საცხოვრებელი სახლების ნგრევის შედეგი ქვემოთ მოყვანილ სურათებზეა ასახული (სურ. 5.9-5.14).



სურ. 5.9.

სურ. 5.10



სურ. 5.11



სურ. 5.12



სურ. 5.13



სურ. 5.14

სურ. 5.9.-5.14 ზგაგების ჩამოსვლის შედეგი ზემო სვანეთის ტერიტორიაზე (1976,1987 წწ. იანვარი) (ფოტო მ.სალუქვაძე)

6. კურორტ ლებარდეს ზმავსაშიშროება

კურორტი ლებარდე დასავლეთ საქართველოში, მარტვილიდან ჩრდილო-დასავლეთით 55 კმ-ის დაშორებით, მდინარეების ლებარდესა და ტეხურის სათავეებში, ზღვის დონიდან 1500-1800 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ჩრდილოეთით ლენტეხის რაიონი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ცაგერის რაიონი ესაზღვრება. ლებარდე ადგილობრივი მნიშვნელობის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტია და გარშემორტყმულია წიწვოვანი ტყით. კურორტის ტერიტორიაზე რკინით მდიდარი მინერალური წყაროებია. გარდა ამისა, თვითდინებით ამოდის ნარზანის ტიპის რამდენიმე მინერალური წყალი, რომელიც 12 დაავადების, მათ შორის, სასუნთქი გზებისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება. ეს წყლები მე-20 საუკუნის 40-იან წლებში მწვემსებმა აღმოაჩინეს. გასული საუკუნის 50-იან წლებში გზის გაყვანის შემდეგ, აქ სამკურნალო დაწესებულებები და დასასვენებელი სახლების მშენებლობა დაიწყო. 1980 წელს მინერალური წყლის „ლებარდეს“ ჩამოსხმაც განხორციელდა. შემდგომ წლებში საკურორტო ინფრასტრუქტურა მოიშალა და დღეისათვის სავალალო მდგომარეობაშია (სურ. 6.1-6.2).



სურ. 6.1 კურორტ ლებარდეს მიმდებარე ფერდობები (travelingeorgia.ge)



სურ. 6.2 კურორტი ლებარდე (travelingeorgia.ge)


ლებარდედან 4 კმ-ში მდ. ლებარდე მდ. რიონის ერთ-ერთ მთავარ შენაკადს, მდ. ტეხურს უერთდება, რომლის სათავე ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე 2400 მ-ის სიმაღლეზე, მწვერვალ ტეხურიშდულთან მდებარეობს. მდინარის ხეობის ზედა ნაწილში, 1800-2000 მ-ის სიმაღლეზე წიწვოვანი ტყეა, ხოლო ქვედა ნაწილში ფოთლოვანი ტყის (რცხილა, წაბლი და სხვა) ჯიშებია. მეტეოროლოგიური სადგურის – ლებარდეს (1600 მ) მონაცემებით ნოემბერ-აპ-

რილის პერიოდში ნალექების რაოდენობა 1500 მ-მდეა, რაიონი გამოირჩევა თოვლის საფარის დიდი სიმაღლით, 100-200 სმ-ის სიმაღლის თოვლის საფარი სხვადასხვა ზამთარში 20-ჯერ განმეორდა, 200-300 სმ-ის სიმაღლის – 22-ჯერ, 300-400 სმ-ის – 8-ჯერ, ხოლო > 400 სმ-ზე – 3-ჯერ (ცხრ. 6.1). თოვლის მაქსიმალური სიმაღლე 480 სმ 1986/87 უხვთოვლიან ზამთარში დაფიქსირდა, თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე 240 სმ, ხოლო მინიმალური 180 სმ-ს შეადგენს.

ცხრილი 6.1. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და განმეორადობა

№	მეტეოსადგური	მს სიმაღლე (დაკვირვების წლები)	მაქს. სიმაღლე სმ.(წელი)	განმეორადობა				
				>50-100	101-200	201-300	301-400	>400
1	ლებარდე	1610 (54)	480 (1987)	-	20	22	8	3

რელიეფის ხასიათი, უხვი ნალექები და ფერდობების დახრილობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზვავის წარმოქმნისათვის. ზვავსაშიშროებით გამოირჩევა მდ. ტეხურის სათავიდან მდ.ღეჩხას შესართავამდე მონაკვეთი (სურ. 6.3).



სურ. 6.3. კურორტ ლებარდეს ზვავსაშიშრო ფერდობები (travelingeorgia.ge)

კურორტის ტერიტორიაზე ორი ზვავშემკრებია, ერთი მდინარე ლებარდეს მარჯვენა ფერდობზე მწვ. 2426 სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხოლო მეორე მდინარე ლებარდეს მარცხენა შენაკადის ხეობაში მწვ. 2558-ის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ეს ზვავშემკრებები „ზვავის დელედ“ წოდებულ ადგილას მდებარეობენ. მათი მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები დანართის 6.1 ცხრილშია (დანართი 3, ცხრ.6.1) წარმოდგენილი. ზვავების მაქსიმალური სიჩქარე 37-38 მ/წმ-ია, მაქსიმალური დარტყმის ძალა 63-66 ტ/მ-ზე, ზვავის კერის ფართობი 28-47 ჰექტარია, ხოლო მაქსიმალური მოცულობა სჭარბობს მილიონ მ³-ს.

გასული საუკუნის 60-იან წლებში კურორტ ლებარდეს ტერიტორიაზე დაიგეგმა მრავალი საკურორტო შენობის აგება. ტოპო-გეოდეზიური სამუშაოები საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ მარკუშიდერს აგოფს დაევადა. ანატოლი გოფი გამოცდილი მკვლევარი იყო და მისი ყურადღება იმ დელის სახელწოდებამ მიიქცია, სადაც ეს ნაგებობები უნდა განთავსებულიყო. მშენებლობის ადგილს „ზვავისდელე“ ეწოდებოდა და დამპროექტებლებს ურჩია, რომ ზვავსაშიშროების შესასწავლად მიემართათ სპეციალისტებისათვის.

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მეცნიერებმა (ვ.ცომია, ლ.ქალდანი, კ. აბდუშელიშვილი) შეისწავლეს რა კურორტის ზვავსაშიშროება, შეიმუშავეს ზვავებისაგან დაცვის ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებდა „ზვავისდელი“-დან ჩამოსული ზვავის დამშლელ,

დამამუხრუჭებელ და საკურორტო შენობამდე გამაჩერებელ ნაგებობათა კომპლექსის აშენებით კურორტ ლებარდეს დაცვას (სურ. 6.4) (ც.ბასილაშვილი, მ.სალუქვაძე, გ. ხერხეულიძე, ვ. ცომია, 2012; მ. სალუქვაძე, ნ. კობახიძე, გ. ჯინჭარაძე, 2012; В.Ш. Цома, К.Л. Абдушлишвили, Л.А. Калдани, 1970). მეცნიერთა მიდგომა სამართლიანი იყო, რადგან ზვავის დამშლელი, დამამუხრუჭებელი და გამაჩერებელ ნაგებობათა კომპლექსი იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა შეუძლებელია ერთი ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებით ამა თუ იმ ობიექტის დაცვა. აღნიშნული ზვავები, რომელიც დანართის ცხრილშია (დანართი 3 ცხრ.6.1) წარმოდგენილი, დიდი სიჩქარით და დარტყმის ძალით გამოირჩევიან და აუცილებლად საჭიროებდა ზვავის შემხედრი და გამაჩერებელი ნაგებობის აშენებას.



სურ. 6.4. „ზვავისდელე“ და საკურორტო ნაგებობები კურ. ლებარდეში (ფოტო ლ.ქალდანი)

სამწუხაროდ, დამპროექტებლებმა და მშენებლებმა არ გაითვალისწინეს მკვლევარების მიერ შედგენილი დასკვნა და ჩასატარებელი ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები. უარყოფითი დასკვნის მიუხედავად, ზვავისდელის მიმდებარე ტერიტორიაზე 70-იანი წლების დასაწყისში, ფართომასშტაბიანი მშენებლობა დაიწყო. ახალი ნაგებობის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო გადაცემული ექსპლუატაციაში, როცა ზვავი ჩამოვიდა და როგორც აშენებული, ისე მშენებარე საკურორტო შენობების უმეტესი ნაწილი დაანგრია (სურ. 6.4). კურორტს ზვავებმა არაერთხელ მიაყენა ზიანი (ცხრ.6.2), დაზიანდა და დაინგრა საკურორტო ნაგებობები, ასევე დაზიანდა მეტეოროლოგიური სადგური ლებარდეც.

ცხრილი 6.2. ზვავების შედეგად გამოწვეული ზარალი კურორტ ლებარდეში

№	წელი, თვე, რიცხვი	დასახლებული პუნქტი (მდ. ხეობა)	დაზიანებულია რა	ნგრევა		განადგურდა		საქონელი	
				სახლი	ნაგებობა	ბაღი, შა	ტყე, შა	მსხვილფეხა	წვრილფეხა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	14.01.1971	ლებარდე (ლებარდე)		4					
2	14.01. 1976	—”—			2		8		
3	18.01. 1976	—”—		25	1				
ს უ ლ				29	3		8		

7. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ზვავსაშიშროება

საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული კუთხე – რაჭა, ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე და მაღალმთიან ზონას განეკუთვნება (400-4000 მ). ჩრდილოეთით სვანეთი და ცენტრალური კავკასიონი, აღმოსავლეთით – სამაჩაბლო, კერძოდ ჯავის რაიონი, სამხრეთით – იმერეთი, ჩრდილო-დასავლეთით ლეჩხუმის ქედი ესაზღვრება (ნახ.7.1)



ნახ.7.1 რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (lemil.net)

კავკასიონის მწვერვალები, მთაგრეხილები, მდინარეები და ჩანჩქერები, ტყის მასივები, ბუნებრივი გამოქვაბულები და მღვიმეები ამ მხარეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს (სურ.7.2).



სურ. 7.2. რაჭა-ლეჩხუმი (forestry.gov.ge)

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში გამოირჩევა სვანური კოშკები (მურყვამები). მხარე მდიდარია ისეთი მთის კურორტებით, როგორცაა: შოვი, უწერა, ლაშიჭალა, ვეშვაკე, მუაში, სორტუანი, ბუგეული, ხიდიკარი. აქ მრავალი სახეობის სამკურნალო მინერალური თუ გო-

გირდოვანი წყლებია. უძველესი ეკლესიები: ნიკორწმინდა, ბარაკონი, ხონჭიორი, მრავალძალი, პატარა ონი, ღები, კვირიკეწმინდა, ლაილაში, ჩაუაშის კომპლექსი, მინდა-ციხე, კვარაცხე, ციხეთა უძველესი კომპლექსი „დახვდი“, „დაჰკარი“, „არ გაუშვა“, ონის სინაგოგა, შაორისა და ლაჯანის წყალსაცავები ტურისტული თვალსაზრისითაც მიმზიდველია.

რაჭაში ზღვის დონიდან 2000 მ-მდე ნოტიო ჰავაა, ზამთარი ცივი და ხანგრძლივი, ზაფხული – ხანმოკლე და თბილი, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა -27⁰, ხოლო მაქსიმუმი – +36⁰. ნალექები 1000-1500 მმ-დან 1600-1800 მმ-მდე მერყეობს.

რაიონი უქარო, ნესტიანი ჰავითა და სუსტი ყინვებით ხასიათდება. საშუალო ტემპერატურა ლენტეხის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით -1,8⁰ და +20⁰ -ს შორის მერყეობს. ნალექი კი 1100-1300 მმ-ის ფარგლებშია

რაჯ შეეხება თოვლის საფარის მაქსიმალურ სიმაღლეს, ზოგადად, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 127 სმ-დან 535 სმ-მდე მერყეობს (ცხრ.7.1). ცხრილში წარმოდგენილია მეტეოსადგურებისა და საგუშაგოების სიმაღლე, დაკვირვებათა წლები, თოვლის მაქსიმალური სიმაღლე წლის მთითებით და 50 სმ-ზე მეტი თოვლის საფარის სიმაღლის განმეორადობა წლების მიხედვით.

ცხრილი 7.1. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და განმეორადობა

№	მეტეოსადგური	მს სიმაღლე (დაკვირვების წლები)	მაქს. სიმაღლე (წელი)	განმეორადობა				
				>50-100	101-200	201-300	301-400	>400
1	ცაგერი	474 (69)	250 (1976)	24	12	1	-	-
2	ამბროლაური	544 (69)	165 (1976)	25	6	-	-	-
3	ლენტეხი	760 (54)	390 (1988)	20	16	1	1	-
4	ონი	788 (63)	127 (1977)	21	3	-	-	-
6	შაორი	1145 (48)	255 (1987)	21	19	4	-	-
7	ურავი	1150 (51)	230 (1987)	19	6	1	-	-
8	შოვი	1507 (71)	365 (1987)	24	30	4	1	-
9	ზესხო	1690 (29)	400 (1987)	5	18	4	1	-
10	ყორულდაში	1943 (50)	330 (1987)	-	2	34	12	-
11	მამისონის უღელტეხილი	2854 (58)	535 (1987)	31	11	6	-	1

ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება თოვლიან დღეთა რიცხვი და თოვლის საფარის სიმაღლეც. აღსანიშნავია, რომ საკვლევ ტერიტორიაზე თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე, ძირითადად, 1976 და 1987 წლების ზამთრის თვეებში დაფიქსირდა. ნალექების რაოდენობა ამ მდინარეთა აუზში 1100-1300 მმ-ია, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 330-400 სმ-ია, ყორულდაში განსაკუთრებით სჭარბობს 200-300 სმ-ზე მეტი სიმაღლის თოვლის საფარიანი დღეები.

მდინარე ცხენისწყლის შენაკადების ზესხოსა და ყორულდაშის ხეობები გამოირჩევა რელიეფის დიდი დანაწევრებით (სურ. 7.3 - 7.5).

მდინარე ცხენისწყლის ხეობაში 34 დასახლებული პუნქტია ზვავსაშიში. ლეუშერში, თეკალში, ლაგურკაში, ცანაშში, ზესხოში, რცხმელურში, ხაჩეშში, ცხუმალდში და დაბა ლენტეხში, ცალკეულ წლებში ზვავებმა ნგრევა და ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია. ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ზვავშემკრები მდ. ცხენისწყლის აუზის სოფ. თეკალთან მდებარეობს. ზვავის მაქსიმალური სიჩქარე 67 მ/წმ-მდეა, ხოლო მაქსიმალური დარტყმის ძალა – 206 ტ/მ².

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე არსებული ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები მე-4 დანართის 7.2 ცხრილშია წარმოდგენილი (მ.სალუქვაძე, ნ. კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2011; მ.სალუქვაძე, ნ. კობახიძე, გ.ჯინჭარაძე 2012; მ.სალუქვაძე, ნ. კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2012; კ.ლ. აბდუშელიშვილი, ლ.ა. კაღანი, მ.ე. სალუკვაძე, 1980).



სურ. 7.3. ლენტეხის რაიონის მიმდებარე ფერდობები (xvamlu.ucoz.com)



სურ. 7.4. მთა ზესხო (ქვემო სვანეთი) (gangeba.com)



სურ. 7.5. სოფ. ზესხო (ქვემო სვანეთი) (Youtube.com)

მდინარე ჭანჭახი მდ. რიონის მარცხენა შენაკადია. ამ მდინარის აუზში, მსგავსად მდ. რიონის სათავეებისა, რელიეფი დიდი დანაწევრებით გამოირჩევა. მამისონის უღელტეხილისა და შოვის მრავალწლიური მეტეოროლოგიური სადგურის მასალით ირკვევა, რომ ნალექების რაოდენობა 570-700 მმ-ია. მარშრუტული თოვლის აგეგმვის მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ 1500-2700 მ-ის სიმაღლეზე თოვლის საფარის სიმაღლე 1,5-2,8 მ-მდე იცვლება. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 365-535 სმ-ია. მდ.რიონის აუზის ამ მონაკვეთში უხვთოვლიან ზამთრებში ტყე ზვავების შედეგად ნადგურდება.

ლენტეხის რაიონში, მდინარეების ცხენისწყლის, ხელედულას, ლასკადურას, ფიშქორას, ყორულდაშის, ზესხოს, ხოფურის და გობიშურის აუზში განლაგებულ 34 სოფელს ემუქრება ზვავი. ცაგერის რაიონში მდინარეების ლაჯანურისა და ლუხუნის აუზებში ზვავსაშიშია სამი სოფელი და ლუხუნის საბადო, სადაც ორი ზვავი ჩამოდის. ამბროლაურის რაიონში ზვავსაშიშია მდ. ლუხუნის აუზში მდებარე სოფ. ურავი და ლუხუნის საბადო. ონის რაიონში ზვავი მდინარეების ჭაშურას, რიონის, ჭანჭახის და გუბისწყლის აუზში განთავსებულ სოფლებში, მათ შორის კურორტ შოვში ჩამოდის.

მდ. ჯოჯორას აუზის (მდ. ცხენისწყლის მარცხენა შენაკადი) მაღალმთიან ნაწილში მრავალი ზვავშემკრები და აქ უხვთოვლიან ზამთარში ადგილი აქვს კატასტროფული ზვავების ჩამოსვლას.

ცალკეულ წლებში რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე არსებული ზვავშემკრებიდან ჩამოსულმა ზვავებმა ზიანი მიაყენა ადგილობრივ მოსახლეობას (ცხრ.7.3).

ცხრილი 7.3. ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები და ზვავების ჩამოსვლის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში

№	წელი, თვე, რიცხვი	დასახლებული პუნქტი, (მდ.ხეობა)	დაღუპულთა რ-ბა	ნგრევა		განადგურდა		საქონელი	
				სახლი	ნაგებობა	ბაღი, ჰა	ტყე, ჰა	მსხვილფეხა	წვრილფეხა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	01.1976	რცხმელური(ცხენისწყალი)			3	0,2			
2	01.1987	ყვედრიში (ცხენისწყალი)		2	2	0,3			
3	01.1987	—”—				0,4			
4	01.1932	ბავარი (ხელედულა)	7	1	2		2,5	12	48
5	30.01.1987	—”—		2			0,1		
6	30.01.1987	—”—			2		2		
7	30.01.1987	მანანაური (მანანაური)			3				
8	1924	ხაჩეში (ხელედულა)	13	2	4			18	40
9	1924	—”—		4	6		1		
10	1924	—”—			1			8	15
11	1924	—”—		1	1				
12	29.01.1987	—”—		5	6		1	18	28
13	29.01.1987	—”—		3	4				
14	29.01.1987	—”—		1	1				
15	01.1987	ხელედი (ხელედულა)		2	2	0,5			
16	1924	წანაში (ხელედულა)	5		2	0,9	1	14	25
17	1924	—”—		1	1				
18	01.1987	—”—		4	5	0,5		32	38
19	01.1987	—”—		3	3				
20	29.01.1987	ღესემა (ხელედულა)		5	2				
21	29.01.1987	—”—			3				
22	02.1959	ლენტეხი (ცხენისწყალი)	2	2					
23	02.1959	—”—		2					
24	14.01.1976	ღასკადურა (ღასკადურა)		1					
25	29.01.1987	ლენტეხი (ღასკადურა)	3	2		0,3			
26	29.01.1987	—”—			1				
27	29.01.1987	ღურაში (ცხენისწყალი)	7	2	2				
28	29.01.1987	ღასკადურა (ღასკადურა)		2	2	0,3			
29	30.01.1987	კახურა (ცხენისწყალი)	7	9	4			21	
30	01.1987	ბაბილი (ცხენისწყალი)		2	3		5		

ცხრილი 73-ის გაგრძელება									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
31	01.1987	–”–		2					
32	01.1987	შტველი (ცხენისწყალი)		4	3		2		
33	01.1987	ბულიში (ცხენისწყალი)			2				
34	01.1987	მუწვი (ცხენისწყალი)		3	2				
35	01.1987	ტეები (ცხენისწყალი)		2	2		0,2	6	6
36	01.1987	–”–		2	2				
37	01.1987	მამი (ცხენისწყალი)		3			2		
38	01.1987	–”–		3					
39	1968	ჩუკული (ფიშქორი)		2	3		3		
40	1968	–”–		4	3		8		
41	15.01.1976	მასაში (ფიშქორი)		7	6		15	8	6
42	01.2003	–”–			3		0,5		
43	1954	კანა (ყორულდაში)		1	1			8	6
44	1976	–”–	1	1	1		0,1		
45	1976	–”–		1	2		0,1		
46	1987	–”–		2	2		0,1		
47	1987	–”–			2				
48	9.01.1987	ყორულდაში (ყორულდაშ.)	1	5					
49	01.1976	ზესხო (ზესხო)		2			6	30	
50	01.1987	–”–		12			0,4		
51	14.01.1976	ღეუშერი (ცხენისწყალი)	2	3	5		30	28	15
52	9.01.1987	–”–		2			10		
53	9.01.1987	თეკალი (ცხენისწყალი)		13	9		20		
54	1987	ჭველიერი (ცხენისწყალი)	1	4	6	1	6	26	24
55	1987	–”–		2			5		
56	14.01.1976	ღესინდი (ლაჯანური)		4					
57	14.01.1976	ლაჯანა (ლაჯანური)		1					
58	12.02.1932	ურავი (ღუსუნი)	7	4		0,2		24	16
59	14.01.1976	–”–		1	2	0,2			
60	15.01.1976	ღუსუნი (ღუსუნი)		1			5		
61	15.01.1976	–”–		1	1		6		
62	29.01.1987	გლოლა (რიონი)		1				28	10
63	29.01.1987	–”–					5		
64	29.01.1987	შოვი (გუბისწყალი)		1	3		2		
ს უ ლ			56	152	125	4,8	139	281	292

არაერთხელ დაინგრა ალპური ბანაკი, ზესხოს ადმინისტრაციული შენობა, გეოლოგების სახლი, მაღაზია, მარმარილოს ქარხანა, სკოლის შენობა (მსალუქვაძე, ნ. კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2011; მსალუქვაძე, ნ. კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2011; მსალუქვაძე, ნ. კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2012; მსალუქვაძე, ნ. კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2012, ლ.ქაღდანი, მსალუქვაძე, 1994; კ.წ. აბდუშელიშვილი, ლ.ა. კაღანი, მ.ე. სალუკვაძე, 1979).

8. გურიის მთიანი ნაწილისა და კურორტ ბახმაროს ზვავსაშიშროება

გურიის მთიანი ნაწილი საკმაოდ დიდი ზვავსაშიშროებით გამოირჩევა. ხშირია ზვავების ჩამოსვლით გამოწვეული ზარალიც. გურიის მთიანი ნაწილში ზვავების გაგრძელებას ხელს უწყობს ზვავწარმომქმნელი ფაქტორების – რელიეფის, კლიმატისა და მცენარეული საფარის თავისებურება. ზვავსაშიშროებით გამოირჩევა ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზა, თავად კურორტი ბახმარო. ასევე გურიაში ზვავსაშიშროება ცალკეული დასახლებული პუნქტები: ზემო სურები, ქვაბლა, ზოტი, ჩხაკოურა, ნაბელლავი, სადაც ხშირია ზვავებისაგან მიყენებული მატერიალური ზარალიც. (ცხრ. 8.1).

ცხრილი 8.1 ზვავების შედეგად გამოწვეული ზარალი გურიის მაღალმთიან ტერიტორიაზე

№	წელი, თვე, რიცხვი	დასახლებული პუნქტი (მდ. ხეობა)	დაღუპული რ-ბა	ნგრევა		განადგურდა		საქონელი	
				სახლი	ნაგებობა	ბაღი, ჰა	ტყე, ჰა	მსხვილფეხა	წვრილფეხა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	1958	ზემო სურები (სუფსა)		1	1	0,2	0,3		
2	15.02.1959	ნაბელლავი (გუბაზეული)		3	2	0,2		6	8
3	1971	—”—		4		0,1			
4	12.02.1971	ქვაბლა (გუბაზეული)		1	2	0,3		4	
5	2.02.1958	ზოტი (გუბაზეული)		2	4	4		12	4
6	11.02.1971	—”—	6	6	6	0,5	2	35	24
7	3.02.1959	ჩხაკოურა (ჩხაკოურა)	1	1	1	0,1		6	
8	20.01.1964	—”—		1	2	0,2		9	6
9	11.02.1971	—”—		1		0,3			
ს უ ლ			7	20	18	5,9	2,3	72	42

საავტომობილო გზის ჩოხატაური-ბახმაროს ზვავსაშიშროებაში მონაკვეთი გადის მდინარეების: გუბაზეულის, ჩხაკოურას, საშვალასა და ბახვისწყლის აუზებში.

საავტომობილო გზა, სოფელ ხევიდან სოფელ ქვაბლამდე, მდინარე გუბაზეულს მიუყვება. გზის აღნიშნული ნაწილი ხასიათდება დიდი და ვერტიკალური დანაწევრებით. მდ. გუბაზეულის კალაპოტი მდებარეობს ზღვის დონიდან 200-500 მ-ზე, ხოლო მისი ცალკეული თხემების სიმაღლე აღწევს 1000-1500 მ-ს. ცალკეული ფერდობების შეფარდებითი სიმაღლე 100-200 მ-დან 500-600 მ-მდე ფარგლებში იცვლება; ფერდობების უმეტესობა ხასიათდება ჩრდილოეთისა და სამხრეთის ექსპოზიციებით; ცალკეული ფერდობების ზედაპირის დახრის კუთხეები აღწევს 35-45⁰-ს.


მდ. ჩხაკოურა შეადგენს მდ. გუბაზეულის მარცხენა შენაკადს და მას უერთდება ზღვის დონიდან 515 მ-ის სიმაღლეზე, ხოლო მისი სათავე, სათევზიას და წიფლის ღელის სახით, მდებარეობს 2100-2400 მ-ზე. მდ. ჩხაკოურას აუზის ზედაპირი დანაწევრებულია მრავალრიცხოვანი მცირე შენაკადების ხეობებით. ფერდობების შეფარდებითი სიმაღლე 200-300 მ-დან 500-600 მ-მდე იცვლება. ფერდობების დახრილობა აღემატება 15-20⁰-ს, მხოლოდ ცალკეული მცირე ფართობის ფერდობების დახრის კუთხე აღწევს 40-45⁰-ს. ფერდობების უმეტესობა ჩრდილოეთის ექსპოზიციისაა.

ყველაზე რთული რელიეფით გამოირჩევა ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზის ის მონაკვეთი, რომელიც მდ. საშვალას აუზში გადის და მის საშუალო და მაღალმთიან ნაწილსაც მოიცავს. მდინარის სათავე მთა გადრეკილთან (2500 მ) მდებარეობს. ცალკეული ფერდობების შეფარდებითი სიმაღლე აღემატება 500-600 მ-ს, ხოლო ფერდობების ზედაპირის დახრილობა – 20-25⁰-ს. საავტომობილო გზის ბოლო მონაკვეთი მდინარე ბახვისწყლის აუზში 1700-2200 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს და დიდი დანაწევრებით არ გამოირჩევა. ფერდო-

ბების შეფარდებითი სიმაღლე არ აღემატება 300-500 მ-ს, ხოლო ზედაპირის დახრის კუთხე 30-35⁰-ს.

დანართის 5 ცხრილში 8.2 მდინარეთა აუზების მიხედვით წარმოდგენილია იმ ზეგანებში მდინარეების მორფომეტრიული და ზეგანების დინამიკური მახასიათებლები, რომლებიც ზემოწამოთვლილ დასახლებულ პუნქტებს ემუქრება. ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზაზე, სადაც 67 ზეგანის კერაა: 22 ზეგანებში მდ. გუბაზეულის აუზში მდებარეობს, 24 – მდ. ჩხაკურას აუზში, 18 – მდ. საშვალას აუზში, ხოლო 3 ბახვისწყლის აუზში მდებარეობს (მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ. ჯინჭარაძე, 2011; ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, 1996; ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, გ. ჯინჭარაძე, 2011, ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, 2015).

ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზაზე არსებული ზეგანებები და ზეგანების გავრცელება სქემატური რუკის სახით წარმოდგენილია ნახაზზე 8.1.



ნახ. 8.1. ჩოხატაური-ბახმაროს გზაზე არსებული ზეგანებების სქემატური რუკა (ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე)

გურიის მაღალმთიან რაიონში გამორჩეულია კურორტი ბახმარო. მთის ჰაერი, მინერალური წყლები და წიწვოვანი ტყე ათასობით დამსვენებელს იზიდავს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ აქ თოვლი რამდენიმე თვე დევს, გაყვანილია საავტომობილო გზა და ამასთანავე დასავლეთ საქართველოში არ არის ბაკურიანისა და გუდაურის მსგავსი კეთილმოწყობილი ზამთრის კურორტი და სათხილამურო ტრასები, არის შესაძლებლობა, რომ ბახმარო გახდეს ზამთარში დასვენებისა და სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კერა.

ბახმარო მაღალმთიანი კლიმატური კურორტია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს მესხეთის ქედზე მდ. ბახვისწყლის ხეობაში, ტყის ზონის ზედა ნაწილში 1926-2050 მ-ის სიმაღლეზე და ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მაღალ დასახლებულ პუნქტად, ხასიათდება რთული რელიეფით (ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, 1984). ტერიტორია ერთგვარ ქვაბულს წარმოადგენს და გარშემორტყმულია მთებით, ნაძვისა და სოჭის ტყით. ბახმაროს რესპუბლიკური კურორტის სტატუსი 1922 წლიდან მიენიჭა (სურ. 8.2). ლეგენდის თანახმად კურორტის დასახლება თავადის ასულ მაროსთან არის დაკავშირებული, რომელიც თურქებმა მოიტაცეს და დადევნებულ მდევარს ხანჯლით განგმირული მარო და სისხლით წარწერა „ბახ მარო“ ანუ ნახეთ მარო დაუტოვეს.

საქართველოსა და ევროპის კურორტებისაგან განსხვავებით, ბახმაროში ზღვისა და მთის ჰაერის ნაკადების შერწყმა ხდება. მედიკოსთა ინფორმაციით, კურორტზე დასვენების შედეგად 21 დღეში იცვლება სისხლის ფორმულა და მალდდება ადამიანის იმუნიტეტი. ჰაერი

სუფთა და გამჭვირვალეა, მაღალია ულტრაიისფერი რადიაციის დონე, რაც ხელს უწყობს ადამიანის სწრაფ გაჯანსაღებას.

კურორტი ბახმარო სამივე მხრიდან შემოსაზღვრულია მაღალმთიანი ქედებით: ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მთა გადრეკილის განშტოებებით, სამხრეთიდან მესხეთის ქედის განშტოებებით, მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება მდ. ბახვისწყლის ხეობის საშუალომთიანი ტერიტორია.



სურ. 8.2. კურორტ ბახმაროს დასახლებული ტერიტორია (Sputnik-georgia.com)

მთა გადრეკილის (აბსოლუტური სიმაღლე 2508 მ) ჩრდილო-დასავლეთის განშტოება კურორტ ბახმაროს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება (სურ. 8.3). იგი არ ხასიათდება დიდი აბსოლუტური სიმაღლით, მხოლოდ მისი ცალკეული მწვერვალების სიმაღლე აღწევს 2200-2300 მ-ს. განშტოების მიმდებარე ფერდობების ზედაპირის დახრილობაც არ არის დიდი, მხოლოდ ცალკეული ფერდობების დახრილობაა 20-30⁰, ხოლო ფერდობების შეფარდებითი სიმაღლე შეადგენს 200-400 მ-ს. კურორტ ბახმაროს სამხრეთიდან მესხეთის ქედის ჩრდილო განშტოებები ესაზღვრება, რომლის ცალკეული მწვერვალების სიმაღლე აღწევს 2500-2600 მ-ს, მაგალითად მწვერვალ ლაშიფერდის სიმაღლე 2615 მ-ია (სურ. 8.4).



სურ. 8.3. მთა გადრეკილი, საიდანაც კარგად ჩანს მზის ამოსვლა (Ka-wikipedia.org)



სურ. 8.4. მთა ლაშიფერდი (მესხეთის ქედის განშტოება) (Ka-wikipedia.org)

კურორტის მიმდებარე განშტოებების თხემების აბსოლუტური სიმაღლე 2200-2400 მეტრია, შეფარდებითი სიმაღლე 300-500 მ., ხოლო ზედაპირის დახრილობა 25-35⁰-ია. კურორტის ტერიტორია გამოირჩევა დიდი ჰორიზონტალური დანაწევრებით და მის ზედაპირზე მდ. ბახვისწყლის მრავალი შენაკადია. კურორტის ფერდობები არის ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი ექსპოზიციის, აქ აღმოსავლეთის ექსპოზიციის ფერდობები თითქმის არ გვხვდება. კურორტ ბახმაროს ტერიტორიის მცენარეული საფარი ხასიათდება ტყის ფორმაციების მრავალფეროვნებითა და ტიპოლოგიური შემადგენლობის სიმდიდრით. ბუნებრივი ტყის საფარი 2000-2200 მეტრამდე ვცვლდება. ტყის ზემოთ სუბალპური ზონა გვხვდება ცალკეული ხეებით და სუბალპური მცენარეული საფარით. სუბალპური ზონის ზემოთ ალპური ზონაა ალპური მდელოებით. სუბალპურ და ალპურ ზონას დიდი ფართობი უჭირავს, რადგან ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მაღალმთიან რაიონში მდებარეობს.

კურორტის ტერიტორიაზე ნალექების მსგავსად თოვლის საფარი არათანაბრად არის განაწილებული. სიმაღლის მატებასთან ერთად მისი სიმაღლე იზრდება. უხვთოვლიან ზამთარში თოვლის საფარის მაქსიმალურმა სიმაღლემ 2006 წელს 610 სმ-ს მიაღწია. მდგრად თოვლის საფარს და მის სიმაღლეს განაპირობებს ტერიტორიის უხვთოვლიანობა (სურ. 8.5-8.6).



სურ. 8.5. უხვთოვლიანი ბახმარო (Kvirispalitra.ge)



სურ. 8.6 ზამთარი ბახმაროში (guriismoambe.com)

სამწუხაროდ, 1991 წლიდან მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე მეტეოროლოგიური სადგურების და საგუშაგოების რიცხვი 429-დან 17-მდე შემცირდა. ცალკეულ წლებში,

კერძოდ 1991-1997 და 1988-2000 წლებში არც ბახმაროში წარმოებდა დაკვირვებები, გარდა ამისა გართულდა მეტეოროლოგიური მასალის მოპოვებაც.

ცხრილში 8.3. წარმოდგენილია წლების (1932-2006 წწ.) მიხედვით თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე კურორტ ბახმაროში, ხოლო ცხრილში 8.4. წარმოდგენილია სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე მეტეოროლოგიურ სადგურებში თუ საგუშაგოებზე (7 მ-დან 1926 მ-მდე) დაფიქსირებული თოვლის მაქსიმალური სიმაღლე და მისი განმეორადობა გურიის ტერიტორიაზე და მათ შორის კურორტ ბახმაროში.

ცხრილი 8.3. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე

წელი	თოვლის მაქს.სიმაღლე, სმ	წელი	თოვლის მაქს.სიმაღლე, სმ	წელი	თოვლის მაქს.სიმაღლე, სმ	წელი	თოვლის მაქს.სიმაღლე, სმ
1932/33	290	1950/51	231	1968/69	228	1986/87	327
1933/34	239	1951/52	367	1969/70	371	1987/88	578
1934/35	280	1952/53	375	1970/71	365	1988/89	340
1935/36	230	1953/54	140	1971/72	398	1989/90	377
1936/37	256	1954/55	245	1972/73	206	1990/91	415
1937/38	236	1955/56	306	1973/74	358	1991/97 წლებში მონაცემი არ არის	
1938/39	311	1956/57	354	1974/75	284		
1939/40	197	1957/58	580	1975/76	115	1997/98	212
1940/41	334	1958/59	290	1976/77	163	1998-2000 წწ მონაცემი არ არის	
1941/42	251	1959/60	297	1977/78	433		
1942/43	312	1960/61	228	1978/79	265	2000/01	410
1943/44	250	1961/62	195	1979/80	216	2001/02	288
1944/45	399	1962/63	353	1980/81	390	2002/03	255
1945/46	186	1963/64	318	1981/82	338	2003/04	428
1946/47	359	1964/65	219	1982/83	175	2004/05	254
1947/48	321	1965/66	233	1983/84	416	2005/06	610
1948/49	373	1966/67	471	1984/85	267		
1949/50	315	1967/68	145	1985/86	168		


ცხრილი 8.4. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და განმეორადობა

№	მეტეოსადგური	მს სიმაღლე მ/ დაკვირვების წლები	მაქს. სიმაღლე, სმ, /წელი	განმეორადობა				
				>50-100	101-200	201-300	301-400	>400
1	სუფსა	7 (31)	80 (1950)	2	-	-	-	-
2	ღანჩხუთი	20 (37)	85 (1940)	3	-	-	-	-
3	ანასეული	158 (35)	128 (1959)	15	3	-	-	-
4	ნახელლაგი	475 (48)	292 (1969)	16	14	6	-	-
5	ზოტი	1270 (38)	400 (1977)	11	12	5	3	-
6	ბახმარო	1926 (71)	610 (2006)	-	9	23	22	9

კურორტ ბახმაროს რელიეფის დიდი დანაწევრება, რთული ოროგრაფია, უტყეო ციცაბო ფერდობები, რთული კლიმატური პირობები, უხვთოვლიანობა, ხანგრძლივი ზამთარი განაპირობებს თოვლის ზვავების გავრცელებას. კურორტის მიდამოებში 32 ზვავშემკრები (ნახ. 8.6.) (ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, 1996).

კურორტ ბახმაროს 32 ზვავშემკრების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები დანართში ცხრილის სახითაა წარმოდგენილი (დანართი 5, ცხრ. 8.5). კურორტის ტერიტორიაზე სხვადასხვა წლებში (1963/64, 1970/71, 1986/87, 2000/01, 2006/07)

ზვავების შედეგად არაერთი შენობა-ნაგებობა დაინგრა, მათ შორის მწყემსების სადგომი, სასადილო და სხვა (ცხრ. 8.6).




ნახ. 8.6. კურორტ ბახმაროს ზვავშემკრებების სქემატური რუკა (ლ.ქაღდანი, მ.სალუქვაძე)

ცხრილი 8.6. ზვავების შედეგად გამოწვეული ზარალი კურორტ ბახმაროში

№	წელი, თვე, რიცხვი	დასახლებული პუნქტი (მდ. ხეობა)	ნ გ რ ე ვ ა		განადგურდა ტყე, ჰა
			სახლი	ნაგებობა	
1	2	3	4	5	6
1	26.01.1964	ბახმარო (ბახვისწყალი)	6	2	0,3
2	11.02.1971	—”—	16	2	
3	01.1987	—”—	9	2	
4	01.2001	—”—	2		
ს უ ლ			33	6	0,3

9. მაღალმთიანი აჭარის ტერიტორიის ზვავსაშიშროება

აჭარა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს წარმოადგენს. როგორც მდინარე ჭოროხის აუზის განუყოფელი ნაწილი, იგი მესხეთის შემადგენლობაში შედიოდა და წყაროებში – აჭარის ქვეყანა, აჭარის ხევის სახელითაა მოხსენებული. იყოფოდა ორ ძირითად ნაწილად: ზემო აჭარა (ცენტრი დიდაჭარა იყო, შემდეგ – ხიხანი, მოგვიანებით კი ხულო) და ქვემო აჭარა, რომლის ცენტრს ქედა წარმოადგენს. აჭარის ცენტრალურ ნაწილს შუახევი ეწოდება (სურ. 9.1).



სურ. 9.1. მაღალმთიანი აჭარა (reginfo.ge)

სახელწოდება აჭარა მე-7 საუკუნიდან გვხვდება და უკავშირდება გეოგრაფიულ სახელს – აჭი. შესაძლოა ორივე სახელწოდება „ჭანს“ უკავშირდება და ნიშნავს „საჭანოს“. ლეონტი მროველის ცნობით, ძვ.წ. III საუკუნეში აჭარის ტერიტორია ქართლის სამეფოს ოძრხისის საერისთავოში შედიოდა. მე-8 საუკუნეში იგი ბაგრატიონთა სამფლობელოს, „ქართველთა სამეფოს“ ნაწილია, ხოლო მე-11 საუკუნიდან საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ნაწილი. მე-13 საუკუნიდან აჭარა სამცხე-საათაბაგოში შედიოდა.

აჭარის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მთებს და ღრმა ხეობებს უჭირავს, ზღვისპირა ფართობი ქობულეთისა და კახაბრის ვაკე-დაბლობებს. მესხეთის, შავშეთის და არსიანის ქედებს შორის განლაგებულია აჭარის ქვაბული. აჭარა შემოსაზღვრულია აჭარა-იმერეთის, არსიანისა და შავშეთის ქედების თხემებით. ესაზღვრება კოლხეთის ოლქში შემავალ აჭარა-გურიის მთისწინა რაიონს და მცირე კავკასიონის ოლქში შემავალ, აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო ფერდობისა და ახალციხის ქვაბულის რაიონებს. რეგიონი ხასიათდება საშუალომთიანი ეროზიული რელიეფით. მთავარი ოროგრაფიული ერთეულებია – აჭარა-იმერეთის და შავშეთის განედური ქედები და მათი ურთიერთდამაკავშირებელი მერიდიანული არსიანის ქედი (ლ.მარუაშვილი, 1964).

აჭარის ქვაბულის ჩრდილო მხარე ოროგრაფიულად ემთხვევა აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთის ფერდობების მონაკვეთს მთა ერგედან საყორნიაძე. სოფ. ერგედან სოფ. ქედამდე მდ. აჭარისწყალს მარჯვნიდან შეერთვის მდინარეები: ბარცხანა, დოხოძისწყალი, ქალასყური. ქედას ზემოთ კი – ზვარისხევი, ვაჯანისისხევი, ასოსხევი და ყველაზე დიდი შენაკადი ჭვანა, რომელიც სათავეს იღებს მთა საყორნიას სამხრეთ-აღმოსავლეთით.

აჭარის ქვაბულის სამხრეთით (დასავლეთ ნაწილში) შავშეთის ქედის ჩრდილო კალთა, პონტოსის ქედისა და კარჩხალის მასივია. შავშეთის ქედის მწვერვალებია: მაღისისმთა (990 მ ზღვის დონიდან), ხონისმთა (1699 მ), კორდა, ხევა (2810 მ), საჩარხია (2698 მ), უსახელო (2584 მ), დემურყაფუ (2371 მ). აჭარის უმაღლეს მთასთან – ყინდილათთან შავშეთის ქედის თხემი უკავშირდება არსიანის ქედის წყალგამყოფ თხემს. შავშეთის ქედის ჩრდილო კალთებ-

ზე მდ. აჭარისწყლის მარცხენა შენაკადებია: ხოსხიასხევი, აყოვრეთი, ჩირუხისწყალი შენაკადით – ტბეთისწყალი.

კარჩხალის მთიანი მასივის ჩრდილო-დასავლეთის ტოტი წარმოადგენს, მდინარეების ჭოროხისა და მაჭახელასწყლის წყალგამყოფს. აჭარის ქვაბულს აღმოსავლეთით არსიანის ქედი ესაზღვრება, რომლის უმეტესი ნაწილი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. გოდერძის უღელტეხილი (2025 მ), რომელზეც ახალციხე-ბათუმის გზა გადის, არსიანის ქედს ორ მონაკვეთად ყოფს. უღელტეხილის სამხრეთით არსიანის თხემზე მდებარეობს უღელტეხილი აბანოსყელი (2315 მ), მთა თლილი (2541 მ), უღელტეხილი ტაშტახტი და მთა პრასანეული (2635 მ), უღელტეხილი ურემუკი (2155 მ), სახელმწიფო საზღვართან აჭარის უმაღლესი მთა – ყანლიდადი (3007 მ). გოდერძის უღელტეხილის ჩრდილოეთით არსიანის ქედის თხემის მწვერვალებია – ყაიაბაში (2432 მ), ჭანჭახი (2506 მ), ცივწყარო (2189 მ) და საყულაფერდი (2450 მ).

არსიანის ქედის დასავლეთ კალთებზე, ხულოს ზემოთ, მდ. აჭარისწყლის ზემო წელის ხეობაა მისი შენაკადებით, მდინარეების სხალთასა და ღორჯომის ხეობებით. მდ. ჭოროხის მარჯვენა შენაკადი მდ. აჭარისწყალი სათავეს არსიანის ქედის მთა ჭანჭახის სამხრეთ კალთებზე იღებს და სოფ. ბედლეთთან დასავლეთისკენ იხრება, ამ მიმართულებას სოფ. აბუკეთ-ამდე ინარჩუნებს.

ზემოთ ჩამოთვლილ მდინარეთა ხეობებში, უღელტეხილებსა თუ მთებთან მდებარეობს ის ზეგანებები (161), საიდანაც ჩამოსულმა ზვავებმა, ცალკეულ წლებში, ადამიანთა მსხვერპლი და მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. მთიანი სისტემა ხასიათდება, ძირითადად, ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით და მხოლოდ მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მდებარეობს, ნოტიო ზღვის კლიმატიდან ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულ კლიმატში (ე.ელიზბარაშვილი, 2017; მ.კორძახია, 1961).

აჭარის მთიანი სისტემის რელიეფის თავისებურება ართულებს ატმოსფერული ნალექების ტერიტორიული გავრცელების სურათს. ამასთან, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ნალექების რაოდენობა მცირდება. მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობებზე (მდ. ჩაქვისწყლისა და კინტრიშის აუზში) ნალექების რაოდენობა სიმაღლის მიხედვით იზრდება 2300 მმ-დან (ქობულეთი) 3900 მმ-მდე (ცისკარა). აქ ვერტიკალური გრადიენტი ყოველ 100 მ-ზე შეადგენს 120 მმ-ს. ნალექების წლიური რაოდენობა მთა მტირალას რაიონში 3900-4100 მმ-ია და იგი უდიდესია არა მარტო მთიან სისტემაში, არამედ საქართველოს ტერიტორიაზეც.

მესხეთის ქედის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ფერდობების ცენტრალურ ნაწილში, ნალექების წლიური რაოდენობა ადგილის სიმაღლის მატებისას მცირდება (2150 მმ-დან 1500 მმ-მდე) ზღვის დონიდან 500-700 მ-ის სიმაღლემდე, უფრო ზევით 1100-1300 მ-ზე მაღლა, ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად ნალექების რაოდენობა იზრდება 1500 მმ-დან 1600 მმ-მდე.

აჭარის ტერიტორიის შიდა ნაწილში (მდ.აჭარისწყლის აუზი) ნალექების წლიური რაოდენობა 600-700 მ-ის სიმაღლეზე, მცირდება 2240 მმ-დან 960 მმ-მდე, შემდეგ იზრდება და 2000-2100 მ-ის სიმაღლეზე 1620 მმ-ს შეადგენს. ვერტიკალური გრადიენტი 40 მმ/100 მ-ზე. ნალექების შემცირების მიზეზი 600-700 მ-მდე ჩაქვის ქედია, რომელიც ხელს უშლის დასავლეთის ნოტიო ჰაერის მასების შემოჭრას.

არსიანის ქედი, მერიდიონალური მდებარეობის გამო, აფერხებს დასავლეთის ნოტიო ჰაერის მასების შემოჭრას და კლიმატი უფრო კონტინენტურია. აქ ნალექების განაწილება, ძირითადად, ვერტიკალურ ზონალობას ემორჩილება. ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 1500 მ-ის სიმაღლემდე ნალექების წლიური რაოდენობა არ აღემატება 600-700 მმ-ს. ნალექების რაოდენობა ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება, დასავლეთ ნაწილში – 1600 მმ-ს შეადგენს (გოდერძის გადასასვლელი). საკვლევ ტერიტორიაზე თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლე არათანაბრად არის განაწილებული და სხვადასხვა ფართობს მოიცავს (ცხრ. 9.1).

აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული მეტეოროლოგიური სადგურების დაკვირვების მრავალწლიური მონაცემებით, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და 50 სმ-ზე მეტი სიმაღლის განმეორადობა ცხრილშია წარმოდგენილი (ცხრ.9.2).

აჭარა, განსაკუთრებით მისი მთიანი ნაწილი, უხვთოვლიან რაიონს მიეკუთვნება (სურ. 9.2-9.3; 9.4-9.6).

ცხრილი 9.1. თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლე აჭარის ტერიტორიაზე

თოვლის სიმაღლე, სმ	მაქსიმალური სიმაღლე		თოვლის სიმაღლე, სმ	საშუალო სიმაღლე		თოვლის სიმაღლე, სმ	მინიმალური სიმაღლე	
	კმ	%		კმ	%		კმ	%
>500	460	16	>300	370	13	>120	800	28
400-500	200	7	225-300	440	15	90-120	390	13
300-400	1030	35	150-225	700	24	60-90	400	14
200-300	730	25	75-150	1030	35	30-60	610	21
100-200	400	14	<75	360	12	<30	700	24
<100	80	3						

ცხრილი 9.2. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და განმეორადობა აჭარის ტერიტორიაზე

№	მეტეოსადგური	მს სიმაღლე მ/ დაკვირვების წლები	მაქს. სიმაღლე, სმ, /წელი	განმეორადობა				
				>50-100	101-200	201-300	301-400	>400
1	ბათუმი	5 (51)	117 (1986)	9	1	-	-	-
2	ქობულეთი	7 (56)	107 (1950)	1	1	-	-	-
3	მახინჯაური	15 (20)	113 (1950)	3	1	-	-	-
4	ჩაქვი	30 (57)	122 (1984)	8	2	-	-	-
5	მწვანე კონცხი	94 (23)	162 (1983)	14	2	-	-	-
6	ქელა	256 (57)	268 (1985)	19	14	2	-	-
7	ჩაქვისთავი	315 (51)	257 (1959)	18	17	5	-	-
8	შუახევი	650 (38)	215 (1971)	9	14	1	-	-
9	ხულო	923 (79)	318 (1989)	24	32	9	1	-
10	გოდერძის უღელტეხილი	2025 (47)	402 (2001)	-	13	21	3	1



სურ. 9.2.-9.3. ზამთარი ქელისა და ხულოს რაიონებში (batumelebi.netgazeti.ge)



სურ. 9.4. გოდერძის უღელტეხილი (batumelebi.netgazeti.ge)




სურ. 9.5. თოვლის დერეფანი გოდერძის უღელტეხილზე (Adjara. gov.ge)



სურ. 9.6. ზამთარი გოდერძის უღელტეხილზე (Metronom.ge)

აჭარის ტერიტორიის დარაიონება ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით მოვასდინეთ ტერიტორიის ზვავაქტიურობის (ზვავსაშიში ტერიტორია პროცენტებში), ზვავშემკრებების გაერცელების სიხშირის (ზვავშემკრებების რაოდენობა **1 კმ²-ზე**), ზვავების ჩამოსვლის სიხშირის (ჩამოსული ზვავების რაოდენობა) და ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობის (ზვავსა-

შიშ დღეთა რაოდენობა) საფუძველზე და შევადგინეთ აჭარის ტერიტორიის ზეგვსაშიშროების რუკა (ნახ.9.7), სადაც გამოიყო ოთხი: განსაკუთრებით ძლიერი, ძლიერი, საშუალო და სუსტი ზეგვსაშიშროების რაიონები (ლ.ქაღდანი, 1999; ლ.ქაღდანი, 2000; ლ.ქაღდანი, 2001; ლ.ქაღდანი, 2003).



ნახ.9.7. აჭარის ტერიტორიის ზეგვსაშიშროების სქემატური რუკა (ლ.ქაღდანი, მ.სალუქვაძე)

მაღალმთიანი აჭარის ტერიტორიაზე თოვლის ზეგვებმა არაერთხელ მიაყენა ზიანი მოსახლეობას. ინგრევა და ზიანდება საცხოვრებელი სახლები, დამხმარე ნაგებობები, ნადგურდება ციტრუსის ბაღები და ტყე, მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონელი, იღუპებიან ადამიანები (ცხრ.9.3). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1971 წლის თებერვალში ჰერიმდარდოს მთის ფერდობიდან ჩამოსული ზეგვი, რომლის ჩამოსვლის შედეგად 23 ადამიანი დაიღუპა და 11 საცხოვრებელი სახლი დაინგრა (სურ. 9.8). ამ ზეგვის ჩამოსვლის ადგილი დეტალურად იქნა შესწავლილი და გატარდა შესაბამისი ზეგვსაწინააღმდეგო ღონისძიებაც (მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2014; მ.სალუქვაძე, ს. გორგიჯანიძე, ნ.კობახიძე, 2016; ლ.ქაღდანი, მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, 2001).



სურ. 9.8. სოფელი ღურტა, 1971 წლის თებერვალში ჰელიმდარდოს ფერდობიდან ჩამოსულ ზეგვში 23 ადამიანი დაიღუპა, 11 სახლი დაინგრა.

(ფოტო მ. სალუქვაძე)


ეს ზეგვი ზღვის დონიდან 1650 მ-ზე იწყებოდა. გზაზე 1300-1400 მ-ის სიმაღლეზე დამრეცი (15⁰) უტყეო მინდორი (სათიბი) მდებარეობდა, სადაც ზეგვი იშლებოდა და სოფ. ღურტაში 190-200 მ-ის სიგანით იჭრებოდა. ზეგვის გაჩერების ადგილი კი მდ. აჭარისწყლის ნაპირი იყო, რომელიც 830-850 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობდა

1984 წელს ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ, (კაბდუშელიშვილი, ლ.ქალდანი, მსალუქვაძე) ადგილობრივი მიკრორელიეფის, ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლების დადგენის საფუძველზე, შემუშავდა სოფლის დაცვის ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიება. დამრეც ფერდობზე, სადაც ხდებოდა ზვავის გაშლა, აშენდა ზვავის მიმართულების შემცველი ორი დამბა. პირველი დამბის დანიშნულება (სიმაღლე 7 მ, სიგრძე 50-55 მ) ზვავის სიჩქარის და დარტყმის ძალის შემცირება და ნაწილობრივ, მიმართულების შეცვლა იყო, ხოლო მეორე დამბის (სიმაღლე 10 მ, სიგრძე 190-200 მ) დანიშნულება, უშუალოდ ზვავის მიმართულების შეცვლას წარმოადგენდა. ამ მეორე დამბის გასწვრივ ხელოვნური ზვავსადენი იქნა გაყვანილი. გარდა ამ ღონისძიებისა, გავითვალისწინეთ, რომ ჰერიმალარდოს ფერდობზე, სადაც ეს სოფელია გაშენებული, აუცილებელი იყო უტყეო მონაკვეთების წიწვოვანი ჯიშის ხეებით გატყვიანება და არსებული ტყის გაჩეხვის აკრძალვა. ამ ღონისძიების გატარების შემდეგ, სოფლისათვის ზვავს ზარალი არ მიუყენებია.

აჭარის ტერიტორიის ხუთივე რაიონის ცალკეული პუნქტი ან მისი ნაწილი ზვავსაშიშია. შედარებით ნაკლები ზვავსაშიშროებით გამოირჩევა ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების დასახლებული პუნქტები (4 და 4 შესაბამისად) (ცხრ.9.3). ქედის რაიონში ზვავსაშიშია 24, შუახევის რაიონში – 22, ხოლო ხულოს რაიონში ზვავსაშიში პუნქტების მეტი რაოდენობა (46) მდებარეობს (მსალუქვაძე, ს. გორგიჯანიძე, ნ.კობახიძე, 2016; ლ.ქალდანი, მსალუქვაძე, ნ.კობახიძე, 2003).

აჭარის მოსახლეობისათვის განსაკუთრებით საშიში 161 ზვავშემკრებიდან ქობულეთის რაიონის 4 დასახლებულ პუნქტს, მდინარეების კინტრიშის და ჩაქვისთავის აუზში მდებარე 17 ზვავი, ხელვაჩაურის რაიონში, ორი მდინარის მაჭახელასწყლის და სკურდიდის აუზში 3 დასახლებულ პუნქტს – 7 ზვავი, ქედის რაიონის 14 დასახლებულ პუნქტს – 27 ზვავი ემუქრება და ეს ზვავები მდინარეების – აჭარისწყლის, კალასკურის, ახახუნდერეს, აკავერთას და ლონდარის აუზში მდებარეობს. შუახევის რაიონის 21 დასახლებულ პუნქტში მდინარეების ჭვანისწყლის, ნაღვარევისწყლის, ვანისწყლის, აჭარისწყლის, ჭირუხისწყლის და ტბეთის აუზებში მდებარე 44 ზვავის ჩამოსვლა არის დაფიქსირებული, ხულოს რაიონის 45 დასახლებულ პუნქტში 66 ზვავია (მდ. აჭარისწყლის, დიაკონიძის, ღორჯომის, ნაფლატისწყლის, სხალთას, კალოტას აუზები). ზვავების ჩამოსვლის შედეგად მიყენებულმა ზიანმა გაზარდა ეკომიგრანტთა რიცხვი მაღალმთიანი აჭარის რაიონებიდან.

ჩვენს მიერ შედგენილ სქემაზე (ნახ. 9.9) ყვითელი ფერით გამოყოფილია ზვავსაშიში ტერიტორია. ისარი ზვავშემკრებების რაოდენობას შეესაბამება, ხოლო წითელი რგოლით აღნიშნულია ზვავსაშიში დასახლებული პუნქტი შესაბამისი ნომრით.



ნახ. 9.9. ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები აჭარის ტერიტორიაზე (ლ.ქალდანი, მსალუქვაძე)

აჭარის ტერიტორიაზე ზვავებისაგან მიყენებული ზარალი ცხრილშია წარმოდგენილი (ცხრ. 9.3).

ცხრილი 9.3. ზვავების ჩამოსვლით გამოწვეული მატერიალური ზარალი მაღალმთიანი აჭარის ტერიტორიაზე

№	წელი, თვე-რიცხვი	დასახლებული პუნქტი, (მდ. ხეობა)	დაღუპულთა რ-ბა	ნგრევა		განადგურდა		საქონელი	
				სახლი	ნაგებობა	ბაღი, პა	ტყე, პა	მსვილფეხა	წვრილფეხა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ქობულეთის რაიონი									
1	1957	მესხიქედი (კინტრიში)		1	2	0,2		4	6
2	21.02.1985	—”—		2	2	0,3		6	4
3	03.1985	ზემო ხინო (—”—)		3	6	0,2		11	
4	30.01.1957	ზედა ბოსელი (—”—)	3	2	4	0,8	1	58	10
5	02.1957;1971	ჩაქვისთავი (ჩაქვისთავი)		4	8	3,4		14	9
ხელვაჩაურის რაიონი									
6	03.1985	ჩიქუნეთი(მაჭახელისწყალი)		2	5				
7	03.1985	ქოქოლეთი (—”—)		1	4				
8	03.1985	სკურდიდი (სკურდიდი)		1	2	0,1			
9	12.01.2014	მაჭახლისპირი (მაჭახელ.)	1						
ქედის რაიონი									
10	2.01.1988	პირველი მაისი (აჭარისწყ.)			4	0,4			
11	3.03.1975	ქვედა აგარა (კალასკური)			2	0,2			
12	1.01.1988	წონიარისი (ახახუნდერე)	1	1	1	0,2		5	
13	18.01.1989	გეგელიძეები (—”—)	3	2		0,3			
14	02.1971	დანდალო (აჭარისწყალი)		1	3				
15	02.1971;2016	ხარაულა (—”—)		1		0,1			
16	1971;2016	კოკოტაური (—”—)		2	3				
17	28.02 1989	აბუქედა (—”—)	5	2	2	0,2		6	6
18	02.1971;1975	ცხმორისი (—”—)		5					
19	1997;2014	მერისი (აკავერთა)	1		3				
20	02.1971	გუნდაური (—”—)		2	3				
21	02.1971	ნამონასტრევი (—”—)		2	4	0,6			
22	03.1975	ჭალათი (ლონდარი)		1	3				
შუახევის რაიონი									
23	1924	ტაკიძეები (ჭვანისწყალი)	2	2	4	0,3		11	7
24	1.01.1989	ხაბელაშვილები (—”—)	1	1		0,2			
25	14.02.1971	ცხმელისი(ნაღვარევისწყალ		5					
26	01. 1975	ინწკირვეთი (—”—)		1	1				
27	1924	ვანი (ვანისწყალი)		2	2	0,2		8	24
28	1964; 1971	—”—	1	5	6	0,6		18	8
29	1964;1975	ბარათაული (ვანისწყალი)	1	6	7	0,7		21	6
30	02.1975	ჭალა (—”—)		2					
31	02.1971;1975	ნიგაზეული (აჭარისწყალი)		1	5				
32	1.01.1988	მახალაკიძეები(ჩირუხისწყალ		3	4	0,4			
33	02.1971;1975	ოლადაური (—”—)	1	5	9	0,5	0,2		
34	1971;2006	მაწყვალთა (—”—)		1	2	0,2		8	

ცხრილი 9.3-ის გაგრძელება									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
35	02.1975	ლომანაური (--)	1	2	3				
36	1971;1975	ქიძინძეები (--)	6	7	9	1,3		47	27
37	02.1975	გოგინაური (--)	2	3	5	0,8		6	12
38	1988	ჯაბანაძეები (--)		1		0,1			
39	1971;1975	ტბეთი (ტბეთი)		2	5	0,2			
40	1971	გოგაძეები (--)		2	3	1,7			
41	1989;2006	წაბლანა (--)		5	7				
42	03.1975	დღვანი (ჩირუხისწყალი)	1		3				
ხულოს რაიონი									
43	03.1975;1988	ვაშლოვანი (აჭარისწყალი)		3	1	0,4			
44	1959;1988	ქედლები (--)		3	2				
45	02.1971	უჩხო (დიაკონიძე)		1	2				
46	1959;1971	კურცხალი (--)		5	3	0,6	0,5	12	8
47	02.1971;1988	დიდაჭარა (დორჯომი)		4					
48	5.03.1975	ირემაძეები (--)		4		0,1			
49	01.1987;1988	--		3		0,2			
50	1975	ლაბაიძეები (--)		4	3				
51	02.1975	აგარა (ნაგარდი)	3	4	3	0,4	0,5	12	8
52	03.1975	ბოლაური(ნაფლატისწყალი)		3	1	0,2	0,3		
53	03.1975;1988	გელაძეები (აჭარისწყალი)		1	3	0,2	0,3		
54	1.01.1988	კორტოხი (--)		1	2	0,1	0,2		
55	1971;1975	ბედლეთი (--)		1	3				
56	02.1971;1988	რიყეთი (--)		1	4	0,2	0,4	5	
57	03.1975	დანისპარაული (--)			2				
58	03.1975	შუასოფელი (--)		2	2	0,2	0,3		
59	1.01.1988	ბოძაური (--)		3	3	0,2		18	
60	02.1971;1988	დიაკონისი (--)		4	4	0,2			
61	02.1971;1988	მანიაკეთი (--)		2	5				
62	11.02.1971	ღურტა (--)	22	11	10	3	0,2	90	30
63	02.1983;1989	--			8				
64	1975;1988	იაკობიძეები (--)		1	3	0,2			
65	03.1971;1975	თაგო (--)		2	3	0,3	0,3	9	6
66	02.1971;1988	ძმაგულა (სხალთა)		1	3	0,1			
67	02.1971;1988	ჭერი (--)		4	4	0,2	0,5		
68	02.1971;1988	ფანხა (--)		5	5	0,5	1,2		
69	1975;2006	წაბლანა (--)		3	5	0,2			
70	02.1971;1975	კვატია (--)		3	6	0,1			
71	02.1971	ბაკო (--)		1	4	0,2			
72	02.1971;1988	თხილვანა (--)		1	5				
73	3.03.1975	სკვანა (--)		1	3				
74	02.1971;1975	ხისადირი (--)		2	3				
75	1971;1988	ვერნები (--)		2	2	0,1			
76	3.03.1975	მასხალაკაური (--)		1	2	0,3			
77	11.02.1971	წიფნარი (--)	3	2		0,4	0,3	6	14
78	11.02.1971	სოღგომნი (--)		1	2			1	8
79	1975;1988	ყინჯაური (--)	3	3	22	0,2	0,3	6	9
80	02.1971	კალოთა (დიდი წყალი)		2					
აჭარა			61	186	269	23	6,5	382	202

დასახლებული პუნქტებისათვის საშიში ზვავშემკრებების დასაწყისის აბსოლუტური სიმაღლე იცვლება 450 მ-დან (მდ. ჩაქვისთავის ხეობა) 2465 მ-მდე (მდ. ტბეთის ხეობა). დასასრულის სიმაღლე 200 მ-დან (მდ. აჭარისწყლის ხეობა) 1480 მ-მდე (მდ. დიაკონიძეების ხეობა), ყველაზე დიდი სიგრძის (3995 მ) მდ. ნაღვარევისწყლის ხეობაში მდებარე ზვავშემკრებია, ხოლო უმოკლესია (230 მ) – მდ. აჭარისწყლის ხეობაში არსებული ზვავშემკრები. ამ ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები დანართის 6 ცხრილშია (ცხრ. 9.4) წარმოდგენილი.

აჭარაში ზვავსაშიში ტერიტორიის სიდიდე დამოკიდებულია ტყის საფარის არსებობაზე. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის 15⁰-ზე ნაკლები დახრილობის ფერდობები მთლიანად არის ათვისებული. რეგიონი გამოირჩევა მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვით. ახალ-ახალი ტერიტორიების ათვისება ხშირად ხდება ტყის გაჩეხვის ხარჯზე, რაც თავისთავად ახალი ზვავის კერის გაჩენის წინაპირობაა. მიგვაჩნია, რომ უნდა აიკრძალოს 15⁰-ზე მეტი დახრილობის მქონე ფერდობებზე ტყის გაჩეხვა, როგორც ეს მოხდა გასული საუკუნის 80-იან წლებში სოფ. ღურტას შემთხვევაში.

ზვავების ჩამოსვლა ყოველწლიურად მნიშვნელოვან ზარალს აყენებს აჭარის ეკონომიკას, ხოლო უხვთოვლიან ზამთარში საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. მაგალითად, 2013 წლის 10-12 დეკემბერს ზვავებისა და უხვთოვლიანობის გამო, ქედის ცენტრიდან შუახევის ცენტრამდე მნიშვნელოვნად დაზიანდა 5 მაღალი ძაბვის ანბა და ხუთი დღე-ღამის განმავლობაში უშუქობის გამო პარალიზებული იყო რეგიონი.

2014 წლის 14 იანვარს ზვავმა ერთი ადამიანი იმსხვერპლა სოფ. მაჭახელაში. 2015 წლის 12 ნოემბერს გოდერძის უღელტეხილზე, უხვთოვლობის გამო გზა ჩაიკეტა და 30 ადამიანის გამოყვანა მაშველების დახმარებით გახდა შესაძლებელი. იმავე წლის 3 დეკემბერს, 60 სმ სიმაღლის თოვლისა და ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანების გამო 15 სოფელი დარჩა უშუქოდ.

2016 წლის 11 დეკემბერს, ხულოს რაიონის სოფ. ვაშლოვანში დიდთოვლობის გამო სახლის სახურავი ჩაინგრა. გოდერძის უღელტეხილის მიმართულებით ზვავის ჩამოსვლის გამო 40 წთ-ით შეფერხდა მოძრაობა. იმავე წლის 12 დეკემბერს ზვავი ორ ადგილას ჩამოწვა. ხულოს რაიონის სოფ. ბოძაურში ზვავში ორი ახალგაზრდა აღმოჩნდა. ისინი ზვავებისაგან გზის გაწმენდას ელოდებოდნენ, საბედნიეროდ მათი ამოყვანა ზვავიდან დროულად მოხდა. 14 დეკემბერს ქედის რაიონის სოფ. კოკოტაურში, ვანიძეების უბანში 20 ოჯახი მოექცა თოვლის ტყვეობაში, ზვავი მეორედაც ჩამოვიდა და სოფლებში: გეგელიძეები, დოხოძეები, ჯალაბაშვილები კვლავ გადაკეტა ზვავმა.

აჭარაში ბოლო წლებში ორი სამთო-სათხილამურო კურორტი გომარდული (2012 წ.) და გოდერძი (2015 წ.) გაიხსნა.



სურ. 9.9. ზამთრის კურორტი გომარდული (აჭარა) (batumelebi netgazeti.ge)

კურორტი გომარდული, ბათუმი-ახალციხის ტრასაზე, ბათუმიდან 90 კმ-ის დაშორებით აჭარისწყლისა და ჭვანისწყლის (ნაღვარევისწყლის მარცხენა შენაკადი) წყალგამყოფის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს. გამოირჩევა ლამაზი ბუნებით. 18 კმ-ის დაშორებით ღომას მთიდან, რომელიც 1800-2000 მ-ის სიმაღლეზეა, კარხხალისა და მესხეთის ქედების ლამაზი ხედები იშლება, ხოლო მოწმენდილ ამინდში კარგად ჩანს ბათუმი და შავი ზღვა. სათხილამურო ტრასის სიგრძე 300 მ-ია, ხოლო საბაგირო გზის სიგრძე 250 მ. (სურ. 9.9).

ბათუმიდან 109 კმ-ში, 2025 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, მეორე სამთო-სათხილამურო კურორტი გოდერძი მდებარეობს, რომელიც 2015 წლის დეკემბერში გაიხსნა. კურორტი გამოირჩევა ლამაზი ბუნებითა და პეიზაჟებით, სუფთა ჰაერით და კარგად აღჭურვილი სათხილამურო ტრასებით. ამჟამად სათხილამურო ტრასის სიგრძე 8 კმ-ია, მაგრამ დაგეგმილია ტრასის სიგრძის 32 კმ-მდე გაზრდა. საბაგირო გზის ყველაზე მაღალი ადგილი 2350 მ-ზეა. კურორტის მიდამოებშია სამკურნალო მინერალური წყლები, მსოფლიოში უნიკალური „გოდერძის ნამარხი ტყე“ და მწვანე ტბა (სურ. 9.10-9.11).



სურ. 9.10-9.11. მაღალმთიანი სამთო სათხილამურო კურორტი გოდერძი (აჭარა) (Georgian resorts snow.ge)

გოდერძის უღელტეხილი ხულოს მუნიციპალიტეტში არსიანის ქედზე, მდინარე ქვაბლიანის მარჯვენა შენაკადის მდ. ძინძეს სათავეში, 2025 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. უღელტეხილის კალთები ციცაბო და დანაწევრებულია, დაფარულია სუბალპური მდელოებით. უღელტეხილზე გადის ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზა. თოვლის ზგავების და უხვი ნალექის გამო, ზამთრის პერიოდში გზა ხშირად იკეტება და გადაადგილება გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ არის შესაძლებელი.

**10.საქართველოს სამხედრო გზის და სტუმანწმინდას
(ყაზბეგის) ზმამსაშიშროება**

საქართველოს სამხედრო გზა ჯვრის უღელტეხილით (2395 მ ზღვის დონიდან) კავკასიონის მთავარ ქედს გადაკვეთს და ქ. თბილისს ქ. ვლადიკავკაზთან აკავშირებს (ნახ.10.1). გზის საერთო სიგრძე 163 კმ-ია. გზა მცხეთის რაიონის სოფ. ნატახტართან იწყება, მუსრანის ველის გავლით, დაბა ჟინვალთან, მდ. არაგვის ვიწრო ხეობას მიუყვება. სოფ. ზედა მლეითიდან ჯვრის უღელტეხილამდე აღმართია, ხოლო 2395 მ-ის სიმაღლიდან (სურ. 10.2.) გზა მდ.ბიდარას ვიწრო ხეობაში გადადის, მდ. თერგის ნაპირს მიუყვება, შემდეგ მდ.ჩხერის შესართავიდან დარიალის ხეობას და გველეითის ხილით გზა, სოფლების ზემო ლარსისა და ჩმის გავლით, ბალთის ვიწრო ხეობაში გადადის, გადაკვეთს რამდენიმე ქედს და ქალაქ ვლადიკავკაზში მთავრდება (ც.ბასილაშვილი, მ.სალუქვაძე, გ.ხერხეულიძე, ვ. ცომია, 2012).



ნახ.10.1. საქართველოს სამხედრო გზის სქემა (Ka. Wikipedia.org)



სურ. 10.2. ჯვრის უღელტეხილი, 2395 მ სიმაღლე (iverioni.com.ge)

ჯვრის უღელტეხილი კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალურ ნაწილზე მდებარეობს. უღელტეხილის სამხრეთი ნაწილი ვულკანურ პლატოს წარმოადგენს, რომლის დასავლეთი ნაწილი მდ. თეთრი არაგვის კლდოვანი ფერდობებითაა წარმოდგენილი, ხოლო მდინარის

მარჯვენა ნაწილი მაღალი, ღრმად დანაწევრებული, ეროზიული, უტყეო ფერდობებითაა დაფარული.

საქართველოს სამხედრო გზაზე სამი ძირითადი – ჟინვალი-მლეტა, გუდაური-კობი და ალმასიანი-დარიალის ზეავსაშიში მონაკვეთია. პირველი (ჟინვალი-მლეტა) და მესამე მონაკვეთი (ალმასიანი-დარიალი) სუსტი, ხოლო მეორე მონაკვეთი (გუდაური-კობი) – განსაკუთრებით ძლიერი ზეავსაშიშროებით გამოირჩევა.



სურ. 10.3. ჟინვალი-მლეთას მონაკვეთი (info9.ge)



სურ.10.4. გუდაური-კობის მონაკვეთი ზამთარში (gudauri.travel)

დასავლეთის ჰაერის მასების გამო, საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ, კლიმატი ნოტიოა, ნალექების რაოდენობა ნოემბერ-აპრილის თვეებში 1300 მმ-ია. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 373 სმ 1968 წელს დაფიქსირდა. 100 სმ-ზე მეტი თოვლის სიმაღლე 42 წლის განმავლობაში 16-ჯერ, 200 სმ და მეტი სიმაღლის თოვლის საფარი 23-ჯერ, ხოლო 300 სმ-ზე მეტი 2-ჯერ დაფიქსირდა.

ჟინვალი-მლეთის მონაკვეთზე 52 ზეავსემკრებია და ზეავეების ჩამოსვლა მოსალოდნელია ინტენსიური ნალექების დროს (70 მმ-ზე მეტი ნალექი 18 საათში). ზეავეების უმეტესობა უხვთოვლიან ზამთარში გზას ფარავს. გამონაკლისია ჟინვალი-მლეთის მონაკვეთის სამი


სპორადული ზვავი, რომელიც ანომალური ზამთრის პირობებში გამოდის გზაზე. ზვაგებისგან გამოტანილი თოვლის მოცულობა 1-დან 100 ათასამდე მ³-ია. მაქსიმალური მოცულობა აღინიშნა, განსაკუთრებით უხვთოვლიან 1986/87 წლის ზამთარში. ამ მონაკვეთზე, ფასანაურის ტერიტორიაზე 7 ზვაგშემკრებია. ფასანაურის თემის სოფლების ზვაგებს დეტალურად განვიხილავთ და ცხრილის სახით წარმოვადგენთ შემდეგ, მე-11 პარაგრაფში.

აღმასიანი-დარიალის მონაკვეთზე 27 ზვავი ჩამოდის, რომლებიც ინტენსიური ნალექების (50 მმ 18-36 საათში) დროს მთლიანად კეტავს გზას, ხოლო ტრასაზე გამოტანილი თოვლის მასის მოცულობა 76 ათასი მ³ აღინიშნა 1987 წლის იანვარში.

გუდაური-კობის მონაკვეთზე 59 ზვაგშემკრებია, აქედან 41 ზვავი გზაზე გამოდის. ამ მონაკვეთზე არსებული ზვაგდამცავი გვირაბები და გალერეა გზის ნაწილს სრულად ან ნაწილობრივ იცავს მხოლოდ 17 ზვავისაგან (სურ.10.5.-10.7.).



სურ. 10.5. გვირაბთან ჩამოსული ზვაგის კონუსი (iverioni.com.ge)



სურ. 10.6. გალერეასთან ჩამოსული ზვავი
(ფოტო მ.სალუქვაძე, 1989 წ.)



სურ. 10.7. ზვაგის კონუსი გზაზე

საქართველოს სამხედრო გზაზე ნალექების წლიური რაოდენობა იზრდება ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად 739 მმ-დან 1733 მმ-მდე. წლის ცივ პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობა წლიური ნორმის 27-37%-ს შეადგენს. ნალექიან დღეთა რიცხვი 122-დან 183-მდეა. თოვლის საფარი არათანაბრად არის განაწილებული. განსაკუთრებით უხვთოვლიან ზამთარში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე გუდაურში და ჯვრის უღელტეხილზე, შესაბამისად 386-373 სმ-ია. ერთი თოვისას თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი 210-270 სმ-ია, ხოლო დღე-ღამური ნამატი – 100-120 სმ. თოვლიან დღეთა რიცხვი 1300 მ-მდე, 50-დან 95 დღემდეა, ხოლო 1900-2400 მ-ზე 131 - 218 დღეა. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და განმეორადობა ცხრილშია წარმოდგენილი (ცხრ.10.1).

ცხრილი 10.1. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და განმეორადობა

№	მეტეოსადგური	მს სიმაღლე, მ/ დაკვირვების წლები	მაქს. სიმაღლე, სმ, /წელი	განმეორადობა				
				>50-100	101-200	201-300	301-400	>400
1	ფასანაური	1070/ 79	148/ 1939	31	8	-	-	-
2	მღვთა	1580/ 60	360/ 1991	18	28	1	2	-
3	სტაფანწმინდა	1744/ 75	112/ 1974	29	4	-	-	-
4	კობი	1962/ 19	176/ 1956	5	9	-	-	-
5	გუდაური	2194/ 59	386/ 1987	-	38	18	3	-
6	ჯვრის უღელტეხილი	2395/ 42	373/ 1968	-	16	23	2	-
7	ყაზბეგი (მაღალმთიანი)	3653/ 48	165/ 1936	33	8	-	-	-

საქართველოს სამხედრო გზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ზევაგშემკრებების უმეტესობა – 31 ზვაგი (45%) 0,5 ჰა-ზე ნაკლები ფართობისაა, ხოლო ზედაპირის დახრილობა უმეტესად 31-35⁰-ს შეადგენს (23 ზვაგი), 26 ზვაგის მაქსიმალური სიჩქარეა 31-20 მ/წმ (ცხრ. 10.2.).

ცხრილი 10.2. ზევაგშემკრებების განაწილება ფართობის, ზვაგის კერების ზედაპირის დახრილობისა და ზვაგის მაქსიმალური სიჩქარის მიხედვით

ფართობი			დახრილობა			მაქსიმალური სიჩქარე		
ჰა	რ-ბა	%	გრად.	რ-ბა	%	მ/წმ	რ-ბა	%
<0,5	31	45	<25	6	9	<20	12	17
0,5-1,0	16	23	26-30	15	22	21-30	25	36
1,1-10,0	18	26	31-35	23	33	31-40	26	38
>10	4	6	36-40	15	22	>40	6	9
			>40	10	14			

საქართველოს სამხედრო გზისთვის საშიში ზევაგშემკრებები მდებარეობს სამივე, როგორც დაბალმთიან და საშუალომთიან, ისე მაღალმთიან ზონაში. არსებული ზევაგებიდან ყველაზე სუსტი მაქსიმალური დარტყმის ძალა 4 ტ/მ², ხოლო ძლიერი 97 ტ/მ²-ია (ცხრ. 10.3.).

ცხრილი 10.3. ზევაგების განაწილება მაქსიმალური დარტყმის ძალის, ზვაგის კონუსის მოცულობისა და მოძრავი ზვაგის სიმაღლის მიხედვით

დარტყმის ძალა			კონუსის მოცულობა			სიმაღლე		
ტ/მ ²	რ-ბა	%	ათ.მ ³	რ-ბა	%	მ	რ-ბა	%
<20	12	17	<1,0	14	20	<10	18	26
21-40	22	32	1,1-1,5	22	32	10,1-15,0	29	42
41-60	15	22	5,1-25	18	26	15,1-20	10	14
61-80	17	25	25,1-100	10	15	20,1-25	10	14
>80	3	4	>100	5	7	>25	2	2

დანართი 7, ცხრილი 10.4, წარმოდგენილია იმ 145 ზევაგშემკრებების მორფომეტრიული და ზვაგის დინამიკური მახასიათებლები, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზაზე ჩამოდის,

სადაც განსაკუთრებული ზვავაქტიურობით გამოირჩევა მდ. ბიდარას ხეობა. მდ. ბიდარა სოფ. კობთან მდ. თერგს უერთდება და მის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს. მდინარის ხეობა 3000 მ-მდე 10-40 მ სიგრძისა და 20-150 მ სიგანის ეროზიული ღარტაფებითაა წარმოდგენილი. მონაკვეთზე 50 ზვავშემკრები და აქ ზვავები ყოველწლიურად ჩამოდის.

საქართველოს სამხედრო გზაზე რთული რელიეფით ხასიათდება კურორტ ფასანაურის მონაკვეთი, რომელიც მდ. თეთრი არაგვის მარჯვენა ნაპირზე მთა გურდიმის (2099 მ) აღმოსავლეთით მდებარეობს. სამხედრო გზაზე არსებული 7 ზვავია (დანართი 7, ცხრილი 10.4), წარმოდგენილი, ხოლო ფასანაურის თემის დასახლებული პუნქტების ზვავსაშიშროება მე-11 პარაგრაფში იქნება განხილული.

ზვავსაშიშა სტეფანწმინდის (ყაზბეგი) დასახლებული პუნქტებიც, სადაც 20 ზვავის კერაა.

სტეფანწმინდას მუნიციპალიტეტში 47 დასახლებული პუნქტია, რომელთაგან ათს (კარკუნა, ჯუთა, ახალციხე, არშა, აბანო, ოქროყანა, ხურთისი, გაიბოტენი, ფანშეტი, სნო) ზვავი ემუქრება (სურ.10.8). სტეფანწმინდას (ყაზბეგს) სამხრეთ-აღმოსავლეთით დუშეთის, სამხრეთით – ახალგორის, დასავლეთით – ჯავის მუნიციპალიტეტები ესაზღვრება, ხოლო ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაცია. ტერიტორია მაღალმთიანია (1700 მ-დან 5000 მ-მდე). ზამთარი ცივი და მშრალია, ხოლო ზაფხული – გრილი. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 4,9⁰-ია. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა სტეფანწმინდაში (1744 მ სიმაღლე ზღვის დონიდან) 718 მმ, მათ შორის ნოემბერ-მარტის თვეში – 150 მმ. ხოლო მაღალმთიან ყაზბეგში (3653 მ) – 1404 მმ და 370 მმ შესაბამისად. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე სტეფანწმინდაში, 75 წლიანი დაკვირვების მასალების მიხედვით, 112 სმ დაფიქსირდა 1974 წელს, ხოლო მაღალმთიან ყაზბეგში, 48 წლიანი დაკვირვების პერიოდში – 165 სმ, 1936 წელს. რაც შეეხება, 50 სმ-ზე მეტი თოვლის სიმაღლის განმეორადობა სტეფანწმინდაში 29-ჯერ, ხოლო 100 სმ-ზე მეტი – 4-ჯერ, მაღალმთიან ყაზბეგში 50 სმ-ზე მეტი სიმაღლის განმეორადობა 33-ჯერ, ხოლო 100 სმ-ზე მეტი, 8-ჯერ დაფიქსირდა. 3600 მ-ზე ნივალური ზონაა გავრცელებული.



სურ. 10.8. სტეფანწმინდა (ყაზბეგი) და მიმდებარე ზვავსაშიშა ფერდობები (Heee.ucoz.com By Toka)

სტეფანწმინდას მუნიციპალიტეტში ქართული ხუროთმოძღვრული კომპლექსი გერგეტი გალავნით არის შემოზღუდული. ეს კომპლექსი 2200 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს და მასში, XIV საუკუნის 30-იანი წლების სამების გუმბათოვანი ტაძარი, სამრეკლო და საბჭო მდებარეობს (სურ. 10.9).



სურ. 10.9. სტეფანწმინდა, გერგეტის ტაძარი და ზვავსაშიში ფერდობები (hiveminer.com)

ზვავები სტეფანწმინდაშიც ყოველწლიურად ჩამოდის. ზოგჯერ სამაშველო სამუშაოების ჩატარების აუცილებელობაც დგება (ნახ.10.10). სტეფანწმინდაში არსებული ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები დანართის ცხრილშია წარმოდგენილი (დანართი 7, ცხრ. 10.5).



სურ. 10.10. სამაშველო სამუშაოები სტეფანწმინდაში 2017 წლის 17 მარტს (Interpressnews.ge)

საქართველოს სამხედრო გზაზე 145 ზვავის გამოკვეთილი კერაა და ზვავები თითქმის ყოველწლიურად ჩამოდის, ხშირად ზვავსაშიშროების გამო ხდება გადაადგილების შეფერხება. ზამთრის განმავლობაში ზვავსაშიშროების გამო შეზღუდულია და იკეტება გუდაური-კობის მონაკვეთი, სადაც გადაადგილება შესაძლებელია ზვავსაშიში პერიოდის დასრულებისა და ზვავის კონუსებისგან გზის გაწმენდის შემდეგ. ეს კი ცხადია, ზამთრის საკურორტო სეზონის პერიოდში დისკომფორტს უქმნის დამსვენებელს, ასევე იმ მძღოლებს, რომელთაც ტვირთი გადააქვთ და არაერთი ღამის გათევა უწევთ სატვირთო მანქანებში ყინვისა და ზვავსაშიშროების გამო. თუმცა, სამაშველო სამსახური წარმატებით ასრულებს თავის ფუნ-

ქციას და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და მოსახლეობაც უმსუბუქებს მათ ძნელ პირობებს, უზრუნველყოფს მძღოლებს სასმელი წყლითა და საკვები პროდუქტებით. მაგ. 2015 წლის 6 იანვარს ფასანაური-მღეთა-გუდაური-კობის მონაკვეთზე, 200 მ-ის სიგრძეზე 3 ზევი ჩამოწვა, რომელთა კონუსის სიმაღლე 3 მ-ს აღემატებოდა. ცალკეულ წლებში კურორტ ფასანაურში და სტეფანწმინდაში ზევიშემკრებიდან ჩამოსულმა ზევიმა, დიდი ზიანი მიაყენა ცალკეულ დასახლებულ პუნქტებს. დაინგრა და დაზიანდა ათობით საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობა, ავტომანქანები, წისქვილი. ფასანაურში, 1954 წლის თებერვალში, დააზიანა მეტეოროლოგიური სადგურის შენობა, ჰესის დამცავი კედელი. ჰესი 18 დღის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა. სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ფანშეტში 1987 წლის 10 იანვარს დაინგრა ქვის სახელოსნო და მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა, დაზიანდა მეორე ქარხნის შენობაც, ხოლო სოფ. არშაში, იმავე ზამთარში, დაინგრა ტურბაზის 6 სახლი. ზევის არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ათეულ ჰექტარზე დაზიანდა ტყე და ხეხილის ბაღები (ცხრ.10.6).

ცხრილი 10.6. ზევიების ჩამოსვლით გამოწვეული მატერიალური ზარალი საქართველოს სამხედრო გზაზე და სტეფანწმინდაში

№	წელი, თვე, რიცხვი	დასახლებული პუნქტი, /მდინარის ხეობა	დაღუპულთა რაზმ	ნგრევა		საქონელი	
				სახლი	ნაგებობა	მსხვილფეხა	წერილფეხა
1	2	3	4	5	6	7	8
1	4.02.1846	ხატის სოფელი/თერგი	56	16	10	80	96
2	5.02.1846	ერეთო/ თერგი	7	7	6	49	60
3	1938; 1987	ფანშეტი/ თერგი	7	6	8	10	22
4	1932;1939; 1954;1956;	კარკუჩა/სნოსწყალი	9	11	13	33	50
5	1956	გაიბოტენი/თერგი	3	3	2	14	28
6	1987	არშა/ თერგი		6	5		
ს უ ლ			82	49	44	186	256

11. ღუშეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების ზვანსაზიშროება

ღუშეთის მუნიციპალიტეტს სამხრეთით მცხეთის, დასავლეთით კასპისა და ახალგორის, ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაცია და სტეფანწმინდა (ყაზბეგი), ხოლო აღმოსავლეთით ახმეტისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები ესაზღვრება. ტერიტორიის დიდი ნაწილი კავკასიონის საშუალო და მაღალი მთებითაა წარმოდგენილი, მხოლოდ ბაზალეთის ზეგანზე განლაგებული სამხრეთი ნაწილი გამოირჩევა დაბალი სიმაღლეებით. სხვადასხვა ზონაში სიმაღლე 870 მ-დან 4000 მ-მდე მერყეობს (ნახ. 11.1).



ნახ. 11.1. ღუშეთის მუნიციპალიტეტი (georgianency)

დაბალი ზონისთვის ზომიერად ნოტიო ჰავაა დამახასიათებელი, ზამთარი შედარებით თბილი და ხანგრძლივია. 870-900 მ-ის სიმაღლეზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა არის 9.7-9.8⁰, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 740 მმ. სიმაღლის მატებასთან ერთად ჰავა მკაცრდება. მაღალი მთის ზონაში მუდმივი თოვლი და მყინვარებია. ნალექების რაოდენობა კი 1200-1600 მმ-ია.

თუშეთისა და ხევსურეთის მონაკვეთი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით, ხოლო მთიულეთისა და ფშავის, სამხრეთ კალთაზე მდებარეობს. თუშეთისა და ხევსურეთის კავკასიონზე ხევსურეთისა და აწუნთის ქედებია. ხევსურეთის ქედი მდ. არღუნსა და ასას ხეობებს შორის მდებარეობს, ხოლო თხემზე მწვერვალებია: მაღალებისმაღალი (4007 მ. ზღვის დონი-

დან), მახისმაღალი (3391 მ) და გომისმაღალი (3740 მ). ისართელის უღელტეხილი (3486 მ) ერთმანეთთან არხოტისა და არდოტის თემებს აკავშირებს.

დუშეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში ქ. დუშეთის გარდა, შედის ჟინვალის, ფასანაურის, ანანურის, ბახალეთის, ლაფანანთკარის, გრემისხევის, გუდამაყრის, მალაროსკარის, მჭადიჯურის, უკანაფშავის, ქვეშეთის, ბარისახოს, შატილის თემები, რომელთაგან ზევასაშიშია ფასანაურის, გუდამაყრის, უკანაფშავის, ქვეშეთის, ბარისახოს და შატილის თემების დასახლებული პუნქტები.

მუნიციპალიტეტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აწუნთის ქედის მწვერვალი პირჩიტაა (3840 მ). მთიულეთისა და ფშავის კავკასიონზე ალევის, მთიულეთის, გუდამაყრის და ქართლის ქედებია. ალევის ქედი დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, ხოლო ამ ქედზე ძირითადი მთებია: მუნჯუხე (2685 მ), ლომისი (2452 მ) და საფერშეთი (2520 მ). მთიულეთის ქედი კავკასიონის მთავარ ქედს შირამის მწვერვალთან გამოეყოფა და გრძელდება სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ დაბა ფასანაურის ჩრდილოეთით. ქედის ძირითადი მწვერვალებია: საბადლო (2802 მ), მთაწმინდა (2760 მ) და წიფორი (2577 მ). გუდამაყრის ქედი მწვერვალ ჩრდილო ჭიუხთან გამოეყოფა მთავარ ქედს და გრძელდება ჟინვალის წყალსაცავამდე. ძირითადი მწვერვალებია ლაღისმთა (2601 მ), ლუთხუბი (2572 მ) და საფსიტისწვერი (2278 მ), ხოლო უღელტეხილებიდან ფხიტური და უკანატბა. ქართლის ქედი მთიულეთისა და ფშავის კავკასიონის სამხრეთი განშტოებაა, მთა დიდ ბორბალოსთან გამოეყოფა მისგან და სამხრეთით, ცხვარიჭამიას უღელტეხილთან მთავრდება. ქედის ძირითადი მწვერვალია ჭიხო (3078 მ), ხოლო მთებია – ხეობა (1492 მ), დოლოშა (1412 მ), ჭვინთაური (1240 მ). ქართლის ქედს 9 კმ სიგრძის ქედი უბისთავი გამოეყოფა, რომლის მწვერვალია უბისთავი (2330 მ) (ლ. მარუაშვილი, 1964).

დუშეთის რაიონის ოთხი ძირითადი მდინარე: მთიულეთის, გუდამაყრის, ფშავისა და ხევსურეთის არაგვია. მთიულეთის არაგვს დაბა ფასანაურთან მარცხნიდან გუდამაყრის არაგვი უერთდება, რომლის სათავე მწვერვალ ჭიუხის კალთებზეა. გუდამაყრის არაგვის ორი ძირითადი შენაკადი მდინარეებია ბაკურხევი და ბურსაჭირი. მდ. ფშავის არაგვი სათავეს მთა დიდი ბორბალოს სამხრეთ კალთიდან იღებს და ხევსურეთის არაგვს უერთდება. მისი მთავარი მარცხენა შენაკადებია: თვალიურა, ბოტანისწყალი, ახადისწყალი, ჩარგლულა, ცაცადო, შარახევი შენაკად წერათოულთან ერთად, ხოლო მარჯვენა შენაკადებია: მათურხევი, გომეხეობა, კიშხევი, ლაშარი, ჩაქისხედი, ხევსურეთის არაგვი. მდ. ხევსურეთის არაგვის სათავე ხევსურეთის ქედის დასავლეთ კალთაზე მდებარეობს. მთავარი შენაკადები გუდანისწყალი და გორშედმისწყალია, ასევე მარჯვენა შენაკადები: უსტამალე, ბუჩუკურთა, რომისწყალი აბდულაურ შენაკადთან ერთად, დათვისხევი და ბლოსწყალი. მარცხენა შენაკადებია: აკუმოსხევი და ლიქოკისხევი.

დუშეთის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილო კალთის მდინარეები არღუნი და ასა. დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამი ტიპის ჰავაა: ზომიერად ნოტიო ჰავა, ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით; ნოტიო ჰავა, ცივი ზამთრით და მოკლე გრილი ზაფხულით; მაღალი მთის ნოტიო ჰავა, მუდმივი თოვლით და მყინვარებით. მთიან დასახლებულ პუნქტებში საკმაოდ მკაცრი ზამთარია 1200-1600 მმ ნალექით, ხოლო 3300-3400 მ-ის ზემოთ ქედებზე, მარად თოვლიანი და მყინვარიანი ჰავაა (ე.ელიზბარაშვილი, 2017; მ.კორძახია, 1961).

დუშეთში წლის საშუალო ტემპერატურა 9,7⁰-ია, ფასანაურში – 7,8⁰, ბარისახოში 6,4⁰, ხოლო წინხადუში – 4,6⁰. თოვლის მაქსიმალური სიმაღლე და 50 სმ-ზე მეტი სიმაღლის განმეორება წლების მიხედვით, ცხრილშია წარმოდგენილი (ცხრ.11.1).

დუშეთის მუნიციპალიტეტში 283 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი, 2 დაბა და 280 სოფელი. მათგან ფასანაურის, გუდამაყრის, უკანა ფშავის, ქვეშეთის, შატილის, ჭართლის, ბარისახოს თემების 45 სოფელი ზევასაშიშ ზონაში მდებარეობს. ფასანაურის თემის 6 სოფელში (ფასანაური, სოდევე, უკანამხარი, წინამხარი, ჩადისციხე, ჩირიკი) – 20 ზვავია, მათგან 7 საქართველოს სამხედრო გზაზე, ხოლო 13 ფასანაურის თემის 5 სოფელში; გუდამაყრის თემის 13 სოფელში (მაქართა, კიტოხი, გამსი, დუმაცხო, ბურსაჭირი, ჩოხი, ზანდუკი, თოთიაურნი, სიჯანანანი, საჩაღისჭალა, თორელაანი, ლუთხუბი, ცხვედიეთი) – 22, უკანა ფშავის 5 სოფელში (შუაფხო, მათურა, უკანა ფშავი, თხილიანა) – 9, ქვეშეთის თემის 5 სოფელში (არახვეთი, ზემო მღელთა, წკერე, ლაკათხევი, გვიდაქე) – 12, შატილის თემის 4 სოფელში (ხონისჭალა, ხახაბო, მუცო, კისტანი) – 5, ჭართლის თემის 1 სოფელში (ჯუღისი) – 3, ხოლო ბარისახოს თემის 11 სოფელში (ჭალისოფელი, დათვისი, კორშა, რომკა, ზეისტეჩო, აყნელი, გუდანი, ჭორმეშავი, ბისო, ხახმატი, ღული) – 19 ზვავია.

ცხრილი 11.1. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და განმეორადობა

№	მეტეოსადგური	მს სიმაღლე, მ (დაკვირვების წლები)	მაქს. სიმაღლე, სმ, /წელი	განმეორადობა				
				>50-100	101-200	201-300	301-400	>400
1	დუშეთი	922 (58)	73 (1938)	7	-	-	-	-
2	ფასანაური	1070 (79)	148 (1939)	31	8	-	-	-
2	ბარისახო	1325 (58)	182 (1976)	28	11	-	-	-
3	წინხადუ	1910 (45)	250 (1956)	17	23	4	-	-

დეტალურად განვიხილავთ დაბა ფასანაურის ზეგვსაშიშროებას, რადგან დაბა წარმოადგენს კურორტს, სადაც წლის ნებისმიერ მონაკვეთშია შესაძლებელი დასვენება. რთული რელიეფით ხასიათდება კურორტ ფასანაურის მონაკვეთი, რომელიც მდ. თეთრი არაგვის მარჯვენა ნაპირზე მთა გურდიმის (2099 მ.) აღმოსავლეთით მდებარეობს (სურ.11.2).



სურ. 11.2. დაბა ფასანაური (interpressnews.ge)

მთებით გარშემორტყმული კურორტ ფასანაურისთვის დამახასიათებელია დაბალი მინიმალური ტემპერატურები, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა -30° , ხოლო მაქსიმალური ტემპერატურა 36° -ს აღწევს. უქარო დღეთა რიცხვი 52%-ს შეადგენს, ძირითადად სჭარბობს ჩრდილოეთის მიმართულების ქარები. წლის ცივ პერიოდში მოსული ნალექებით გამოირჩევა 1986/87 წლის ზამთარი, როცა ნალექების რაოდენობამ 716 მმ (211%), ხოლო 1961/62 წლის ზამთარში – 227 მმ (67%) შეადგინა. ცალკეულ წლებში საშუალო თვიური ნალექების რაოდენობა ფასანაურში 1976 წლის იანვარში 347 მმ (708%), 1965 წლის იანვარში – 2 მმ (3%) იყო. თოვისას აღინიშნება 100 სმ-ზე მეტი თოვლის სიმაღლის მატება.

კურორტი ფასანაური შედარებით მცირე ($1-10^{\circ}$) დახრილობის ტერასაზეა განთავსებული, მხოლოდ დასავლეთით მდებარე მთა გურდიმის ფერდობი გამოირჩევა დიდი დახრილობით ($20-40^{\circ}$), რაც თოვლის საფართან ერთად, რომელიც ყოველწლიურად აღემატება 40-50 სმ-ს, ხელსაყრელ პირობას ქმნის ზვავების ჩამოსვლისთვის. იმ ზვავშემკრებიდან, რომელიც დაბა ფასანაურის ტერიტორიაზეა, გამოირჩევა მთა გურდიმის ჩრდილო-აღმოსავლეთის უტყეო ფერდობის ზვავი, რომლის მაქსიმალური სიჩქარე 41-42 მ/წმ-ია. ფართოდაა გავრცელებული ზვავები, რომელთა მაქსიმალური სიჩქარე 20-30 მ/წმ-ია. ზვავების 20%-ს აქვთ 10 ტ/მ²-ზე ნაკლები დარტყმის ძალა, 24%-ს 10-30 ტ/მ², მაქსიმალური დარტყმის ძალა – 77-80 ტ/მ²-ს შეადგენს (ზვავი №17). №8 ზვავის სიგრძე 2530 მ-ია. ხოლო ზვავის კონუსის მოცულობა 8600 მ³. ზვავები აღწევენ დაბა ფასანაურის დასახლებულ ტერიტორიამდე და არაერთხელ მიუყენებიათ მატერიალური ზარალი და გამოუწვევიათ ადამიანთა მსხვერპლი (მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2011; მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2012).

კურორტ ფასანაურის ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები დეტალურად განვიხილეთ წინა თავში (თავი 10, დანართი 7, ცხრილი 10.4).

დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული ზვავსაშიში დასახლებული პუნქტების, მათ შორის ფასანაურის თემის სოფლების, ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები წარმოდგენილია დანართის ცხრილში (დანართი 8, ცხრ. 11.2).

დუშეთის რაიონში ზვავსაშიში 45 დასახლებული პუნქტიდან, გარდა კურორტ ფასანაურისა, ზვავების რაოდენობით გამოირჩევა ფასანაურის თემის სოფ. ჩირიკი (4 ზვავი), გუდამაყრის თემის სოფლები – მაქართა (5 ზვავი) და გამსი (4 ზვავი), უკანაფშავის თემის სოფ. შუაფხო (4 ზვავი), ქვეშეთის თემის სოფ. გვიდაქე (5 ზვავი) და ბარისახოს თემის სოფ. როშკა (4 ზვავი). დანარჩენ 39 სოფელში ერთი, ორი ან სამი ზვავია, რომელთა ჩამოსვლა შესაძლებელია უხვთოვლიან ზამთარში.

ქვეშეთის თემის სოფ. გვიდაქე მდებარეობს, მდ. თეთრი არაგვის მარცხენა შენაკადის მდ.გვიდაქეს და მდინარის მარჯვენა შენაკადის ტერასებზე, ზღვის დონიდან 1330-1380 მ-ის სიმაღლეზე. სოფლის მიმდებარე ფერდობების სიმაღლე 1800-2000 მ-ს აღწევს. მდინარის მარჯვენა ფერდობი, ძირითადად უტყეოა, ხოლო მარცხენა ფერდობი ფოთლოვანი ტყით არის დაფარული, ფერდობების დახრილობა 30-40⁰. ზამთარი მკაცრია, თოვლის მაქსიმალური სიმაღლე 180-220 სმ-ია. სოფლის მიდამოებში ხუთი ზვავშემკრებია. აღნიშნული ზვავშემკრებებიდან გამოირჩევა №55 ზვავი, (დანართი 8, ცხრილი 11.2), რომელიც ზღვის დონიდან 2000 მ-ის სიმაღლეზე იწყება და მოპირდაპირე ფერდობზე 1380 მ-ის სიმაღლეზე ჩერდება. ზვავის მაქსიმალური სიჩქარე 38 მ/წმ, დარტყმის ძალა 66 ტ/მ², დანარჩენი ოთხი ზვავშემკრები საშუალო სიდიდისაა. სოფლის მიდამოებში მდებარე ზვავშემკრებებიდან ზვავები უხვთოვლიან და განსაკუთრებით უხვთოვლიან ზამთარში ჩამოდის, აღწევს სოფლის დასახლებულ ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარე უბანს და საფრთხეს უქმნის მოსახლეობას.

გუდამაყრის თემის სოფ. მაქართა მდებარეობს მდ. შავი არაგვის, მისი მარცხენა და მარჯვენა შენაკადების ტერასებსა და ფერდობებზე, ზღვის დონიდან 1190-1350 მ-ის სიმაღლეზე. ფერდობების სიმაღლე 2400-2500 მ-ს აღწევს. სოფლის ტერიტორია დიდი ვერტიკალური და ჰორიზონტალური დანაწევრებით ხასიათდება. ფერდობების უმეტესობა ფოთლოვანი ტყით არის დაფარული. ზამთარი მკაცრია, ნოემბერ-მარტის თვეებში ტემპერატურა უარყოფითია, თოვლის სიმაღლე 180-200 სმ. სოფლის ტერიტორიაზე ხუთი ზვავი ჩამოდის, ამათგან გამოირჩევა №16 ზვავი (ცხრ.11.2), რომელიც 2450 მ-ის სიმაღლეზე იწყება და მდ. შავი არაგვის მოპირდაპირე ფერდობზე ჩერდება. ზვავშემკრების სიგრძე 3215 მ, ზვავის მაქსიმალური სიჩქარე 48 მ/წმ-ია, ხოლო, მაქსიმალური დარტყმის ძალა 106 ტ/მ². ასეთივე სირთულით გამოირჩევა მდ. შავი არაგვის მარცხენა ფერდობზე მდებარე №17 და №18 ზვავშემკრები. გუდამაყრის ხეობაში ზვავის კონუსი კარგად ჩანს სურათზე (სურ. 11.3).



სურ. 11.3. ზვავის კონუსი გუდამაყრის ხეობაში (bekauri.blogspot.com)

სოფელ მაქართას მიდამოებში მდებარე ზვავშემკრებებში წარმოქმნილი ზვავები თითქმის ყოველწლიურად ჩამოდის, ხოლო უხვთოვლიან ზამთარში რამდენჯერმე ხდება ზვავის ჩამოსვლა, ოღონდ დასახლებულ ტერიტორიას მხოლოდ განსაკუთრებით უხვთოვლიან ზამთარში აღწევს.

ბარისასოს თემის 34 სოფლიდან 11 სოფელია ზვავსაშიში, ამათგან მდ. გუდანისჭაღის ხეობაში მდებარე ჭორმეშაფსა და ბისოში თითო ზვავი, ხოლო სოფ. ხახმატში – ორი ზვავი ჩამოდის. ორ-ორი ზვავი ჩამოდის მდ. ჭაღისსოფლის ხეობის სოფ. ჭაღისსოფელში, მდ. დათვისხევის ხეობის სოფ. დათვისში, მდ. ხევსურეთის არაგვის ხეობის სოფ. კორშაში.

ოთხი ზვავი ჩამოდის მდ. როშკას ხეობის სოფ. როშკაში, სადაც მიმდებარე ფერდობების სიმაღლე 2200-2300 მ-ია, უღელტეხილის სიმაღლე 2439 მ (სურ. 11.4). გვხვდება როგორც უტყეო, ისე ფოთლოვანი ტყით დაფარული ფერდობები. ზამთარი მკაცრია, ხუთი თვის განმავლობაში ტემპერატურა უარყოფითია, ნალექების რაოდენობა 500-550 მმ, თოვლის მაქსიმალური სიმაღლე 250-300 სმ. სოფ. როშკას მიდამოებში ოთხი ზვავშემკრებია. ზვავი №71 (ცხრ. 11.2.) მდ. როშკას მარჯვენა ფერდობზე, სოფ. როშკას სამხრეთით მდებარეობს. ზვავშემკრების უმეტესი ნაწილი უტყეოა, მხოლოდ ნაწილია მეჩხერი ტყით დაფარული. ზვავშემკრების სიგრძე 770 მ-ია, ზვავის მაქსიმალური სიჩქარე 24 მ/წმ, მაქსიმალური დარტყმის ძალა 26 ტ/მ². ზვავი №73 და №74 მდ. როშკას მარცხენა ფერდობზე მთა უღელტეხილის (2439 მ) სამხრეთით მდებარეობს. ზვავშემკრებების სიგრძე 1180-1450 მ-ია. ზვავის მაქსიმალური სიჩქარე 27-28 მ/წმ, მაქსიმალური დარტყმის ძალა 29-36 ტ/მ². სოფ. როშკას ზვავები თითქმის ყოველ საშუალო და უხვთოვლიან ზამთარში ჩამოდის, მაგრამ დასახლებული ტერიტორიიდან მოშორებით, 2000-2050 მ-ის სიმაღლეზე ჩერდებიან. ზვავები დასახლებულ ტერიტორიას მხოლოდ უხვთოვლიან ზამთარში აღწევს.



სურ. 11.4. სოფელი როშკა მიმდებარე ზვავსაშიში ფერდობებით (ambioni.ge)

შატილის თემის 9 სოფლიდან ოთხი: ხონისჭაღა, ხახაბო, მუცო და კისტანი ზვავსაშიშია (სურ. 11.5.-11.6.).

შატილის თემის სოფლებში: ხონისჭაღა (მდ. ხონისჭაღას ხეობა), მუცო (მდ. ანდაკის ხეობა) და კისტანი (მდ. არღუნის ხეობა) თითო ზვავი ჩამოდის. სოფ. ხახაბოში (მდ. ჭანჭახისწყლის ხეობა) – ორი ზვავი. ამ ხუთი ზვავიდან განსაკუთრებით გამოირჩევა სოფ. მუცოს ზვავი (სურ. 11.6.), რომელიც 3150 მ-ის სიმაღლეზე იწყება. მისი სიგრძე 3770 მ-ია, ჩერდება 1550 მ-ის სიმაღლეზე. ზვავის მაქსიმალური სიჩქარე 48 მ/წმ, ხოლო მაქსიმალური დარტყმის ძალა 106 ტ/მ². ზვავი უხვთოვლიან ზამთარში შენობებთან გაივლის, გადაკვეთს მდ. ანდაკს და მოპირდაპირე ფერდობზე ჩერდება.



სურ. 11.5. შატილის თემის სოფ.ხახაბო ზვავსაშიში ფერდობებით (flickr.com, paata ge)



ნახ. 11.6. სოფ. მუცო ზვავსაშიში ფერდობებით (Ka-wikipedia.org)

ზვავები მდ. ბურსაჭირის ხეობაში სამ სოფელში (დუმაცხო, ბირსაჭირი, ჩოხი) გვხვდება. თითო ზვავი, რომელიც დასახლებულ ადგილს ემუქრება, დუმაცხოში და ბურსაჭირშია, ხოლო სოფ. ჩოხის დასახლებულ უბანთან ორი ზვავია, რომელთა ჩამოსვლა უხვთოვლიან ზამთარშია შესაძლებელი. ზვავი საცხოვრებელ სახლებთან გაივლის, გადაკვეთს მდ. ბურსაჭირის შენაკადს მდ. ბაკურხევს და მოპირდაპირე ფერდობზე ჩერდება (სურ. 11.7.-11.8.).

ცალკეულ წლებში დუშეთის რაიონის 45 დასახლებულ პუნქტში არსებულმა ზვავებმა ზიანი მიაყენა ადგილობრივ მოსახლეობას. ზვავების ჩამოსვლას 27 ადამიანი შეეწირა, დაინგრა ათეულობით საცხოვრებელი სახლი, სხვადასხვა ნაგებობა, მათ შორის დაბა

ფასანაურში დაზიანდა მეტეოროლოგიური სადგურის შენობა, ჰესი. დიდ ფართობზე განადგურდა ტყე და ხეხილის ბაღები, განადგურდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. ამ და სხვა თავებში წარმოდგენილ ცხრილში (ცხრ.11.3.), სადაც ზეაგების ჩამოსვლით გამოწვეული მატერიალური ზარალია აღწერილი, ის მონაცემებია, რომელთა მოპოვებაც წლების განმავლობაში ხდებოდა ჩვენს მიერ (მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2012).



სურ. 11.7.-11.8. სოფ. ბურსაჭირი და ჩოხი ზეაგეაშიში ფერდობებით (youtube.com) (blog.turebi.ge) დუშეთის მუნიციპალიტეტში დიდი მატერიალური ზარალისა და ადამიანთა მსხვერპლის გარდა, დაზიანდა ორი მეტეოროლოგიური სადგურის: ფასანაურისა და წკერეს შენობა, „ჰესის“ დამცავი კედელი, რამდენიმე ავტომანქანა და 3 თავლა.

ცხრილი 11.3.ზეაგების ჩამოსვლით გამოწვეული მატერიალური ზარალი დუშეთის რაიონში

№	წელი, თვე, რიცხვი	დასახლებული პუნქტი, /მდ. ხეობა	დაღუპულთა რ-ბა	ნგრევა		განადგურდა		საქონელი	
				სახლი	ნაგებობა	ბაღი,ჭა	ტყეა	მსხვილფეხა	წვრილფეხა
ფასანაური									
1	27.02. 1954; 1988;1992	ფასანაური (თეთრი არაგვი)	2	6	11	1	2,5	18	27
2	1976;1987	ჩადისციხე (თეთრ.არაგვ.)		1	1				
3	01.1976;1987	წინამხარი (ხანდოსხევი)		1	1				
4	01.1976;1987	ჩირიკი		2	3				
გუდამაყარი									
5	18.01.1976	მაქართა (შავი არაგვი)	6	4		0,3	0,7	30	18
6	18.01.1976	დუმაცხო (ბურსაჭირი)	3	2			0,4	10	18
7	19.01.1976	ბირსაჭირი (ბურსაჭირი)		1	1			10	
8	18.01.1976	ჩოხი (ბურსაჭირი)	3	1	2			9	
9	18.01.1976	თოთიაური (ბაკურხევი)		1	1		3		
10	18.01.1976	სიჯანანანი (ბაკურხევი)		1	2				
11	1954;1976	საჩალისჭალა (ბაკურხევი)	2	2	1			8	6


ცხრილი 11.3-ის გაგრძელება.									
უკანა ფშავი									
12	18.01.1976	უძილაურთა/ფშავის არაგვი	1	1	1		0,3		
ქვეშეთი									
13	29.01.1854	არახვეთი (თეთრი არაგვი)	6	4	2		1,2	11	15
13	2.02.1877	მღეთა (თეთრი არაგვი)		7	2		1,7	54	
14	1965;1976	წიკერე (ხადისწყალი)		2	2			8	16
15	01.1976	ლაკათხევი (თეთრი არაგვი)		3	3			18	12
შატილი									
16	1993;1976	ხახაბო/ჭანჭახისწყალი	4	2	3			16	30
17	1993;1976	მუცო/ ანდაკი	1	1	2			10	28
ბარისახო									
16	19.01.1976	დათვისი (დათვისხევი)	2	3	2	0,5	5,5	15	28
17	18.01.1976	ზეისტენო (უსტამალე)		1					
18	1981;1987	ხახმატი (გუდანისჭალა)	10	2	2		0,3	24	
ს უ ლ			40	48	42	1,8	15,6	241	198

12. შიდა ქართლის ტერიტორიის ზგავსაშიშროება

შიდა ქართლი მტკვრის აუზის შუა ნაწილს შეადგენს, მისი ტერიტორია ვრცელდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, აღმოსავლეთით – მდ.არაგვით, ჩრდილოეთით – კავკასიონის ქედით, დასავლეთით – ლიხის ქედით, ხოლო სამხრეთით – თრიალეთის ქედითაა შემოფარგლული.

ლიხის ქედიდან მდინარე არაგვის ხეობამდე, რელიეფი რთული ოროგრაფიული პირობებით ხასიათდება. კავკასიონის მთავარი ქედის სიმაღლეები, ამ რეგიონის ტერიტორიაზე, აღემატება 3500 მ-ს. დიდ სიმაღლეზეა უღელტეხილი ზეკარი (3828 მ), როკა (2996 მ). დასავლეთიდან რეგიონს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მერიდიონალური მიმართულების ლიხის ქედი ესაზღვრება ორი უღელტეხილით – რიკოთი (999 მ) და ჯვარი (936 მ). ლომის-ავლევის ქედი, მდინარეების პატარა ლიახვისა და ქსანის წყალგამყოფს წარმოადგენს.

შიდა ქართლის მხარე მოიცავს: გორის (ადმინისტრაციული ცენტრი), კასპის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტებს. ახალგორის, თიღვის, ერედვისა და ქურთის მუნიციპალიტეტები ამჟამად ოკუპირებულია რუსეთის მიერ, მაგრამ მათი მმართველი ორგანოები თბილისშია განთავსებული. ასევე, ამჟამად ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი (ჯავისა და ცხინვალის ადმინისტრაციული ერთეული) ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთის ოლქში შედის (ნახ.12.1).



ნახ. 12.1. შიდა ქართლის ადმინისტრაციული ერთეულები (tamar.tsitsishvili.blog)

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც, ავხაზეთისა და კოდორის ხეობის მსგავსად, რომელიც მე-4 პარაგრაფში განვიხილეთ, წარმოვადგენთ ჯავის, ცხინვალის, ახალგორის და ხნაურის რაიონების დასახლებული პუნქტების ზგავსაშიშროებას.

რეგიონის მთა-გორიანი რელიეფი გავლენას ახდენს კლიმატურ ელემენტებზე. კავკასიონის ქედი ბუნებრივი ბარიერია ჩრდილოეთიდან წამოსული ცივი ჰაერის მასებისათვის. ასევე ლიხის ქედი, დიდ გავლენას ახდენს როგორც შიდა ქართლის, ისე აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატზე, რადგან ბუნებრივ ბარიერს წარმოადგენს დასავლეთის მიმართულების ჰაერის ნაკადების გზაზე, რითაც შიდა ქართლის ტერიტორიაზე შემოსული ჰაერის მასების ტენიანობა და შესაბამისად ნალექების რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება (ე.ელიზბარაშვილი, 2017; მკორძახია, 1961).

ზვავშემკრებები შიდა ქართლში, ძირითადად, მდებარეობს კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთით, 15⁰-ზე მეტი დახრილობის ფერდობებზე. ტერიტორიის 5%-თვის დამახასიათებელია 15-25⁰ დახრილობა, 67%-თვის – 25-35⁰, ხოლო 28%-თვის ფერდობების დახრილობა >35⁰-ზე.

შიდა ქართლში ზვავსაშიშროებით გამოირჩევა მდ.დიდი ლიახვის ხეობა სოფ. ვანელიდან მდ. როკას შესართავამდე და თავად მდ. როკას ხეობა. რელიეფი ღრმად დანაწევრებული და მაღალმთიანია. ქედების სიმაღლე 2500-3000 მ-ია. მცენარეული საფარი, ძირითადად, ფოთლოვანი ჯიშებისგან შედგება, გვხვდება ფოთლოვან-წიწვოვანი ჯიშებიც, რომელიც 1600-1800 მ-ის სიმაღლეზე წიწვოვანი ტყით იცვლება. სიმაღლის მატებასთან ერთად ზამთარში ნალექი, ძირითადად, თოვლის სახით მოდის და დიდი რაოდენობით თოვლის დაგროვების საშუალებას იძლევა. ცხრილში (ცხრ.12.1.) თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 62 სმ-დან (ახალგორი, 760 მ) 225 სმ-მდე (ერმანი, 2240 მ) იცვლება. დიდია თოვლის სიმაღლის ნამატიც. მაგ. ჯავაში 1938 წლის 13-დან 18 იანვრამდე ნამატმა 108 სმ შეადგინა, ხოლო პავლიანში 1986/87 წელს – 205 სმ. თოვლის აგეგმვის მასალების მიხედვით, 1500-2000 მ-ის სიმაღლეზე თოვლის სიმაღლემ 180-260 სმ შეადგინა. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 74 სმ-დან (გორი) 386 სმ-მდე (ერმანი) იცვლება.მს ვანელის, პავლიანის, როკას და ერმანის მონაცემებით, თოვლის მაქსიმალური სიმაღლე 200 სმ-ზე მეტია (ცხრ.12.2.). (მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2012; მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2015; M.E.Салуквадзе, 1982).

ცხრილი 12.1.ნალექების, მყარი ნალექების და თოვლის საფარიან დღეთა რაოდენობა შიდა ქართლში

№	მეტეოსადგური	სიმაღლე, მ	ნალექი, მმ		მყარი ნალექი, მმ		თოვლის საფარიან დღეთა რ-ბა		
			წელი	XI-III	წელი	XI-III	მაქს.	საშ.	მინ.
1	ახალგორი	760	645	241	88	36	113	45	3
2	ცხინვალი	862	598	224	92	41	113	53	11
3	ჯავა	1109	966	362	203	56	143	86	16
4	ვანელი	1310	933	349	266	76	-	-	-
5	პავლიანი	1320	-	-	-	-	165	102	20
6	როკა	1795	-	-	-	-	180	145	64
7	ერმანი	2240	1054	349	460	132	244	176	13

ცხრილი 12.2. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და განმეორადობა

№	მეტეოსადგური	სიმაღლე, მ (დაკვირვების წლები)	მაქს. სიმაღლე, სმ.(წელი)	განმეორადობა				
				>50-100	101-200	201-300	301-400	>400
1	გორი	588 (69)	74 (1976)	3	-	-	-	-
2	ხაშური	690 (64)	106 (1951)	18	2	-	-	-
3	ახალგორი	760 (64)	77 (1990)	4	-	-	-	-
4	ცხინვალი	862 (63)	100 (1988)	13	1	-	-	-
5	ჯავა	1109 (53)	158 (1976)	26	8	-	-	-
6	ვანელი	1310 (32)	200 (1976)	20	4	2	-	-
7	პავლიანი	1320 (38)	210 (1987)	18	8	1	-	-
8	როკა	1795 (26)	204 (1946)	3	19	2	-	-
9	ერმანი	2240 (44)	386 (1987)	5	28	6	-	-

თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და 50 სმ-ზე მეტი განმეორადობა მრავალწლიური მონაცემების მიხედვით ცხრილშია წარმოდგენილი (ცხრ.12.2.).


მეორე ზვავსაშიში უბანი მდ. ერმანდონის ხეობაში მდებარეობს. მდ. ერმანდონი სათავეს ხარულის ქედზე იღებს და მდ. დიდ ლიახვში ჩაედინება. მდინარეს, ძირითადად, მარცხენა შენაკადები აქვს. ეს უბანი უხვთოვლიანობით გამოირჩევა და ზვავები, ძირითადად, ბრითაუღასა და ერმანის ქედებიდან ჩამოდის.

მესამე ზვავსაშიში უბანი სოფ. პავლიანის და სხვა სოფლების მიმდებარე ფერდობებზე მდ. ქსნის ხეობაში გვხვდება. მდ. ქსანი სათავეს ტბა ყელიდან (2914 მ) იღებს და მდ. მტკვარს სოფ. ხადისყურთან უერთდება. ამ უბანზე ტერიტორიის რელიეფი ღრმა დანაწევ-

რებით გამოირჩევა. ფერდობების დახრილობა 20-40⁰-ია. მაღალმთიანი ზონის მცენარეული საფარი ალპური მდელოებითაა წარმოდგენილი. 1000-2000 მ-ზე ფოთლოვანი ტყე სჭარბობს. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე მს. პავლიანის მონაცემებით (1320 მ) –210 სმ-ია, ხოლო საშუალო სიმაღლე – 83 სმ.

შიდა ქართლში, ამ სამი გამოკვეთილი ზეგნაში უბნის გარდა, ზნაურის რაიონში – 2, გორის რაიონში – 2, კასპის რაიონში – 1 და ქარელის რაიონში – 1 ზეგნებში, სადაც შესაძლებელია უხვთოვლიან ზამთარში ზვავის ჩამოსვლა და შესაბამისად, პოტენციურად ზეგნაში პუნქტებს შეადგენენ. ამიტომ ჩვენს მიერ ამ ზეგნებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლებიც წარმოდგენილი იქნება დანართის ცხრილში (დანართი 9, ცხრილი 12.3.).

ჯავის რაიონის 18 მდინარის ხეობის 24 დასახლებული პუნქტისათვის 35 ზვავია საშიში, ცხინვალის რაიონის 5 მდინარის ხეობის 6 დასახლებული პუნქტისთვის – 7 ზვავი, ახალგორის რაიონის 15 დასახლებულ პუნქტს 19 ზვავი ემუქრება, ხოლო ზნაურის რაიონის ოკუპირებული ტერიტორიის 1 დასახლებულ პუნქტში ორი ზვავია. ზეგნაშია გორის რაიონის ორი მდინარის ხეობის ორი სოფელი, კასპისა და ქარელის რაიონის თითო სოფელი. ყველა ამ ზვავის დინამიკური მახასიათებელი და მათი ადგილმდებარეობა ცხრილშია (დანართი 9, ცხრ. 12.3.) წარმოდგენილი. სურ. 12.1-12.2. ჯავის რაიონისა და მდ. ქსნის ხეობის ის ფერდობებია, საიდანაც უხვთოვლიან ზამთარში ხდება ზვავების ჩამოსვლა. ნაწილი ამ ზვავებისა ყოველწლიურად ჩამოდის, მათ მე-19 საუკუნიდან დაწყებული, არაერთხელ მიაყენეს ზიანი ადგილობრივ მოსახლეობას. საუბედუროდ 1992 წლის შემდეგ, ოკუპირებული ტერიტორიებიდან ზეგნაშიშროების შესახებ ცნობები ვერ მოვიპოვეთ. (ცხრ.12.4.).



სურ. 12.1



სურ. 12.2.

ჯავის რაიონისა და ქსნის ხეობის ზეგნაში ფერდობები (Wikipedia.org)

როგორც ცხრილიდან (ცხრ. 12.4.) ჩანს მატერიალური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი აღნიშნულ ტერიტორიაზე დიდია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ გაცილებით მეტი იყო ზარალი და მსხვერპლი 1843-1854 წლებში (Кавказский календарь, 1851). გამოჩნდის 1932 წლის იანვარში, მდ. ჯოჯორას აუზში, სოფ. არაშენდაში დატრიალებული ტრაგედია, როდესაც ფაქტიურად მთელი სოფელი – 112 ადამიანი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლით ჩაიმარხა ზვავში. მსგავსი სიდიდის ზვავი ამ ტერიტორიაზე დავაფიქსირეთ 1976 წლის იანვარში. საბედნიეროდ, მოსახლეობა არ ცხოვრობდა ნასოფლარზე


(მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2011; მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე, 2012; M.E.Салуквадзе, 1990).

**ცხრილი 12.4.ზეგაგების ჩამოსვლით გამოწვეული მატერიალური ზარალი
ჯავის, ცხინვალის, ახალგორის და ზნაურის რაიონში**

№	წელი, თვე, რიცხვი	დასახლებული პუნქტი, (მდ. ხეობა)	დაღუპულთა რ-ბა	ნგრევა		განადგურდა		საქონელი	
				სახლი	ნაგებობა	ბაღი,ჭა	ტყეა	მსხვილფეხა	წვრილფეხა
1	3.01.1843	მაირამი (მაირამი)	3	1	1			8	26
2	30.01.1846	ზღუბირი (ერმანი)	1	16	15			70	150
3	1846;1964	ოხირი (ქსანი)	7	2	3			8	24
4	7.03.1851	შუა სბა (სბა)	68	14	15		2	70	84
5	5.03.1854	ღირგინა (ფაწა)	3	1				6	12
6	5.03.1854	ღოუღონასტო (ჩირიკი)		1	2			6	8
7	1932	არაშენდა (ჯოჯორა)	112	27		2	5	150	260
8	1932	შუა როკა (როკა)	1	2	2			8	24
9	1952	წართა (დიდი ღიახვი)	2	3			0,5	8	60
10	27.02.1952	ქვემო ჯომადა (ჯომადა)	1	1	2			7	12
11	1952	დაბაკნეთი (ცხრაძმულა)		1	2				
12	17.01.1976	შუა როკა (როკა)		1	1				
13	17.01.1976	წართა (დიდი ღიახვი)			3				60
14	17.01.1976	ვანელი (- “-)		6	6				
15	18.01.1976	კაბუზთა (კალასანი)			3				
16	18.01.1976	ზემო ერმანი (ერმანი)		2	2				
17	18.01.1976	გუდისი (გუდისი)		1	3		1,5	5	8
18	18.01.1976	ხოზუეთი (ქსანი)		2					
19	18.01.1976	ჩიგოიანი (-”-)		2	3				
20	17.01.1987	შუა სბა (სბა)			3				
21	17.01.1987	მუჯუხი (ცხრაგულა)		1	1				
22	17.01.1987	ინაური (გუდისი)		1	2				
23	02.02.1988	ელოიანი (ქსანი)		1	1				
24	01. 1989	ერმანი (ერმანი)	5	2	2				
25	01.01.1992	ყორული (არაგვი)	5	3	4	0,3		22	10
			207	91	75	0,3	8	368	738

13. თიანეთის და თუშეთის ტერიტორიის ზვანსაზიშროება

თიანეთის ქვაბული მდ. იორის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 1100 მ-ზე მდებარეობს. ტერიტორიის ჩრდილოეთ საზღვარს დუშეთი, აღმოსავლეთის – ახმეტა, სამხრეთით კი მცხეთა და საგარეჯო წარმოადგენს (ნახ. 13.1).



ნახ.13.1 თიანეთის რაიონი (tianetihistory.word.press)


რაიონის ტერიტორია საშუალო მთაგორიანია და დიდი ნაწილი მაღლობს უკავია. დასავლეთი ნაწილი, საშუალომთიანი ქართლის ქედის აღმოსავლეთ კალთებს წარმოადგენს. გადასასვლელებიდან მნიშვნელოვანია ფუთკარულის უღელტეხილი, რომელიც 2300 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს და ერთმანეთთან აკავშირებს არაგვისა და ივრის ხეობებს. ჰავა ზომიერად ნოტიოა, ზომიერად ცივი ზამთრით და თბილი ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურა $-4,1^{\circ}$ -დან $+4,7^{\circ}$ -მდე მერყეობს, ნალექები 790 მმ-დან 880 მმ-მდე. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 117 სმ, 1954 წელს დაფიქსირდა. ზოგადად 50 სმ-ზე მეტი სიმაღლის თოვლის საფარი მს თიანეთის 78 წლიანი დაკვირვების მასალების მიხედვით 23-ჯერ დაფიქსირდა. (ცხრ. 13.1)

ცხრილი 13.1. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და განმეორადობა

№	მეტეოსადგური	მს სიმაღლე, მ. (დაკვირვების წლები)	მაქს. სიმაღლე, სმ, /წელი	განმეორადობა				
				>50-100	101-200	201-300	301-400	>400
1	თიანეთი	1085 (78)	117. 1954	23	2	-	-	-
2	ომალო	1880 (42)	140. 1987	25	9	-	-	-
3	შენაქო	2080 (28)	156. 1968	14	4	-	-	-

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი და ძნელად მისადგომი მხარე თუშეთი, საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, ზღვის დონიდან 1650-4493 მ-ზე მდებარეობს. დასავლეთიდან ხევსურეთი, სამხრეთიდან – კახეთი, ხოლო ჩრდილოეთიდან დაღესტანი და ჩეჩნეთი ესაზღვრება (ნახ.13.2).

თუშეთის ტერიტორია, მაკრატელას ქედით ორ ნაწილად არის გაყოფილი: ერთ მხარეს გომერწის ხეობაა, სადაც თუშეთის ალაზანი მიედინება, ხოლო მეორე მხარეს პირიქითა თუშეთია, სადაც პირიქითა ალაზანია. ეს ორი მდინარე ერთმანეთს შენაქოს მიდამოებში უერთდება და დაღესტანში ანდის ყოისუს სახელწოდებით მიედინება. თუშეთის ბუნება ძალიან ლამაზია, გამოირჩევა ალპური და სუბალპური მდელოებით, მყინვარებით, მრავალი პატარა ტბითა და ჭაობიანი ადგილებით, რომლებიც ალბათ ტბების დაშრობის შედეგად არის წარმოქმნილი. ზამთარში ტბების უმეტესობა იყინება.



ნახ. 13.2. თუშეთის ტერიტორია (edutime.ge)

თუშეთში მიმავალი ერთადერთი სამანქანო გზა კახეთიდან, სოფ. ფშაველიდან იწყება და საქართველოს ყველაზე მაღალი გადასასვლელით – აბანოს უღელტეხილით, (რომლის სიმაღლე 2826 მ-ია და მდებარეობს ბულანჩაროსწვერისა და დიდგვერდის მთებს შორის) სოფ. ომალოში ჩადის (სურ. 13.3-13.5). თუშეთისკენ მიმავალი გზის დასაწყისში აბანოს უღელტეხილთან, მდინარე სტორის ხეობაში ერთ ადგილზე 13 მინერალური წყაროა. ამ ადგილს სახალხო გმირის, თორღვას პატივსაცემად – თორღვას აბანო ეწოდება (სურ. 13.6).



სურ. 13.3. თუშეთის სამანქანო გზა (travelingeorgia.ge)



სურ. 13.4.-13.5. აბანოს უელტეხილი ზაფხულსა და ზამთარში (Intermedia.ge)



სურ. 13.6. თორღვას აბანო (travelingeorgia.ge)

თორღვას აბანო ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტია, მდებარეობს ბუღანჩაროს-წვერის მთის კალთაზე, ზღვის დონიდან 1750 მ-ზე. ტერიტორიაზე ზომიერად ნოტიო ჰავაა, ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. ნალექების წლიური რაოდენობა 1200-1600 მმ-ია. კურორტ თორღვას აბანოს წყალი თერმული გოგირდწყალბადიანი, პიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმიანი მინერალური წყალია (ტემპერატურა 36⁰). წყლის აბაზანების მოხმარების სეზონი ივნისიდან სექტემბრამდე გრძელდება.

თუშეთი ხუთ თემს: ჭანჭახოვანს, ჩადმას, გომეწარს, წოვათას და პირიქითას მოიცავს. ამ თემებში 50-ზე მეტი სოფელი იყო გაერთიანებული. სოფლების უმეტესობა დღეს დაცარიელებულია. ყველა სოფელში თავდაცვითი-სასიგნალო დანიშნულების ციხე-კოშკებია შემორჩენილი, რომლებიც ოდესღაც საცხოვრებლად გამოიყენებოდა. ჩვენ ორ დასახლებულ პუნქტს – დართლოს და დოჭუს განვიხილავთ, რადგან ამ სოფლებს, კურორტ თორღვას აბანოს მსგავსად, თოვლის ზვაეები ემუქრება.

სოფ. დართლო, ომალოს თემის სოფელია და 15 კმ-ითაა მისგან დაშორებული, მდინარე დიდხევის (პირიქითა ალაზნის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 2000 მ-ზე მდებარეობს. სოფელში შემორჩენილია ტრადიციული თუშური არქიტექტურის ნიმუშები:

ფიქლებითა და დუღაბით ნაშენები 5-6 სართულიანი, 20 მ-ის სიმაღლის ვიწრო და მაღალი ციხე-კოშკები, რომლებიც შემდეგ აივნიანმა სახლებმა ჩაანაცვლა (სურ. 13.7). სოფ. დოჭუ გომეწრის ხეობაში, კლდის ქიმზეა აშენებული.



სურ. 13.7. სოფ. დართლო (ომალოს თემი) Goga Chanadiri

თოვლის საფარის სიმაღლე გზაზე და აბანოს გადასასვლელზე 2-3 მ-ია, თუმცა მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემები ამ რაიონში მწირია (ცხრ.13.1).

